ISSN (Print) 2298-0202 ISSN (Online) 2960-9437

გრიგოლ რობაქიძის
სახელობის უნივერსიტეტი
GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY

აკადემიური მაცნე
ACADEMIC DIGEST

2023

თბილისი Tbilisi

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

Grigol Robakidze University

ISSN (Print) 2298-0202
ISSN (Online) 2960-9437
DOI: https://doi.org/10.55896/2298-0202

აკადემიური მაცნე

Academiuri Matsne/Academic Digest

2023

თბილისი - Tbilisi

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალი **„აკადემიური მაცნე“** არის რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო გამოცემა.

ISSN (ბეჭდური) 2298-0202

ISSN (ონლაინ) 2960-9437

- რეცენზირება ხორციელდება ფარული წესით. სტატიები მოწმდება პლაგიატზე.
- **„აკადემიურ მაცნეს“** მინიჭებული აქვს ციფრული ობიექტის იდენტიფიკატორი - **DOI: https://doi.org/10.55896/2298-0202**
- დაცულია სამეცნიერო ლიტერატურის ქსელ **Scilit - Scientific Literature**-ში, https://www.scilit.net/
- განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკაში - „ივერიელი“, https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/149473
- რეფერირდება **ქართულ რეფერატულ ჟურნალში (ქრჟ)**, www.techinformi.ge
- ჟურნალი პოლითემატურია და მოიცავს შემდეგ დისციპლინებს: ბიზნესის ადმინისტრირება, საჯარო მმართველობა, სამართალი, სოციალური მეცნიერებები, მედიცინა და სხვ.

სარედაქციო საბჭო

მამუკა თავხელიძე – მთავარი რედაქტორი (საქართველო)
ვახტანგ ჭარაია - რედაქტორის მოადგილე (საქართველო)
ნინო შოშიტაშვილი – აღმასრულებელი რედაქტორი (საქართველო)
გოჩა ოჩიგავა – პასუხისმგებელი მდივანი (საქართველო)

მალხაზ ბაძაღუა (საქართველო)
ოთარ გერზმავა (საქართველო)
მიხეილ გოგატიშვილი (საქართველო)
გია დეკანოზიშვილი (საქართველო)
თენგიზ ირემაძე (საქართველო)
ვახტანგ ჭარაია (საქართველო)
ვალერიან ხრუსტალი (საქართველო)
ზურაბ ძლიერიშვილი (საქართველო)
დავით ძამუკაშვილი (საქართველო)
ნინო წილოსანი (საქართველო)

ჰანს იორგ ალბრეხტი (გერმანია)
ანა მარგარიანი (სომხეთი)
ჯეიმს ო. ფინკენაუერი (აშშ)
ტრევორ კარტლეჯი (დიდი ბრიტანეთი)
ელიკო წიკლაური-ლამიხი (გერმანია)
კამილ სალიმოვი ნაზიმ ოღლუ (აზერბაიჯანი)
ალენა შოსტკო (უკრაინა)
ჯოვან შოპოვსკი (მაკედონია)
დეჟან მაროლოვი (მაკედონია)

The academic journal „**Academiuri Matsne/Academic Digest“** of Grigol Robakidze University is a peer-reviewed scientific publication.

ISSN (Print) 2298-0202
ISSN (Online) 2960-9437

- Peer review is conducted in secret. Articles are checked for plagiarism.
- **„Academiuri Matsne/Academic Digest“** has been assigned a Digital Object Identifier – **DOI: https://doi.org/10.55896/2298-0202**
- It is preserved in the scientific literature network **Scilit - Scientific Literature**, https://www.scilit.net/
- Located in the digital library of the National Library of the Parliament of Georgia – „Iverieli“, https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/149473
- It is referred to in the **Georgian Abstract Journal** www.techinformi.ge.
- The journal is polythematic and covers the following disciplines: business administration, public administration, law, social sciences, medicine, etc.

The Editorial Board

Mamuka Tavkhelidze – Editor-in-chief (Georgia)
Vakhtang Charaia – Deputy Editor (Georgia)
Nino Shoshitashvili – Executive Editor (Georgia)
Gocha Ochigava – Responsible Secretary (Georgia)

Malkhaz Badzagua (Georgia)
Otar Gerdzmava (Georgia)
Mikheil Gogatishvili (Georgia)
Gia Dekanozishvili (Georgia)
Tengiz Iremadze (Georgia)
Vakhtang Charaia (Georgia)
Valerian Khrustali (Georgia)
Zurab Dzlierishvili (Georgia)
David Dzamukashvili (Georgia)
Nino Tsilosani (Georgia)
Hans Jourg Albrecht (Germany)
Anna Margarian (Armenia)
James Finckenauer (USA)
Trevor Cartledge (Great Britain)
Eliko Tsiklauri-Lammich (Germany)
Kamil Nazim oglu Salimov (Azerbaijan)
Olena Shostko (Ukraine)
Jovan Shopovski (Macedonia)
Dejan Marolov (Macedonia)

მისამართი / Addres:	საქართველო, თბილისი 0159, ი. ენუქიძის ქ. #3 / 0159 Tbilisi, Georgia, I. Enukidze str.#3
ვებ-საიტი / Web Site:	http://gruni.edu.ge/
ელ. ფოსტა / E-mail:	g.ochigava@gruni.edu.ge; pragueinfo@yahoo.com
ტელ.: / Tel.:	(+995) 555 490 178

ავტორი პასუხისმგებელია სტატიის შინაარსზე და ხარისხზე.
The author is responsible for the content and quality of the paper.

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. 2023

სარჩევი

სამართალი

ხატია თანდილაშვილი
ევროპის საბჭოს 2023 წლის რეკომენდაცია დაზარალებულის უფლებების, სერვისებისა და მხარდაჭერის შესახებ: მისი მნიშვნელობა და ნოვაციები 7

თორნიკე მერებაშვილი, დავით ძამუკაშვილი
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების ქონებრივი რეგისტრაცია 16

გიორგი ლაცაბიძე, თამარ სადრაძე
საკასაციო საჩივრის ფარგლებს გაცდენა, საკასაციო საჩივრის არარსებობის პირობებში 27

სოციალური მეცნიერებანი

ნათია ბადრიშვილი, არჩილ ბეგიაშვილი, სოფიკო ქიტიაშვილი, მაგდა ლომაია
მალადაპტური სქემები სოციალური შფოთვის დროს 35

საჯარო მმართველობა

მარიამ დავითაძე, თეა სამჭკუაშვილი
მოქნილი მუშაობის ფორმატი და დასაქმებულთა შრომის პროდუქტიულობა 43

გვანცა ძიძიგური, თეა სამჭკუაშვილი
რუსეთ-უკრაინის ურთიერთობა და პერსპექტივები 56

ეკატერინე აბაშიძე, მერი ლომია
კონკორდატის სამართლებრივი ასპექტები 65

სოფიო ლაზიშვილი, მაკა ფირანაშვილი
მწვანე ინვესტიციები: ტურიზმის მდგრადი განვითარების თანამედროვე ინსტრუმენტი (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე) 78

ბიზნესის ადმინისტრირება

მაია მელაძე, ანა გვარამაძე, ლიზი ძიმისტარიშვილი
ქართველი მოგზაურების მიერ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ტურისტული პროდუქტის შეძენისას 93

Contents

Law

Khatia Tandilashvili
The 2023 Council of Europe Recommendation on rights, services and support for victim of crime : Its Importance and Innovations 7

Tornike Merebashvili, David Dzamukashvili
Property registration of the ownership right to the agricultural land 16

Giorgi Latsabidze, Tamar Sadrzadze
Substantial Violation and its Consequences in Evidentiary Law 27

Social Sciences

Natia Badrishvili, Archil Begiashvili, Sopiko Khitiashvili, Magda Lomaia
Maladaptive Schemas in Social Anxiety 35

Public Administration

Mariam Davitadze, Tea Samchkuashvili
Flexible work format and Labor productivity of employees 43

Gvantsa Dzidziguri, Tea Samchkuashvili
Public governance/public administration: a comparative analysis 56

Ekaterine Abashidze, Meri Lomia
Legal aspects of the Concordat 65

Sophio Lazishvili, Maka Firanashvili
Green investments: a modern tool for sustainable development of tourism (on the example of the Autonomous Republic of Adjara) 78

Business Administration

Maia Meladze, Ana Gvaramadze, Lizi Dzimistarishvili
The use of digital technologies by Georgian travelers while purchasing a tourist product 93

ევროპის საბჭოს 2023 წლის რეკომენდაცია დაზარალებულის უფლებების, სერვისებისა და მხარდაჭერის შესახებ (მისი მნიშვნელობა და ნოვაციები)

ხატია თანდილაშვილი
გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო
khatia.tandilashvili@gruni.edu.ge

რეზიუმე. 1985 წლიდან მოყოლებული ევროპის საბჭო აქტიურად მუშაობს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით. მას მიღებული აქვს არა ერთი სამართლებრივი აქტი, რომელიც ადგენს დაზარალებულის მიმართ ევროპულ სტანდარტებს. საერთაშორისო დონეზე მიმდინარე მოვლენებისა და ვიქტიმოლოგიური კვლევების შედეგების საფუძველზე, აუცილებელი გახდა ევროპის საბჭოსაც გაეძლიერებინა დაზარალებულის დაცვის მექანიზმი, ამიტომ მინისტრთა კომიტეტმა, 2023 წლის 15 მარტს მიიღო რეკომენდაცია დაზარალებულის უფლებების, სერვისებისა და მხარდაჭერის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაცია არ არის შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე, იგი წევრი სახელმწიფოებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, მასში განმტკიცებული სტანდარტებიდან გამომდინარე. რეკომენდაციამ შემოიტანა ნოვაციები, გააფართოვა ევროკავშირის მიერ დადგენილი სტანდარტები და კიდევ ერთხელ დაადასტურა დაზარალებულის მნიშვნელობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში.

საკვანძო სიტყვები: დაზარალებული, საერთაშორისო სტანდარტები, დაზარალებულის სტატუსი, იურიდიული დახმარება, კომპენსაცია

შესავალი

XX საუკუნის მე-2 ნახევრიდან მოყოლებული სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულს საერთაშორისო დონეზე უფრო და უფრო დიდი ყურადღება ექცევა. გაეროს, ევროპის საბჭოს და ევროკავშირს მიღებული აქვს არაერთი სამართლებრივი აქტი, რომლებიც გავლენას ახდენს ეროვნულ დონეზე დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრაზე (შალიკაშვილი და სხვები, 2023). ევროპის საბჭომ პირველად 1985 წელს მიიღო დაზარალებულთან დაკავშირებული აქტი, სახელწოდებით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1985 წლის რეკომენდაცია Rec R (85), 11 წევრი სახელმწიფოების მიმართ სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. შემდეგ 1987 წელს მიიღო ახალი აქტი სახელწოდებით რეკომენდაცია დაზარალებულის დახმარებისა და ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების შესახებ, რომელიც ჩაანაცვლა 2006 წლის რეკომენდაციამ დაზარალებულის დახმარების შესახებ.

2006 წლის რეკომენდაცია ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისთვის უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ აქტს წარმოადგენდა მასში განმტკიცებული დებულებებიდან გამომდინარე.

მაგალითად, იგი პირველი აქტი იყო, რომელმაც შემოიტანა დაზარალებულის ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის ცნებები (თანდილაშვილი, 2021). მოცემული რეკომენდაციის მიღებიდან ექვსი წლის შემდეგ ევროკავშირმა მიიღო დირექტივა დაზარალებულის უფლებების, მხარდაჭერისა და დაცვის მინიმალური სტანდარტებისა და ჩარჩო გადაწყვეტილების 2001/220/JI ჩანაცვლების შესახებ, რომელიც ევროპის საბჭოს რეკომენდაციებისგან განსხვავებით სავალდებულო ძალის მქონე აქტს წარმოადგენს. შესაბამისად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი იყვნენ, რომ ეროვნულ დონეზე აღესრულებინათ დირექტივის მოთხოვნები (თანდილაშვილი, 2021). დირექტივამ განსაზღრა ის მინიმალური სტანდარტები, რომლებიც ყველა სახელმწიფოში უნდა ყოფილიყო დაცული. ამავე პერიოდში ჩატარდა ვიქტიმოლოგიური კვლევები. ამ მოვლენების შედეგად საერთაშორისო დონეზე დაზარალებულის მიმართ მიდგომა შეიცვალა და უკეთესად მოხდა დაზარალებულის საჭიროებების შესწავლა. შესაბამისად, საჭირო გახდა 2006 წლის რეკომენდაციის განახლება და ახლანდელი რეალობისთვის მორგება (Council of Europe, 2023). სწორედ ამიტომ 2023 წლის 15 მარტს ევროპის საბჭომ მიიღო რეკომენდაცია დაზარალებულის უფლებების, სერვისებისა და მხარდაჭერის შესახებ (შემდგომში - 2023 წლის რეკომენდაცია ან რეკომენდაცია). 2023 წლის რეკომენდა-ციამ მრავალი ნოვაცია შემოიტანა. მან არა მარტო დაადგინა ის მინიმალური უფლებები, რომლებიც დაზარალებულს მინიჭებული უნდა ჰქონდეს სისხლის სამართლის პროცესში, არამედ გასცდა მინიმალურ სტანდარტებს და უფრო მოცულობითი უფლებები შემოიტანა (Council of Europe, 2023). სწორედ ამიტომ, წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება 2023 წლის რეკომენდაციის მიზანი, მისი მნიშვნელობა და მისი ნოვაციები. ამასთან ყურადღება დაეთმობა სამ საკითხს, რომელიც საქართველოს რეალობისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია და რომელთა მიმართაც ევროპის საბჭოს მიდგომის გათვალისწინება აუცილებელია. ეს საკითხებია დაზარალებულის ჩართვა სისხლის სამართლის პროცესში, დაზარალებულის უფლება იურიდიულ დახმარებაზე და დამნაშავისგან კომპენსაციის მიღების უფლება. დასკვნით ნაწილში კი შეჯამდება სტატიაში განხილული საკითხები.

2023 წლის რეკომენდაციის მიზანი

რეკომენდაციის მიღების მიზანს პირველ რიგში წარმოადგენდა 2006 წლის რეკომენდაციის განახლება და ჩანაცვლება. აღნიშნულის განხორციელების დროს გათვალისწინებული იქნა ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა. ამასთან, იგი მიზნად ისახავდა წევრი სახელმწიფოების დახმარებას დაზარალებულის უფლებების, სერვისებისა და მხარდაჭერის კუთხით შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკის დახვეწაში. აღნიშნული მიზნები კი გამომდინარეობს ევროპის საბჭოს მისიიდან, დაიცვას ადამიანის უფლებები, დემოკრატია და კანონის უზენაესობა (ევროპის საბჭო, ვებგვერდი). უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაცია არ წარმოადგენს მბოჭავ სამართლებრივ ინსტრუმენტს. აქედან გამომდინარე, იგი მიზნად არ ისახავს წევრი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციას. მისი მიზანია, რომ იყოს საკმარისად ზოგადი იმისთვის, რომ მოერგოს განსხვავებულ სამართლებრივ სისტემებს. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ რეკომენდაცია სრულად აღიარებს წევრი

სახელმწიფოების სამართლებრივი სისტემების მრავალფეროვნებას (ევროპის საბჭო, ვენეციის კომისია).

2023 წლის რეკომენდაციის მნიშვნელობა და მისი ნოვაციები

რეკომენდაცია წარმოადგენს დეტალურ სახელმძღვანელოს წევრი სახელმწიფოებისთვის დაზარალებულის უფლებების განვითარებისა და იმპლემენტაციის კუთხით და მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს რომ გამოავლინონ და გააუქმონ ბარიერები, რომლებიც დაზარალებულს ხელს უშლის მართლმსაჯულებაზე წვდომაში. რეკომენდაცია მოითხოვს, რომ დაზარალებულს მოუსმინონ ნებისმიერ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც დიდ გავლენას ახდენს მის ინტერესებზე. რეკომენდაცია ასევე ადგენს, რომ დაზარალებულს უნდა ჰქონდეს სამართლებრივ საშუალებებზე წდომის უფლება, მაშინ როცა მისი უფლებები არ არის სათანადოდ დაცული (ევროპის საბჭო, ვენეციის კომისია). რეკომენდაცია მოითხოვს, რომ დაზარალებულს შეეძლოს საკუთარი უფლებების რეალიზება და შესაბამის სერვისებზე წვდომა. დაზარალებული სათანადოდ უნდა იყოს აღიარებული და უნდა ეპყრობოდნენ პატივისცემით, პროფესიონალიზმითა და არადისკრიმინაციულად. სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ დაზარალებულს შეიძლება ჰქონდა სხვადასხვა სახის საჭიროებები. შესაბამისად, თითოეული საჭიროება სათანადოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული, რათა დაზარალე-ბულმა მიიღოს ადეკვატური ინფორმაცია, მხარდაჭერა და იყოს სათანადოდ დაცული (ევროპის საბჭო, ვენეციის კომისია).

აღსანიშნავია, რომ რეკომენდაცია ეფუძნება ევროპის საბჭოს ისეთ სამართლებრივ ინსტრუმენტებს, როგორიცაა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია), ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის კონვენცია და სხვა ისეთი სამართლებრივი ინსტრუმენტები, რომლებიც ამკვიდრებენ საერთაშორისო სტანდარტებს (ევროპის საბჭო, ვენეციის კომისია). 2023 წლის რეკომენდაციამ მრავალი ნოვაცია შემოიტანა. მათ შორის აღსანიშნავია „დაზარალებულის“, „ბავშვის“, „აღდგენითი მართლმსაჯულების“ და „სისხლის სამართლის პროცესის“ განმარტებები (მუხლი 1(1), 1(5), 1(6), 1(7). რეკომენდაცია ყველაზე მაღალ, ანუ პრინციპების დონეზე უსვამს ხაზს, რომ დანაშაული წარმოადგენს მსხვერპლის უფლებების დარღვევას (მუხლი 2(1)). ასევე პრინციპების ნაწილში განამტკიცებს, რომ რეკომენდაციით განსაზღვრული სერვისები და ღონისძიებებით სარგებლობა არ უნდა იყოს დამოკიდებული დამნაშავის იდენტიფიცირებაზე, დაკავებაზე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორ-ციელებაზე ან მის მსჯავრდებაზე - მუხლი 2(5).

რეკომენდაცია ასევე ყურადღებას ამახვილებს მოწყვლად მსხვერპლებზე (მუხლი 2(3), 2(4)). 2006 წლის რეკომენდაციისგან განსხვავებით, 2023 წლის რეკომენდაციაში განმტკიცებულია დებულებები დაზარალებულის საჭიროებების ინდივიდუალურ შეფასებაზე (მუხლი 4). რეკომენდაცია დიდ ყურადღებას უთმობს ინფორმაციის უფლებას (მუხლი 6, 8), ასევე დანაშაულის შესახებ შეტყობინების გაკეთების უფლებას (მუხლი 7).

გარდა ამისა, მისი წინამორბედისგან განსხვავებით, იგი ადგენს დაზარალებულის უფლებას, რომ მას მოუსმინონ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში (მუხლი 12). ამასთან ყურადღება ექცევა იურიდიული დახმარების უფლებას (მუხლი 12), დამნაშავისგან კომპენსაციის მიღების უფლებას (მუხლი 13), სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლებასა (მუხლი 14) და დაზარალებულის დაცვას (მუხლი 15).

დაზარალებულის ჩართვა სისხლის სამართლის პროცესში

2023 წლის რეკომენდაციის პირველი მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს თუ ვინ შეიძლება იყოს დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესში. აღნიშნული დანაწესის მიხედვით, დაზარალებული შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, რომელსაც მიადგა ზიანი, მათ შორის ფიზიკური, მენტალური, ემოციური ან ეკონომიკური. გარდა ამისა აუცილებელია, რომ ეს ზიანი გამოწვეული იყოს უშუალოდ დანაშაულის შედეგად. თუ პირი დანაშაულის შედეგად გარდაიცვლება, მაშინ დაზარალებულად მიიჩნევა გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრები, რომლებსაც პირის გარდაცვალებით მიადგათ ზიანი. აღნიშნული დანაწესის გარდა, პირის დაზარალებულად აღიარებისთვის რეკომენდაცია არ აწესებს სხვა მოთხოვნებს. პირიქით, რეკომენდაცია ხაზგასმით მიუთითებს, რომ პირის დაზარალებულად მიჩნევა დამოკიდებული არ უნდა იყოს იმაზე, ოფიციალურად განაცხადა თუ არა მან შესაბამის სახელმწიფო უწყებაში დანაშაულის ჩადენის შესახებ. იგი დაზარალებულად უნდა ჩაითვალოს იმ წუთიდან, როცა მის მიმართ ჩადენილ იქნა დანაშაული (Council of Europe, 2023). შესაბამისად, დაზარალებულად მიჩნევა არ უნდა იყოს დამოკიდებული დამნაშავის იდენტიფიცირებაზე, დაკავებაზე, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე ან მის მსჯავრდებაზე.

დაზარალებულად მიჩნევა არის დაზარალებულისთვის პროცესში მინიჭებული უფლებებით სარგებლობის წინაპირობა, შესაბამისად დაუშვებელია, რომ რაიმე ხელოვნური ბარიერები იქნეს დაწესებული. აღნიშნულს კიდევ უფრო ამტკიცებს რეკომენდაციის მე-3 მუხლი, რომელიც მოითხოვს მართლმსაჯულებაზე წვდომაში ხელისშემშლელი ბარიერების იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრას. აღსანიშნავია, რომ რეკომენდაციის მოცემული მიდგომა სრულიად შეესაბამება ევროკავშირის 2012 წლის დირექტივას, რომელიც დაზარალებულად მიიჩნევს ყველა პირს, რომელიც გახდა დანაშაულის მსხვერპლი, განურჩევლად იმისა, მიმდინარეობს თუ არა დამნაშავის სისხლისსამართლებრივი დევნა, დაკავებულია თუ არა ბრალდებული ან არის თუ არა იგი უკვე დამნაშავედ ცნობილი. (European Commission, 2013). პირის დაზარალებულად არაღიარება და დამატებითი საპროცესო ბარიერების შექმნა იწვევს დაზარალებულის მეორეულ ვიქტიმიზაციას და შესაბამისად საერთაშორისო სტანდარტების დარღვევას (თანდილაშვილი, 2021).

სამწუხაროდ, საქართველოს კანონმდებლობა ამ ნაწილში არ შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაზარალებულად მიიჩნევს მხოლოდ იმ პირს, რომელსაც ასეთად ცნობს პროკურორი. არსებული პრაქტიკის მიხედვით კი პროკურორი რეალურ მსხვერპლთა დიდ ნაწილს არ ანიჭებს დაზარალებუ-

ლის სტატუსს. ამასთან, დღევანდელი პრაქტიკა არაერთგვაროვანია და არ არის ნათელი, თუ რა კრიტერიუმებით განსაზღვრავს პროკურატურა, უნდა მიენიჭოს პირს თუ არა დაზარალებულის სტატუსი. საქართველოში მსხვერპლისთვის უფლებების განმარტება და შემდეგ ამ უფლებებით სარგებლობა მხოლოდ მას შემდეგ ხდება, რაც მას მიენიჭება დაზარალებულის სტატუსი. დაზარალებულის სტატუსი კი მას შეიძლება რამდენიმე თვის შემდეგ მიენიჭოს. ამ პერიოდში კი იგი რჩება ინფორმაციულ ვაკუუმში და ვერ სარგებლობს საპროცესო უფლებებით. ის რეალური მსხვერპლები, რომელებიც საერთოდ ვერ იღებენ დაზარალებულის სტატუსს, მუდამ რჩებიან პროცესიდან გარიყულები (თანდილაშვილი, 2021). შესაბამისად, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ გაითვალისწინოს 2023 წლის რეკომენდაცია და ცვლილებები განახორციელოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.

იურიდიული დახმარების უფლება

2023 წლის რეკომენდაციის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ დაზარალებულის წვდომა იურიდიულ დახმარებაზე, სულ მცირე მაშინ, როცა დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესში აქვს მხარის სტატუსი. რეკომენდაცია ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ უზრუნველყონ უფასო იურიდიული დახმარება, როცა ამას მართლმსაჯულების ინტერესი მოითხოვს. რეკომენდაციის მოცემული დანაწესის საფუძველი არის გაეროს 2013 წლის პრინციპები და გაიდლაინები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის შესახებ. მისი 48-ე მუხლის თანახმად, დაზარალებულს უნდა შეეძლოს იურიდიული კონსულტაციის გავლა ყველა იმ საკითხზე, რომელიც დაკავშირებულია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მის მონაწილეობასთან.

აღნიშნული მოიცავს დაზარალებულის შესაძლებლობას, რომ სამოქალაქო სარჩელით მიმართოს სასამართლოს, ან ცალკე პროცესში მოითხოვოს ზიანის კომპენსაცია, იმისდა მიხედვით, თუ რომელი საპროცესო მოქმედება შეესაბამება ცალკეული ქვეყნის კანონმდებლობას. გარდა ამისა, სახელმწიფოებმა უნდა შეძლონ იურიდიული კონსულტაციის გაწევა იმ დაზარალებულისთვის და მისი სასამართლოში წარმომადგენლობა, რომელიც ოფიციალურად არ არის პროცესის მხარე, მაგრამ სარგებლობს მონაწილეობითი უფლებებით. ამის მაგალითია, როცა დაზარალებულს უნდა, რომ ზიანის შესახებ ჩვენება სასამართლოში ხმამაღლა წაიკითხოს მისმა ადვოკატმა. იგივე შეიძლება ითქვას იმ დაზარალებულის მიმართ, რომლებიც კომპენსაციის მიღების მიზნით სისხლის სამართლის პროცესში ერთვება სამოქალაქო სარჩელით და არ აქვს ოფიციალურად მხარის სტატუსი მინიჭებული. (უფასო) იურიდიული დახმარება ასევე შეიძლება გავრცელდეს იმ დაზარალებულზე, რომელიც ითხოვს დაცვას ან კომპენსაციას ალტერნატიული გზებით. აღნიშნულ გზებიდან ყველაზე ხშირად სამოქალაქო სამართალწარმოება გამოიყენება.

რეკომენდაციაში იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობის კუთხით ასეთი მიდგომა განპირობებულია იმით, რომ დაზარალებულისთვის იურიდიული დახმარების

უზრუნველყოფა და დაზარალებულის უფლებების დაცვა ემსახურება არა მხოლოდ დაზარალებულის ინტერესს, არამედ მთლიანად მართლმსაჯულების სისტემის ინტერესს. იურიდიული დახმარება არის სამართლიანი, ადამიანური და ეფექტიანი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის არსებითი ნაწილი. იგი არის კანონის უზენაესობის გამოვლინება. იურიდიული დახმარება არის სხვა უფლებებით სარგებლობის წინაპირობა (Council of Europe, 2023). სწორედ ამიტომ აუცილებელია, რომ იურიდიულ დახმარებაზე წვდომა უზრუნველყოფილი იყოს ევროპის საბჭოს ყველა სახელმწიფოში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცნება „იურიდიული დახმარება“ მოიცავს დაზარალებულთან იურიდიულ კონსულტაციას, დაზარალებულის დახმარებას და მის წარმომადგენლობას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში. იურიდიული დახმარება უნდა იყოს უფასო მათთვის, ვისაც არ აქვს სათანადო მატერიალური შესაძლებლობა ან როცა მართლმსაჯულების ინტერესი ამას მოითხოვს (Council of Europe, 2023).

საქართველოში იურიდიული დახმარების საკითხი მოწესრიგებულია „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით. მოცემული კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაზარალებული სარგებლობს იურიდიული დახმარებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ, სახელმწიფო ხარჯზე დაცვის განხორციელების შემთხვევებში. შესაბამისად, დაზარალებულს იურიდიულ დახმარებაზე ხელი მხოლოდ მაშინ მიუწვდება, როცა დაზარალებულის დაცვა ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე. 2009 წლის სსსკ-ში დაზარალებულის სახელმწიფო ხარჯზე დაცვის მექანიზმი არ მოქმედებს. სახელმწიფოს ხარჯზე დაცვა გათვალისწინებული იყო 1998 წლის კოდექსით და ახალი კოდექსის მიღების შემდეგ მოქმედებდა 2016 წლის 20 თებერვლამდე. აქედან გამომდინარე, მოქმედი სსსკ-ის პირობებში, დაზარალებულს არ აქვს იურიდიული დახმარების უფლება. მას შეუძლია ისარგებლოს მხოლოდ იურიდიული კონსულტაციით. განსხვავებული წესები მოქმედებს არასრულწლოვანი დაზარალებულის მიმართ. მას შეუძლია ისარგებლოს იურიდიული დახმარებით (თანდილაშვილი, 2021). იმისთვის, რომ საქართველოში ყველა დაზარალებულმა შესძლოს სსსკ-ით მინიჭებული უფლებების რეალიზება, აუცილებელია, რომ სსსკ-ში განხორციელდეს ცვლილება და დაზარალებულს მიენიჭოს იურიდიულ დახმარებაზე წვდომის უფლება.

დამნაშავისგან კომპენსაციის მიღების უფლება

დამნაშავისგან კომპენსაციის მიღების უფლება მოცემულია 2023 წლის რეკომენდაციის მე-13 მუხლში. პირველივე სიტყვებში მუხლი მოითხოვს, რომ დაზარალებულს შეეძლოს სისხლის სამართლის პროცესშივე კომპენსაციის მოთხოვნა. კომპენსაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება კი მიღებული უნდა იქნეს გონივრულ ვადაში. რეკომენდაცია ასევე უშვებს სისხლის სამართლის პროცესის გარდა სხვა ალტერნატიული გზების გამოყენების შესაძლებლობას, იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის პროცესშივე დაზარალებულის კომპენსაციის განხილვა არ შეესაბამება წევრი სახელმწიფოების სამართლებრივ სისტემას.

დაზარალებულის პერსპექტივიდან სისხლის სამართლის პროცესშივე კომპენსაციის მოთხოვნას გაცილებით მეტი უპირატესობები აქვს, ვიდრე სამოქალაქო სამართლებრივი გზით მოთხოვნას. მაგალითად, დაზარალებულს არ უწევს სასამართლო ბაჟის გადახდა. გარდა ამისა, კომპენსაციის თანხის გადახდის მიმართ ხორციელდება სახელმწიფო აღსრულება (Council of Europe, 2023). როგორც წესი დამნაშავისგან კომპენსაციის მიღების კუთხით ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს აღსრულება, ვინაიდან დამნაშავე ხშირად თანამშრომლობაზე უარს აცხადებს. ბევრ სახელმწიფოში ჩამოყალიბდა დადებითი პრაქტიკა. მაგალითად, ზოგიერთ სახელმწიფოში კომპენსაციის გადახდის შესახებ გადაწყვეტილება მინდობილი აქვს სახელმწიფოს და არა დაზარალებულს (Council of Europe, 2023). მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაცია ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს დამნაშავისგან კომპენსაციის მიღების საკითხის სისხლის სამართლის პროცესში ინტეგრირებას, იგი აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება მაინც მნიშვნელოვანია, მაგალითად ისეთ საქმეებში, როცა დაზარალებულს არ უნდა დანაშაულის შესახებ პოლიციაში განაცხადის გაკეთება; როცა სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდა, ან როცა ბრალდებული გამართლებულ იქნა (Council of Europe, 2023).

საქართველოში დამნაშავისგან კომპენსაციის მიღება დიდ პრობლემას წარმოადგენს. 1998 წლის სსსკ-ის მიხედვით, კომპენსაციის მინიჭების საკითხი განიხილებოდა სისხლის სამართლის პროცესში. თუმცა 2009 წლის სსსკ ეს მექანიზმი შეიცვალა და დღეს სამოქალაქო სამართალწარმოების გზით არის შესაძლებელი კომპენსაციის მოთხოვნა. საქართველოში არსებული სტატისტიკა ცხადყოფს, რომ მოცემული მექანიზმი ძალზედ არაეფექტურია და დაზარალებულთა უკიდურესად მცირე ნაწილი იღებს კომპენსაციას (თანდილაშვილი, 2021). შესაბამისად, აუცილებელია, რომ სახელმწიფომ განიხილოს კომპენსაციის მინიჭების საკითხის ისევ სისხლის სამართლის პროცესში დაბრუნების პერსპექტივა. ამით საქართველოს კანონმდებლობა არა მარტო შესაბამისობაში მოვა საერთაშორისო სტანდარტებთან, არამედ დააკმაყოფილებს დაზარალებულის საჭიროებებს და შესაძლებელი იქნება მისი მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება.

დასკვნა

წინამდებარე სტატიაში განხილულმა საკითხებმა ცხადყო, რომ 2023 წლის რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისთვის დიდი მნიშვნელობის მატარებელია. მან შემოიტანა მრავალი ნოვაცია, რომელიც ერთმნიშვნელოვნად აძლიერებს დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობას. გარდა ამისა, რეკომენდაციას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ წევრი ქვეყნებისთვის, რომლებიც არ არიან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები. მისი მიღებით ევროპის საბჭომ ხაზი გაუსვა წევრ სახელმწიფოებში დაზარალებულის მიმართ შესაბამისი გარანტიების უზრუნველყოფის აუცილებლობას. საქართველომაც, როგორც ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს 2023 წლის რეკომენდაცია. აუცილებელია, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში დაინერგოს რეკომენდაციით დადგენილი სტანდარტები და აღმოფხვრას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები.

გამოყენებული ლიტერატურა

თანდილაშვილი, ხ. (2021). *დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა ინტერნაციონალიზაციის გზაზე მდგარ ქართულ სისხლის სამართლის პროცესში.* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი.

საქართველოს კანონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. 12/06/2015, N 3708-II.

საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ. 19/06/2007, N 4955.

საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 22/07/1999, N 2287.

საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 20/02/1998, N1251.

საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. 09/10/2009, N1772.

შალიკაშვილი, მ., თანდილაშვილი, ხ., ბახტაძე, უ. (2023*). ვიქტიმოლოგია: მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ,* მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა. სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი.

Council of Europe. *New recommendation on rights, services and support for victims of crime*. Human Rights and Rule of Law. Retrieved December 20, 2023, from https://www.coe.int/en/web/human-rights-rule-of-law/-/victims-of-crime-committee-of-ministers-recommendation-aims-to-ensure-their-access-to-justice

Council of Europe. Portal. *Victims of crime: Committee of Ministers Recommendation Aims to Ensure their Access to justice*. Retrieved December 20, 2023, from https://www.coe.int/en/web/portal/-/victims-of-crime-committee-of-ministers-recommendation-aims-to-ensure-their-access-to-justice

Councill of Europe, Explanatory Memorandum of the Recommendation CM/Rec(2023)2 of the Committee of Ministers to Member States on Rights, Services, and Support for Victims of Crime, 15/03/2023.

Directive 2012/29/EU of The European Parliament and of the Council Of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support And Protection Of Victims Of Crime, And Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA.

European Commission: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013.

Recommendation No. R(87) 21 of the Committee of Ministers to Member States on Assistance to Victims and the Prevention of Victimisation, 17/09/1987.

Recommendation No. Re (85)11 of the Committee of Ministers to Member States on the Position on the Victim in the Framework of Criminal Law and Procedure, 28/06/1985.

Recommendation Rec (2006)8 of the Committee of Ministers to Member States on Assistance to Crime Victims, 14/06/2006.

Recommendation Rec (2023)2 of the Committee of Ministers to Member States on Rights, Services, and Support for Victims of Crime, 14/06/2006.

Treaty on the Functioning of the European Union.

The 2023 Council of Europe Recommendation on rights, services and support for victim of crime: Its Importance and Innovations

Khatia Tandilashvili
Grigol Robakidze University, Georgia
khatia.tandilashvili@gruni.edu.ge

Abstract. Since 1985, the Council of Europe has actively worked to enhance the legal standing of victims within the criminal justice system. It has adopted several legal acts that establish European standards for victims. In response to events occurring at the international level and the findings of victimological studies, the Council of Europe recognized the need to enhance the mechanisms for victim protection. Therefore, on March 15, 2023, the Ministerial Committee adopted a recommendation on the rights, services, and support for victims. Although non-binding, this recommendation holds great significance for member states because of the standards it establishes. It introduces innovations, expands on European Union standards, and reaffirms the victim's importance in the criminal justice system.

Key words: Victim of crime, International standards, Victim status, Legal aid, Compensation

Property registration of the ownership right to the agricultural land

Tornike Merebashvili[1]*
Davit Dzamukashvili[2]
[1, 2]Grigol Robakidze University, Georgia

***Corresponding author:** tornike.merebashvili21@gruni.edu.ge

Abstract. The paper highlights the existing legal, doctrinal, and practical state in Georgia and other countries abroad in the context of registration of ownership rights to agricultural plots by legitimate owners. Hence, the paper is a synthesis of theory and practice dealing with the social and state significance of agricultural land and voices several problems that arise in the process of recognizing the right to ownership of agricultural land plots legally owned by individuals or legal entities. In addition, it also emphasizes the reasons that lead to these problems both at the legislative and doctrinal levels. This article reviews the approach of Georgian law in terms of obtaining rights to agricultural land, especially the mechanisms of registration of property rights by legitimate owners. Historical, and comparative legal research methods used in the paper, cover the past, present, and future situation in terms of legal development of the agricultural field.

Keywords: Surveyor, Agricultural Land, Bona fide, Land consolidation, two-step registration system

Introduction

Land is the foundation of social and commercial relationships; it is the start and the end of life (Rembar, 2019). Land is the origin of all social and commercial interactions; thus, it is an essential base. Humans fail to realize that their existence is sustained from the historical memory of the universe and is formed by the natural world surrounding us. Therefore, the significance of land in human activities is immense, however, people start thinking about the issues like this when they face the signs of the environmental threat. Only after this, they realize how fragile and irreplaceable the land's rich resource is. The world where we live is tightly connected to land (Dixon, 2021). Hence, there is an eternal link between humans and land which stems from the natural state of man. it should be noted that the importance of land as an object is enormous in the economic, ecological, cultural, social and other issues which unite the entire world. The earth's rich resources, which people closely depend on need good management. It is a well-known fact that in Georgia most of the land is agricultural (Merebashvili, 2021), therefore, according to the current situation in Georgia it is relevant to correctly distribute and manage farmland. It is also worth noting that this process to some extent is managed in unreliable way, namely, while registering the ownership rights to a piece of land. It is significant to cover certain aspects of obtaining rights to this highly rated object.

The structure of the thesis develops by analyzing the most general property rights to show how important land is as an object of property rights; in addition, it highlights the social importance of land and what is more, the registration which determines the connection between two heterogeneous worlds, in default human and land, even though both of them represent the worlds

connected by their continuous nature which makes this topic more relevant. Thus, the most important issue of the land law is the rational use and management of land.

Interdependence between the property rights and the nature of land

The topic which deals with the interdependence of humans and the property object is always relevant. Hypothetically, the question arises: can a person claim to own a watch? Such a question in itself comprises two topics: primarily, the property owner's application which refers to the disclosure of the existence of property rights, and accordingly, the assertion, which implies the person's attitude to the moveable object, and on the other hand, immoveable objects, which require special presentation to be considered as an individual's property (Dixon, 2021). Although the paper deals with land law, it is vital to cover the legal aspects of property rights to emphasize the relevance of the topic.

The property rights have a complex content to the extent that it comprises the integrity of various rights (Constitution of Georgia, 1995) or to say more precisely, as some English scholars have defined, it is a relationship expressing dependence on the thing in possession between the owner and other persons (Honore, 2020, p. 107), therefore, it expresses the connection between two heterogeneous worlds, which is known to have existed before the fundamentals to the law (Rembar, 2019), and which makes the acquisition of rights to property objects more interesting. property rights are one of the oldest rights in the history of mankind which is also referred to as "natural" rights by some scholars (Dzamukashvili, 2017, p. 17). The discussion of the notion property and its concept has a long history. As one of the Doctor of Juridical Science Davit Dzamukashvili working in Georgia would state – "The notion of property originated when Eva and Adam covered themselves with the fig leaves". During the English Revolution, the property right was considered a fundamental right and was established in the same way in the legislation of that time as well. In view of the fact that the property right, as it was already stated, is an absolute right pursuant to the private law, for some reason science and legislation do not outline the depths that concern to the state interests, consequently, the protection of public interests, environmental values and natural resources is not regulated. In Slovakia, decisive measures to protect land were taken in the 19th century which was related to the development of certain sciences and the creating unprecedented means for the soil harvest. Boosting the profit from cultivating land, which required taking regulation actions, put the need for legislation regulations on the agenda in this regard. In Slovakia and in leading developed countries the evolution of the correlation between people and land began at that time which contributed to the creation of a protected and harmonious environment at the legislative level. The European Commission considers that the efficient management of land in Europe is entirely dependent on legal regulation; this is worth paying attention since land is a resource that will degrade and lose its properties faster than it can retrieve them, therefore, it needs effective management. Thus, a more effective agricultural land management policy should be determined. It is noteworthy that by the decision of the European Parliament, an environmental action program has been established, which indicates human impact on land and its scope, which causes significant pressure on nature (The National Council of the Slovak Republic: 7th term of the National Council of the Slovak Republic, parliamentary press no. 658). Land in Georgia falls into categories (Law of Georgia on determination of the designated purpose of land and on sustainable management of

agricultural land, 2019. Art. 3) and agricultural land has a special significance which is due to the international approach and natural conditions of Georgia, since the economy and main development vector of Georgia are addressed towards agriculture (Functions and Goals of Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia).

In Georgia, it is necessary to regulate such a significant issue in more depth at the level of the constitution, because according to the latest European practice, in the example of Slovakia, it is clear that the declared provision of the constitution states that the land of the Slovak Republic is the heritage of the state, citizens and future generations, and land is a non-renewable natural resource in the earth's ecosystem, in Slovakia When adopting the aforementioned constitutional act, each member of the parliament relied on the legal acts adopted so far and defined land as a non-renewable natural resource (Constitution of The Slovak Republic, 1992).

In Georgia it is imperative to regulate such an important issue more deeply at the level of the constitution, as pursuant to the latest European practice, on the example of Slovakia, it is clear that the declared provision of the constitution states that the land of the Slovak Republic is the heritage of the state, citizens and future generations, and land is a non-renewable natural resource in the earth's ecosystem; in Slovakia when adopting the aforementioned constitutional act, each member of the parliament relied on the legal acts adopted so far and defined land as a non-renewable natural resource (Constitution of The Slovak Republic, 1992). Management of agricultural land resources in Georgia "nobody knows" whether it is effectively regulated at the constitutional level, however, it undoubtedly needs more depth in order to be a correct policy determinant as a basis for further acts. Apart from that, the foundation of the agricultural development of Georgia is in the promotion of farms; the effective operation of the farm, on the other hand, is a significant means of the development of the agricultural sector. Since 2016, a significant legal step has been taken, which was supposed to facilitate bringing agricultural plots into compliance with the goals of the Constitution. The law, which was adopted on the procedure for systematic and sporadic registration of rights to land plots and perfection of cadastral data, serves the following purposes:

1. To develop a unified standard of surveying drawing,
2. The state (registration body) should help the interested person in finding documents establishing the right,
3. The state should be actively involved in the resolution of disputed issues,
4. To help the state citizen in finding all other documents.

This serves the purpose of developing agriculture, which was the idea during the privatization period itself, when plots of land were shared out and this process was related to the state development (Law of Georgia On Privatization of State-Owned Agricultural Land, 2005). However, with the same law, the ways of registration of property rights by the owners were greatly simplified, which, on the other hand, also made it easier the ways of meeting the unscrupulous goals of the unjust owners.

Agricultural land is indeed special in terms of its significance both in Georgia and in the world. While registering rights to agricultural land a lot of issues are to be considered. Georgian scientific doctrine is also familiar with the opinion that for agrarian countries with a small amount of land such as Georgia the above said issue is extremely relevant, since agricultural land is the most loaded with social function (Gabunia, 2018). In the present article the very idea that the nature and legal

guarantees of the property right on the one hand, should be considered for this object of high social and state significance, and on the other hand, the legal aspects of the restriction of the property right by the state are based on the social nature of agricultural plots. It is undisputed that the owner of the agricultural plot is obliged to dispose of the object in his possession by preserving the properties that the object has. The land owner is obliged to use the land according to its intended purpose, which is defined in the Law of Georgia on Agricultural Land Ownership (Organic Law of Georgian Agricultural Land Ownership, 2019, Art. 3). Thus, the land should be used for the production of crops and livestock products.

The social function of ownership in land ownership registration

The property object is wealth and the property has its value to many extents. A person may simply enjoy the possession of the object, for instance, a glass, or pliers, or they may use it in a way that can be followed by living usage consequence which has a value and the ability to produce income (Mandoki, 2016). In the case of land it is possible to use its physical aspects, for instance through farming, building a residential house on it, or its commercial use; they can be considered as a source of rental income with the desire to reasonably receive income from one's own property. The latter has become especially relevant since the 21st century when the number of houses and buildings around the world increased due to interest in rent and the interest in using it, which is known by the legal spectrum as the "BUY TO LET" phenomenon (Lawrenson, 2015).

The Georgian "Land Legislation" was not developed consistently, this was caused by the changing political situation in the recent history of the state. Thus, the establishment of the land regime was not an easy and quick way to register rights to immovable property and, in general, to legally establish the agrarian sphere. In international law, there are many models of land systematization, which determine the rights and disposition of land and its owner. The land registration model operating in Georgia started to form mainly in the 90s, which is related to the legislation of registration of rights to immovable objects and the drafting of documents establishing the right, most of which still participate in registration processes (Law of Georgia On the Improvement of Cadastral Data and the Procedure for Systematic and Sporadic Registration of Rights to Plots of Land within the Framework of the State Project, 2016, Art. 17).

The social significance of land is immense. Over a century ago an American environmentalist John Murray wrote in a scientific journal that one day he went out to jus take a walk and eventually he decided to stay out in his own garden until the sun set, as he said he did not want to go inside due to the impression his own house made on him (Engberg, 1980). Land law is an important part of private law because it regulates the objects for humans as subjects to living and relaxation.

The majority of land is evaluated how urbanized it is, this is not accidental, the reason for this is the correlation between man and land. Accordingly, human aspiration and "lust" for land leads to choices and hopes for something better. Thus, land is valuable, land law is a new field from the point of view of "relevance", but it has been forgotten for thousands of years, which is worth paying attention to along with human development.

It is worth noting that land law combines social and capital, environmental, recreational, resource management and all those relations of both state and private legal and mixed relations, which can be

formed in a legal state between an immovable object and a subject. A well-developed land market condition, especially of agricultural land, has a great state significance. Land is a vital object for the development of agricultural plants and animal husbandry, and it is also an effective and convenient way for the state to seek investments. In addition, land may also be a source of political power. It is a storehouse of wealth and financial assets that is used both for agricultural purposes and also to prevent inflation and economic crisis. Land is not only attractive to investors for its intended agricultural purpose, but also for those investors who are not interested in the above-mentioned activities, it is a favorable condition for collateral or other legal relationship they want, or as a means of security, whichalso contributes to the development of the credit market, which in turn can encourage investments. and increase the production of agricultural products.

Registration of agricultural land

The primary meaning of modern land registration systems is to prevent a third party from pursuing unauthorized interests on other people's land and to observe an owner's legal interests; in addition, the land owner should be able to utilize the piece of land to the extent that the object itself has, to take advantage of its economic value (Organic Law of Georgian Agricultural Land Ownership, 1996). For instance, the above said system has historically been in action in England in such a way that the land plot registration record includes not only the ownership data but other people's interests as well, such as easement and other limited Property rights or guarantees like mortgage which is and was supported by a relevant legal act (Law of Property, Act 1989, ss, 1,2). Thus, the purpose of the registration system and registration itself is to enable the land buyer to find out as easily as possible whether the seller actually owns this piece of land before purchasing it or in the event of registering the property.

There is no doubt that these systems contribute to the process of transferring the rights and its legal guarantees (Shotadze, 2014). Any person has the right to learn about the rightful status of someone else's land if they are interested in purchasing it which facilitates the implementation of relationship to the extent that the buyer is conscious beforehand of the legal status of the object. Hence, in this regard, the direct way to strengthen management (i.e. management of the rights) is to correctly register the rights. It should be noted that if there are no rights registered to the object, there is a great likelihood that these rights do not exist at all. However, in addition to private legal understanding, there is a legal understanding and approach to land law, which is no less significant since a large part of agricultural land and forest land is state property, besides, the state must take care of the proper management of land, both in current relations and in the future the state must provide benchmarking issues, be it road expansion, natural resources management, investments or others. In the constitution of Georgia, there is no clear entry in connection to protecting agricultural land and forest resources, which causes problems. Article 7 in the Georgian constitution refers to territorial arrangement basis which covers the country's foreign policy, criminal law, penitentiary, state finances and other issues which belong to special governance of the highest state bodies (Constitution of Georgia, 1995, Art. 7). It is appropriate if the policy of agricultural land is also defined in the same article, because it is clear from the information presented in this article, how big an object we are talking about, both for the state and for separate individuals. It should be noted that Article 19 also drily depicts the state significance of the object which later will have a negative impact

on the registration legislation. It is written in the constitution that "agricultural land can only be owned by the state, self-governing unit, a citizen of Georgia or an association of citizens of Georgia (Constitution of Georgia, 1995, Art. 9). Exceptional cases can be established by the organic law which shall be adopted by a majority of no less than two-thirds of the composition of the Parliament." Yes, there is a deficiency in the entry, namely, the fact that agricultural land makes up non-renewable resources which is not only of special significance but also the main object of the existence of the state importance and agrarian policy and which requires special protection. considering the European legislation, quite a few constitutions deal with this basic issue (Constitution of the Slovak Republic, 1992). The constitution of Slovakia covers not only the provision of agricultural land but the provision of the environment as well, which comprises the protection of wild plants and wild animals. Hence, the balance between private legislative interests and state interests is difficult to maintain, especially in today's situation, when in Georgia there is a simplified rule for the registration of legitimate landowners (Law of Georgia On Recognition of Ownership Right to Land Plots Owned (Used) by Individuals and Legal Entities of Private Law, 2007), which does not reflect the ideas covered in this article and the high standard of land value protection which becomes the basis for undermining the interests of the real owner, or violation of state interests when the presence of an irrelevant registration system makes it easier to meet the registration requirements of dishonest and unfair interested parties. More efficient protection of agricultural land and natural resources at the legislative level should be implemented by specifying that it is a non-renewable natural resource although this is due to the nature of the land itself and therefore it cannot be mandatory that the individual(s) who created the norm come to this conclusion.

In the constitution, it would probably be good to emphasize these qualities and establish an appropriate norm on its protection along with nature and the environment, which will lead to the consequence that the legislation will be regulated and accordingly, it will become difficult to transfer state resources and land to private owners. This will be a kind of filter to prevent the unscrupulous and unjust owners from taking over agricultural lands in simplified and irrelevant ways. A balance between state and private legal interests is necessary, which can be achieved by the effective protection of state resources.

The registration basis of equitable ownership should be emphasized. Equitable ownership means certain prerequisites, which are explained in the Law of Georgia on recognition of ownership rights to land plots owned (used) by natural and private legal entities, where it is listed that in order to confirm the request for recognition of ownership rights to land inequitable ownership, the interested person must submit a physical and private law certificate. The following documentation in accordance with the Law of Georgia on recognition of ownership rights to land plots owned by legal entities:

a) a document confirming the legal ownership (usage) of the land;

b) cadastral planning/measurement drawing of the land plot;

c) a document confirming the payment of the fee for recognition of the right of ownership;

d) identification documents of the interested person;

e) Other documentation stipulated by the legislation of Georgia (Law of Georgia On Recognition of Ownership Right to Land Plots Owned (Used) by Individuals and Legal Entities of Private Law, 2007, Art. 5).

It should be noted that there is a list of dependable sources in the legislative organization which is the basis to evaluate the relevant ownership of an object honestly and fairly as the possession should meet these two criteria (Dzamukashvili, 2017). Thus, pursuant to the existing Georgian legislation, namely, considering the law about the rules of systematic and sporadic registration of the rights to a land plot and perfecting cadastral data, if any act is not present, for instance the rights to ownership of the and the law of Georgia on the perfection of cadastral data, if there is no act, for example, the ownership right to land plots in the legitimate possession of a household member was registered on the basis of an extract from the household book, which should contain the information about the members of the household and the property situation, if the said record is not on the face, or at least another document establishing the right, which is acceptable to the registering authority to register the property, the registering authority will transfer for review to the municipality, which, based on the factual circumstances, on the basis of an individual administrative legal act, confirms such ownership, which is sufficient for registration. In addition, the public registry also has such authority when systematic registrations of land plots in a specific area within the framework of the project are underway.

Judging from the reported information, it is appropriate for the government to form an authorized body based on a multidisciplinary idea, which on the basis of actual information will clearly and objectively establish the integrity and regularity of the fact of ownership, and not “outdated” documents establishing the right, which is very far from the technological, or even social needs of the 21st century. This process will greatly protect the object itself from the illegal owner because the property will be registered by reliable means in the ownership of those subjects who really want to use this property for the purpose that is its nature. The state will properly fulfill the goal defined by the Constitution.

Land law, as noted, has been shaped by history. Modern land law is a legislative arrangement (Smith, 2010, pp. 3-10), ecause the owner needs protection. In Georgia, as in other civilized states, land registration is considered a guarantee that the rights of owners are protected (Zarandia, 2019, p. 422). However, some of the English scientists in their works express the opinion that the support of the land, i.e. the rights of the owners, are natural rights, therefore, the question is, should the protection of these rights be subject to registration only?

In their view, all landowners have the right to use their land in its natural state, and accordingly, they have the right to have their land recognized as their own property, and for this reason, scientists name the responsibility and support of neighbors (Mandoki, 2016, pp. 25-35). The approach of scientists has long been known but is still relevant, and is very similar to the implementation of intellectual rights, the rights of the subject of copyright law when the author does not need to deposit the right to be recognized as the author (Mira, 2013). Thus, according to this opinion, equitable ownership may become the basis for the origination of property rights much more easily, if the connection between the land and the subject is of the same nature as the property right of the Property law itself. This idea is also reflected in the modern Georgian registration legislation when in the process of recognition of rights, the right of ownership is registered in the relevant authorized body with the confirmation of the neighbor (Public Service Hall. Property Registration). The

information used in this process cannot be reliable, correspondingly it needs to be insured and regulated by such norms which will reduce the influence of dishonest and unscrupulous interested parties on the object. This ensures the interests. This ensures the interests of both private owners and the state. At such times, the case is complicated by the rights and duties of the self-governing bodies themselves and the documents establishing the right based on unreliable information. One of the court decisions is related to a case considered incompetently by the authorized body, where it was necessary for the court to declare invalid the order of the mayor's office of one of the municipalities, which was related to the refusal to consider the confirmation of the extract from the minutes #1 of the meeting of trustees of the cooperative farm dated July 8, 1994 (Decision of Batumi City Court, case N3/122-2018). This act should not be the attribution. This act should not determine the registration, but the actual situation should determine it, it comes from the relationship between the land and the person, however, the question arises as to how much such an approach will protect the object from those interested parties who are driven by dishonest goals. In this case, the state should develop a two-stage registration system where at the first stage it will be registered registration without the rights to alienate by fulfilling a certain obligation, which implies the purposeful use of the object whatever category it is for a period of, for instance 10 years, and after the expiration of this period the property belonging to them should be fully legalized as their property. This approach is completely fair when it comes to the process of acknowledging their rights, and the terms are quite reasonable since we are dealing with immoveable property, namely, agricultural land, which indicates the significance of the topic.

Legal essence of land registration and the owner's legal prospects

Based on the present article, land registration has been covered from the point of view of shedding light on the extension of rights to exhaustible land resources. Thus, land, as the most general verbal manifestation of an immovable thing, must be registered in order to protect the owner of the rights to it (Zarandia, 2019). Pursuant to German law, land registration is carried out through the land registry, therefore, any rights related to immovable property are gathered in this registry. Thus, in Germany, only such registration gives rise to the rights of subjects on the land (Chanturia, 2001).

It is known that in Georgia, Article 183 of the Civil Code defines the necessary transaction for the acquisition of immovable property in written form and the registration of the ownership right determined by the transaction to the buyer in the public register. Thus, it is clear that the Civil Code specifies registration as a necessary prerequisite for the transfer of ownership of immovable property (Dzlierishvili, 2010).

In the legal world, there is a lot of talk about how possession differs from ownership. The main reason is that "the ghost of the owner always lurks in the owner" (Soidse, 2003, p. 58). Legally, ownership is a legal category, while ownership is factual. The owner is the person who exercises actual domination, therefore in some cases it is likely that he is also the owner, while the one who exercises ownership is in many cases the owner, but not always (Zarandia, 2019, p. 133). As for the legal consequence, in the case of immovable things, if the ownership is manifested by the signs that are considered by the law in accordance with the principle of good faith and propriety, such ownership may give rise to grounds for registration of ownership. The legal result of ownership, as covered in Georgian legal literature, depends on the nature of the owner himself. Possession of real

estate is special depending on the object's significance. It is clear from one of the Georgian-language legal literature that the owner must act as if he is the owner of the thing, and to determine the nature of the ownership, it is sufficient that the possession is for his own benefit only (Kochashvili, 2012). The relationship between the owner's and the proprietor's rights depends on time, because when the possession is for a reasonable time it is more likely to give rise to the owner's right to register the immovable property. The ownership of the immovable object and the owner's registration as the proprietor must exist continuously for fifteen years (Civil Code Commentary, 2018, Book II, p. 68). The source of realization of this theoretical concept in practice is embedded in the land legislation of Georgia. Chapter 2 of the Law on the Systematic and Sporadic Registration of Rights to Land Plots and Perfection of Cadastral Data and Article 5 of the Law on Recognition of Ownership Rights to Land Plots Owned (Used) by Individuals and Legal Entities of Private Law are highly relevant. Legislation defines the prerequisites and possibilities that must accompany the process of transitional legal registration of ownership and proprietorship.

Conclusion

In conclusion, it can be said that the legislation on the registration of property rights on the land plots legally owned by natural and legal persons cannot ensure agricultural goals. It is necessary to develop a two-step system of registration, where the first step will be the processing of factor data and the identification of the probable owner, and the second step will be complete registration. All of this will reduce the risks expected by recognizing the rights to immovable property, which primarily excludes direct or indirect infringement of the legal interests of the real owner, relieves the court of disputes, promotes the development of the state's agrarian sector, and excludes the misappropriation of agricultural lands. It would be expedient to define the following norm in the Georgian Law on recognition of property rights to land plots owned (utilized) by individuals and legal entities of private law: “The interested person shall be registered the ownership considering the relevant factual and legal situation, however, on the condition that he will use it for agricultural purposes for a period of 10 years, during which he will not have the right to transfer rights”. All this will reduce the action of unscrupulous and unfair interested parties to take possession of agricultural land in illegal ways. On the other hand, a two-step registration system should be created for such registrations in which there is no document establishing the right which will more effectively protect the interests of the interested person, the real owner and the state. At he first stage, the factual situation should be described and the potential owner should be identified, meanwhile the relevant authorized persons should take measures that will eliminate the possibility of registration of ownership based on unreliable information and documents. The potential owner should be entrusted with the agricultural activity in the territory within the period required for the final registration.

It is important that the responsibility for land registration be distributed between the state and private entities according to the same principle as it is between the agricultural land itself, the private owner and the state. Thus, it will be appropriate for the state to delegate those powers to private law entities which will not interfere, and on the contrary will contribute to the correct and relevant registration of land rights.

References

Chanturia, L. (2001). *Property Ownership, Comparative Legal Research*. Tbilisi.

Civil Code Commentary. (2018). Book II, Tbilisi.

Civil Code of Georgia. 26/06/1997, N 786 IIs.

Constitution of Georgia. 24/08/1995, N 786.

Constitution of the Slovak Republic, as amended. 1 Act. no. 460/1992 Coll.

Constitution of The Slovak Republic. 03/09/1992, N 460.

Decision of Batumi City Court, case N3/122-2018.

Decision of the Administrative Affairs Chamber of the Supreme Court of Georgia of February 28, 2013 #BS-367-363(K-12).

Dixon, M. (2021, 12th Edition). *Modern land law*. Routledge.

Dzamukashvili, D. (2017). *Property Law*. Tbilisi.

Dzlierishvili, Z. *Legal Nature of Property Transfer Contracts.* Tbilisi.

Gabunia, M. (2016). *Social Function of Property in the Context of Realization of Property Right on*. Davit Batonishvili Law Institute Publishing House. Tbilisi.

Honore M. (2020). A. M.: Honore in Guest, Oxford Essays in Jurisprudence. Oxford University Press, (1961).

Kochashvili, K. (2012). *Ownership as the basis of presumption of ownership*. Tbilisi State University. Tbilisi.

Land policy and legislation. Global Land Tool Network. https://gltn.net/land-policy-and-legislation/#

Law of Georgia On determination of the designated purpose of land and on sustainable management of agricultural land. 25/06/2019, N 4849-IIs.

Law of Georgia On Privatization of State-Owned Agricultural Land. 08/07/2005, N 1896.

Law of Georgia On Recognition of Ownership Right to Land Plots Owned (Used) by Individuals and Legal Entities of Private Law on Additions and Amendments to the Law of Georgia. 11/07/2007, N 5274.

Law of Georgia On the Improvement of Cadastral Data and the Procedure for Systematic and Sporadic Registration of Rights to Plots of Land within the Framework of the State Project. 03/06/2016, N 5153

Law of Property (Miscellaneous Provisions) Act 1989, ss, 1,2.

Lawrenson, D. (2015). *Successful Property Letting: How to Make Money in Buy-to-Let Paperback*.

Mandoki, I. (2016). *A Hagyateki Vagyonterevezes* (Estate Planning). Budapest.

Merebashvili, T. (2021). *Registration of rights to real estate*. Kalmosani. Tbilisi.

Mira, T., Rajan, S. (2013). *Tradition and change: The past and future of author's moral rights*.

Organic Law of Georgian Agricultural Land Ownership. 22/03/1996, N 165.

Public Service Hall. *Property Registration*. https://psh.gov.ge/main/page/3/113/128

Rembar, Ch. (2019). *The law of the land: The Evolution of our Legal System*. Brilliance Publishing.

REngberg and D Wesling, John Muir. (1980). *To Yosemite And Beyond - Writings from the Years 1863 to 1875*. Univ of Wisconsin Press. Madison.

See Articles 2 and 17 of the French Declaration of the Rights of Man and of the Citizen (1789). See also Section 1 of the Virginia Declaration of Rights (1776).

Shotadze, T. (2014). *Property Law*. Tbilisi.

Smith, J. R. (2010). *Introduction to Land Law.* Second Edition. England.

Soidse, B. (2003). *Georgisches Sachenrecht*. Tbilisi.

The decision of the Supreme Court of December 27, 2018 #BS-803 (K-18).

The Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia. *Functions and Goals of Ministry.* https://mepa.gov.ge/Ge/Page/functionsandgoalsofministry.

The National Council of the Slovak Republic: 7th term of the National Council of the Slovak Republic, parliamentary press no. 658.

Zarandia, T. (2019). *Property Law*. Tbilisi.

საკასაციო საჩივრის ფარგლებს გაცდენა, საკასაციო საჩივრის არარსებობის პირობებში

გიორგი ლაცაბიძე[1]*
თამარ სადრაძე[2]
[1, 2]გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო

***პასუხისმგებელი ავტორი:** giorgi.latsabidze22@gruni.edu.ge

რეზიუმე. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე, სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კი მხარეს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით დააყენოს შუამდგომლობა, მოიპოვოს, სასამართლოს მეშვეობით გამოითხოვოს, წარადგინოს და გამოიკვლიოს ყველა შესაბამისი მტკიცებულება. აღნიშნული პრინციპი ასევე რეალიზებულია სისხლის სამართლის საქმის უზენაეს სასამართლოში განხილვისას; კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 301-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო საჩივრის განხილვის ფარგლები დამოკიდებულია იმ გარემოებაზე, თუ რა მოცულობით ასაჩივრებს მხარე განაჩენს და რა მოცულობით ითხოვს მის გაუქმებას ან შეცვლას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით კი საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. მიუხედავად ნორმათა ამ ჩამონათვალისა, სტატიაში განხორციელებული კვლევის შესაბამისად, წარმოდგენილი და შესწავლილია, თუ რა ნორმებზე დაყრდნობით განმარტავს საკასაციო სასამართლო, რომ იგი უფლებამოსილია, გასცდეს საკასაციო საჩივრისა და შესაგებლის ფარგლებს და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება, მიუხედავად იმისა წარმოდგენილია თუ არა მეორე მხარის საჩივარი ან მოთხოვნილია თუ არა მეორე ინსტანციის განაჩენის გაუქმება ან შეცვლა.

საკვანძო სიტყვები: მხარეები, თანასწორობა და შეჯიბრებითობის პრინციპი, საკასაციო საჩივარი, საკასაციო საჩივრის განხილვის ფარგლები

შესავალი

დღევანდელი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპია. სწორედ ამ პრინციპის დაცვით ატარებენ მხარეები გამოძიებას, მოიპოვებენ მტკიცებულებებს, მოპოვებულ მტკიცებულებებს წარადგენენ სასამართლოში, დადგენილი წესით წარადგენენ საჩივრებს და თავადვე წყვეტენ რა მტკიცებულებას როგორ და რა ფორმით გამოიკვლევენ. სასამართლო კი ვალდებულია მხარეებს შეუქმნას ერთნაირი პირობები მტკიცებულებათა კვლევისას. მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვა სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის თითოეულ ეტაპსა თუ

სტადიაზე ადგენს მხარეებისათვის უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლის რეალიზებისათვის აუცილებელია მხარეებმა დაიცვან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამ მოთხოვნების დაცვას ასევე ავალდებულებს სასამართლოსაც, რათა არ დაირღვეს მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა. ერთ-ერთი ასეთი მოთხოვნა, რომელსაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი საკასაციო სასამართლოსთვის ადგენს არის ის, რომ საკასაციო სხდომაზე სასამართლომ საკასაციო საჩივარი განიხილოს საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში. თუმცა, სასამართლო პრაქტიკის შესწავლით გამოჩნდა, რომ სასამართლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის ამ მოთხოვნას არც თუ ხშირად, მაგრამ მაინც არღვევს, არ იცავს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს, სცდება საკასაციო საჩივრის ფარგლებს, თან იმ დროს, როდესაც მხარეს არა თუ საკასაციო საჩივარი არ აქვს წარდგენილი, არამედ საკასაციო შესაგებელიც კი. შესაბამისად, სტატიის მიზანია განიხილოს და დაადგინოს თუ როდიდან დაიწყოს საკასაციო სასამართლომ საკასაციო საჩივრის განხილვის ფარგლებს გადაცილება და რა სამართლებრივი ნორმები მოყავს ამის დასასაბუთებლად. ასევე, როგორ არის გაგებული სასამართლოს მიერ საქმის სასამართლოში განხილვის დროს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვა, მაშინ როდესაც მეორე მხარეს არა თუ საკასაციო საჩივარი, შესაგებელიც კი არ აქვს წარდგენილი და ცდება საკასაციო საჩივრის ფარგლებს და ისე ღებულობს გადაწყვეტილებას.

მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვის გაგება საკასაციო საჩივრის განხილვისას

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (შემდგომში - სსსკ), რომელიც 2009 წლის 9 ოქტომბერს იქნა მიღებული, ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბრიდან და მრავალი სიახლე შემოიტანა, მათ შორის კი ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა შეჯიბრებითი გახდა (სსსკ, 2009). მართალია, მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარესაა და შესაბამისად, ბრალდების მხარე ვალდებულია მოიპოვოს და წარადგინოს ბრალის დამადასტურებელი მტკიცებულებები განსხვავებით დაცვის მხარისაგან, რომელსაც არანაირი ვალდებულება არ აქვს მტკიცებულებების წარდგენის, თუმცა დაცვის მხარეს აქვს მტკიცებულებების მოპოვებისა და მისი წარდგენის უფლება (Signorelli, 2011, 329). ისარგებლებს თუ არა დაცვის მხარე და გამოიყენებს თუ არა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებას ეს დამოკიდებულია დაცვის მხარის სურვილზე, რასაც ბრალდების მხარეზე ვერ ვიტყვით, რადგან შეჯიბრებით (adversarial) პროცესში ბრალდების პასუხისმგებლობის ტვირთი ორ კომპონენტს მოიცავს, რაც გულისხმობს წარდგენასა და დარწმუნებას. წარდგენა გულისხმობს სასამართლოსთვის მტკიცებულებების წარდგენას, ხოლო დარწმუნების ტვირთი კი გულისხმობს მოსამართლის დარწმუნებას კანონით დადგენილი სტანდარტების მიხედვით (Storm, 2015, 54). შესაბამისად, პროცესის მიმდინარეობისას დაცვის მხარე აქტიური იქნება თუ პასიური დამოკიდებულია მის სურვილსა და სტრატეგიაზე.

სსსკ-ის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე (სსსკ, 2009, 9.1). ამავე კოდექსის 25-ე მუხლის მეორე ნაწილი სწორედ ამაზე მიუთითებს, რომ მტკიცებულებათა მოპოვება, წარდგენა და გამოკვლევა მხარეების კომპეტენციაა და მასში სასამართლო არ მონაწილეობს საგამონაკლისო შემთხვევის გარდა (სსსკ, 2009, 25.2). შეჯიბრებითობის პრინციპი გარანტირებულია სასამართლოში საქმის განხილვის დროსაც (თუმანიშვილი, 2014, 74). „სისხლის სამართლის პროცესის პრინციპები შეიძლება განისაზღვროს როგორც კონსტიტუციითა და კანონებით განმტკიცებული ფუძემდებლური სამართლებრივი იდეები, რომლებიც განსაზღვრავენ როგორც მთელი პროცესის, ასევე მისი ცალკეული ინსტიტუტების არსსა და მნიშვნელობას“. (აქუბარდია, 2009, 117).

სისხლის სამართლის პროცესში მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი ის ძირითადი პრინციპია, რაზეც დამოკიდებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (ლალიაშვილი, 2015, 119). სსსკ-ის კომენტარისას მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის განხილვისას ნახსენებია 2014 წლის 17 სექტემბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს №608 წარდგინება, სადაც საუბარია, რომ სასამართლო შეზღუდულია საჩივრის ფარგლებით და სასამართლოს იმ შემთხვევაშიც კი არ შეუძლია გასცდეს საჩივარში დაფიქსირებულ მოთხოვნას, მაშინაც კი, როდესაც ის სწორად არ არის დაყენებული და მაგალითად მოყავს ის შემთხვევა, როდესაც მხარე სადავოდ ხდის მხოლოდ სასჯელის კანონიერებას, ხოლო სასამართლო სასჯელის სამართლიანობის შემოწმებისას აღმოაჩენს მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებს, რის გამოც პირი საერთოდ უნდა გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისგან, სასამართლოს არ შეუძლია „sua sponte” გადაწყვეტილების მიღება და საჩივრის განხილვის ფარგლების გაფართოვება ვიწროდ (მეზვრიშვილი და სხვ., 2015, 85). თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ კანონისმიერი ვალდებულება, რომელიც მოსამართლეს უკრძალავს საქმის განხილვისას არ გამოიყენოს და უგულებელყოს კონსტიტუციური იმპერატიული პრინციპები იმ მიზეზით, რომ მხარეები არ ამახვილებენ ყურადღებას მათზე, ეს გამორიცხავს სამართლიანი სასამართლო განხილვისა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზანს (საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება, 2006, II-20).

საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში აქვს განმარტებული, რომ შეჯიბრებითი პრინციპი ეფუძნება მხარეთა ერთნაირ შესაძლებლობას მოიპოვონ მტკიცებულებები, ხელი შეუწყოს სწორი გადაწყვეტილების მიღებას (12, II-27). ასევე, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებისკენ არის მიმართული, თუმცა ის აბსოლუტური არ არის და მისი შეზღუდვა გამართლებულია ლეგიტიმური საჯარო ინტერესით (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 2016, II-15). დაუშვებელია ლეგიტიმური საჯარო ინტერესის მიღწევის მიზნის გამო ადამიანის უფლებების მომეტებული შეზღუდვა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 2010, II-60).

საკონსტიტუციო სასამართლომ 2021 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისა და ჯეროვანი მართლმსაჯულების განხორციელების შემადგენელი ელემენტი და აუცილებელი წინაპირობა მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებისა და სასამართლო განხილვის მიუკერძოებლობის უზრუნველყოფაა. თუმცა, ასევე განმარტა, რომ სამართლიანი სასამართლოს განხილვად ვერ ჩაითვლება სასამართლოს მხრიდან ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც სასამართლოს წარმოაჩენს მიკერძოებულად (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 2012, II-37). ამავე გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი არ ათავისუფლებს სასამართლოს თავისი პასუხისმგებლობისაგან, რასაც პირის ბრალეულობის შესახებ ყოველგვარი გონივრული ეჭვის გამორიცხვა და მართლმსაჯულების აღსრულება ჰქვია (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 2012, II-38). შეჯამებისას უნდა ითქვას, რომ მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის დაცვა გაგებულია იმდაგვარად, რომ ამ პრინციპის დაცვა ავტომატურად არ ნიშნავს სასამართლომ თვალი დაუხუჭოს უსამართლობას და არ შეაფასოს წარმოდგენილი მტკიცებულებები აკმაყოფილებს თუ არა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს, მიუხედავად იმისა ბრალდებული აღიარებს თუ არა ჩადენილ ქმედებას.

საკასაციო საჩივრის განხილვის ფარგლების გადაცდომა

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით საქმის დროული და სამართლიანი განხილვა უზრუნველყოფილია (საქართველოს კონსტიტუცია, 1995. 31.1). სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების მიზანია პირს მისცეს შესაძლებლობა თავისი უფლებების ეფექტურად დაცვის მიზნით მიმართოს სასამართლოს (საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 2021, II-4). შესაბამისად, მხარეებს აქვთ უფლება კანონით დადგენილი წესით წარადგინონ შუამდგომლობები, საჩივრები და ჩამოაყალიბონ თავიანთი მოთხოვნების ფარგლები. მ. ოშხარელის მოსაზრებით სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს საბოლოო განაჩენის კანონიერება, დასაბუთებულობა და სამართლიანობა დამოკიდებულია საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობაზე (ოშხარელი, 2009, 60-71).

სსსკ-ის 206-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მიხედვით მართალია საკასაციო საჩივარი განიხილება საჩივრისა და მისი შესაგებლის ფარგლებში, თუმცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა სხვა რამეზე მეტყველებს. პირველად საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა 2020 წლის 24 თებერვლის განაჩენში გასცდა საკასაციო საჩივრის ფარგლებს და პროკურორის საკასაციო საჩივრის საფუძველზე, მაშინ როდესაც დაცვის მხარეს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლოში არ ჰქონდა გასაჩივრებული, ცვლილება შეიტანა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენში და პირი უდანაშაულოდ ცნო საქართველოს

სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],151-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 360-ე მუხლის 1-ლი ნაწილით შერაცხულ ბრალდებაში (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 2014).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ამავე განაჩენში აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი საკასაციო სასამართლოში მხოლოდ ბრალდების მხარეს ჰქონდა გასაჩივრებული და შეეძლო თუ არა საკასაციო საჩივრის და მხარეთა მოთხოვნის ფარგლებს გასცდენოდა განაჩენის სამოტივაციო ნაწილის მეჩვიდმეტე პუნქტში მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში განვითარებულ მსჯელობებზე, სადაც საკონსტიტუციო სასამართლო უთითებს, რომ სამართლიანი სასამართლოს განხილვისა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზანი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კანონის დათქმა, რომელიც ბოჭავს მოსამართლეს, რომ არ გამოიყენოს იმპერატიული კონსტიტუციური პრინციპები. ასევე მიუთითა, საქართველოს საკონსტი-ტუციო სასამართლოსთვის ვენეციის კომისიის მიერ მომზადებულ სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაც, სადაც აღნიშნულია, რომ შეჯიბრებითი მოდელის არსებობა იცნობს წესიდან გამონაკლისებს და მხარეთა მოთხოვნის მიუხედავად სასამართლომ უნდა შეამოწმოს რიგი საკითხები მიუხედავად იმისა, რომელიმე მხარე მასზე აპელირებს თუ არა (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, 2014).

საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილებაში განვითარებულ ამ მსჯელობებზე დაყრდნობით საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ პირველად დაადგინა ისეთი შემთხვევა, როდესაც ის მსჯავრდებულის სასარგებლოდ გასცდა საკასაციო საჩივრის ფარგლებს და პირი უდანაშაულოდ ცნო წარდგენილ ქმედებებში. უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შემდეგ სასამართლოს განაჩენებში არც თუ ისე ხშირად შევხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც სასამართლო ცდება საჩივრის ფარგლებს მსჯავრდებულის სასარგებლოდ.

პრაქტიკის სახით მიმოვიხილოთ სასამართლოს გადაწყვეტილებები: თბილისის სააპელაციო სასამართლომ იმ პირობებში, როდესაც დაცვის მხარეს არ ჰქონდა გასაჩივრებული პირველი ინსტანციის განაჩენი ცვლილება შეიტანა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში და მსჯავრდებულს პიროვნული მახასიათებლიდან გამომდინარე შეუმსუბუქა სასჯელი, ხოლო უზენაესმა სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს ეს მსჯელობა გაიზიარა და მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება სრულად შეესაბამებოდა უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, 2020). საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2021 წლის 18 ოქტომბრის განაჩენით, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, დაცვის მხარეს არ ჰქონდა გასაჩივრებული სასჯელში შეიტანა ცვლილება, რადგან სააპელაციო სასამართლოს დანაშაულთა ერთობლიობით არასწორად ჰქონდა სასჯელი დანიშნული (20). საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 17 დეკემბრის განაჩენით

ცვლილება შევიდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში და განაჩენიდან ამოირიცხა მითითება გამოსაცდელი ვადის პერიოდში მსჯავრდებულისათვის ალკოჰოლური სასმლის აკრძალვის, ასევე, თანაცხოვრების გაგრძელების შემთხვევაში შვილის, რძლის, შვილიშვილებისათვის ყოველ ჯერზე მხოლოდ პატივისცემის გამომხატველი ფორმებით მიმართვის შესახებ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, 2021). საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 11 ივლისს განაჩენით ცვლილება შევიდა სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენში და ბრალდების ერთ ეპიზოდში გაამართლა და ასევე ბრალიდან ამოურიცხა ზედმეტად წარდგენილი ქმედებები (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენი, 2023).

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების შესწავლისას დადგინდა, რომ დაცვის მხარის საკასაციო საჩივრისა თუ შესაგებლის არარსებობის პირობებში თავისუფლად შეუძლია მოსამართლეს დაადგინოს გამამართლე-ბელი განაჩენი, როდესაც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით არ ადასტურებს პირის მიერ ჩადენილ ქმედებას. ასევე, საყურადღებოა რომ უზენაესის ამ განმარტებას იზიარებს სააპელაციო სასამართლოც.

დასკვნა

კვლევისას დადგინდა, რომ უზენაესი სასამართლო სისხლის სამართლის საქმის განხილვისას საქმის სამართლიანად გადაწყვეტის მიზნით, რათა არ მოხდეს უკანონოდ პირის მსჯავრდება, ცდება საკასაციო საჩივრის ფარგლებს, მიუხედავად იმისა არსებობს თუ არა დაცვის მხარის საჩივარი ან შესაგებელი. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სამართლიანი სასამართლოს განხილვისა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების მიზანს ემსახურება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი.

გამოყენებული ლიტერატურა

ა(ა)იპ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) და საქართველოს მოქალაქე ვახუშტი მენაბდე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 24/12/2014, №3/2/577.

აქუბარდია, ი., გოგოშელიძე, რ., ფაფიაშვილი, ლ., გოგნიაშვილი, ნ. (2009). *სისხლის სამართლის პროცესი* (ზოგადი ნაწილის ცალკეული ინსტიტუტები). გამომცემლობა სამართალი.

დანიის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-60. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 26/06/2012, №3/1/512.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციუ-რობის თაობაზე, II-37, 38. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 28/12/2021, №3/2/1478.

თუმანიშვილი, გ. (2014). *სისხლის სამართლის პროცესი* (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა). გამომცემლობა იურსიტების სამყარო.

ლალიაშვილი, თ. (2015). *საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი.* გამომცემლობა იურისტების სამყარო.

მეზვრიშვილი, ნ., თუმანიშვილი, გ., კვაჭანტირაძე, დ., ლიპარტელიანი, ლ., დადეშქელიანი, გ., გუნცაძე, შ., ფაფიაშვილი, ლ., თოლორაია, ლ. (2015). *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი.* თბილისი. ამერიკის იურისტთა ასოციაცია.

ოშხარელი, მ. (2009). მტკიცების პროცესი და მისი ეტაპები ქართული სისხლის საპროცესო სამართლის მიხედვით. ჟურნალი *„მართლმსაჯულება“,* (2), 60-71.

საქართველოს პარლამენტი. (2006). კანონი. განმარტებითი ბარათი, 04/04/2006, №07-2/218/6. თბილისი: საქართველოს პარლამენტი.

საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესი კოდექსი. 09/10/2009, N 1772. თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

საქართველოს კონსტიტუცია. 24.08.1995, N 786. თბილისი: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 27. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება. 30/09/2016, №1/8/594.

საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 15. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 28/06/2010, №1/466.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე. II-20.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 29/09/2015. №3/1/608,609.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2020 წლის 24 თებერვლის №688ა3-19 განაჩენი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2022 წლის 20 სექტემბრის №675ა3-22 განაჩენი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 18 ოქტომბრის #642ა3-21 განაჩენი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2021 წლის 17 დეკემბრის №624ა3-21 განაჩენი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2023 წლის 11 ივლისის №398ა3-23 განაჩენი.

Signorelli, W. (2011). *Criminal Law*, *Procedure, and Evidence*. New York. Taylor & Francis Group.

Storm, L. (2015). *Criminal Law*. University of Minnesota Libreraries Publishing edition.

Exceeding the Scope of the Cassation Appeal in the Absence of a Appeal

Giorgi Latsabidze[1]*
Tamar Sadradze[2]
[1, 2]Grigol Robakidze University, Georgia

***Corresponding author:** giorgi.latsabidze22@gruni.edu.ge

Abstract. According to the first part of Article 9 of the Criminal Procedure Code of Georgia, upon the initiation of criminal prosecution, the criminal legal process is carried out on the basis of equality and adversarial between the parties, also in accordance with the previous part of the second article, the party has the right to file a petition, obtain, demand through the court, present and examine all the relevant evidence in accordance with the procedure established by this Code. The mentioned principle is also realized in the consideration of the criminal case in the Supreme Court, in particular, the scope of consideration of the cassation appeal based on article 301 of the Code of Criminal Procedure depends on the extent to which the party appeals the judgment and to which extent it requests cancellation or change. According to article 206, part 4 of the Code of Criminal Procedure the cassation appeal shall be reviewed within the scope of the appeal and the response. Despite this list of norms, in accordance with the research carried out in the article, it is presented and examined, based on what the court explains that it is authorized to go beyond the scope of the cassation appeal and counterclaim and make a decision based on the evidence presented in the case, regardless of whether the appeal is presented or whether the party requests the annulment of the judgment of the second instance or change.

Key words: Party, Equality of arms and adversarial principle, Cassation appeal, Scope of consideration of cassation appeal

მალადაპტური სქემები სოციალური შფოთვის დროს

ნათია ბადრიშვილი[1*]
არჩილ ბეგიაშვილი[2]
სოფიკო ქიტიაშვილი[3]
მაგდა ლომაია[4]
[1, 2, 3, 4] გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო

***პასუხისმგებელი ავტორი:** natia.badrishvili@gruni.edu.ge

რეზიუმე. სტატიის მიზანია აჩვენოს კავშირი სოციალურ შფოთვასა და იანგის მიერ გამოყოფილ მალადაპტურ სქემებს შორის, კერძოდ, სოციალური შფოთვის ხარისხის მიმართება 18 მალადაპტურ სქემასთან (5 დომეინთან). კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სოციალური შფოთვის ხარისხის ზრდა კორელაციურ კავშირშია ნეგატივიზმი/პესიმიზმის სქემასთან და დომეინთან - ზესიფხიზლე/თავშეკავება. სტატისტიკურად სანდო კავშირი გამოიკვეთა სოციალური შფოთვის ცვლადსა და არასრულფასოვნება/სირცხვილის სქემას შორისაც. სოციალური შფოთვის მაღალი ხარისხის მქონე ინდივიდები მაღალ/საშუალო ქულებს იღებდნენ იანგის სქემების კითხვარში. სოციალური შფოთვის საზომი კითხვარის მეშვეობით, შესაძლებელი გახდა იმ სიტუაციებისა და ინტერაქციათა სპეციფიკის იდენტიფიცირება, რომელიც ყველაზე მეტადაა კავშირში სოციალური შფოთვის მაღალ დონესთან. გაირკვა, რომ ფორმალურ ინტერაქციასთან დაკავშირებული სოციალური სიტუაციები, კერძოდ, საჯარო გამოსვლა/აუდიტორიის წინაშე თვითპრეზენტირება ყველაზე მეტად აღძრავს შფოთვას კვლევის რესპონდენტებში.

საკვანძო სიტყვები: სოციალური შფოთვა, მალადაპტური სქემები, ნეგატივიზმი/პესიმიზმის სქემა, ზესიფხიზლე/თავშეკავების დომეინი

შფოთვა სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში ბევრ ჩვენგანს განუცდია და ეს ნორმალურია. ადამიანებისთვის გარშემომყოფების აზრს გარკვეული მნიშვნელობა აქვს. როდესაც შფოთვის ხარისხი ძალიან მაღალია, ინდივიდს უჩნდება ნეგატიური შინაარსის აზრები, რაც გავლენას ახდენს ქცევის ეფექტურობაზე. სოციალური შფოთვა (სოციალური ფობია) განიმარტება, როგორც ერთ ან რამდენიმე სოციალურ სიტუაციასთან დაკავშირებული შიშის ან შფოთვის გამოხატული ხარისხი, რომელიც დაკავშირებულია ჭარბ სენსიტიურობასთან სხვებისგან სავარაუდო დაკვირვებისა და შეფასების მიღების მიმართ (ლომაია, 2022, გვ. 498-499; Alden, L. & Wallace, 1995, pp. 146-148; Hope et al., 1990, pp. 185–195). ასეთი ტიპის სოციალურ ინტერაქციებს მიეკუთვნება: ინტერპერსონალური სიტუაციები - ადამიანების გაცნობა, პირისპირ საუბარი, ქცევის შესრულება სხვების თანდასწრებით, როგორებიცაა მაგალითად, საჯარო სივრცეში კვება, მუშაობა სხვისი დაკვირვების ქვეშ, სხვების წინაშე გამოსვლა - სიტყვის წარმოთქმა, მოხსენების წარდგენა (Clark, 1999, pp. 6-8; Hackmann et al., 1998, pp. 3-12).

ამერიკის შფოთვითსა და დეპრესიის ასოციაციის (ADAA) 2020 წლის მონაცემებით, 15 მილიონზე მეტი (18 წელს ზემოთ) ამერიკელი განიცდის სოციალური შფოთვის მაღალ, ინტენსიურ დონეს, რაც პოპულაციის 7.1% შეადგენს (Facts & Statistics, 2020). სტატისტიკა მზარდია. საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია ცნობილი არაა, თუმცა, შფოთვითი აშლილობების მიზეზით სპეციალისტებთან მიმართვიანობის სიხშირე სულ უფრო იზრდება. ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული თემების მნიშვნელობა, ინტერესი და ღიაობა შესამჩნევ პროგრესს განიცდის. სწორედ, ამიტომ, საკითხის აქტუალობა მაღალია. უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურ შფოთვასთან დაკავშირებით არსებული ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა მწირი და ლიმიტირებულია, მით უფრო ნაკლებადაა შესწავლილი მალადაპტური სქემები. შესაბამისად, საკვლევ საკითხთან დაკავშირებული ქართულენოვანი მასალა არ არის ხელმისაწვდომი. მიღებული მონაცემები ხელს შეუწყობს საკითხის კვლევის ახალი არეალის ფორმირებას და თემასთან დაკავშირებული სამომავლო კვლევითი ინტერესების ზრდას.

კვლევის მიზანია დაადგინოს კავშირები სოციალური შფოთვის დონესა და მალადაპტურ სქემებს შორის (Riso et. al., 2007, pp. 3-11), კერძოდ, გაარკვიოს, იზრდება თუ არა მალადაპტური სქემების ინტენსივობა შფოთვის დონის ზრდასთან ერთად. ამასთან, განისაზღვროს, 18 მალადაპტური სქემიდან რომელთან აქვს ყველაზე მკვეთრი კავშირები სოციალური შფოთვის ცვლადს და როგორია მათი ურთიერთმიმართებათა სპეციფიკა.

დობსონის მიხედვით (დობსონი, 2013, გვ. 200-201), სქემები მყარი წარმოდგენებია საგნების, ადამიანებისა და ცნებების შესახებ, რომელიც, ასევე, თითოეულ მათგანს შორის ურთიერთობას მოიცავს. სქემათა ფორმირება ადრეული ბავშვობიდან იწყება და ემყარება გარემოს მიერ აღიარებულ, ნახსენებ და დამკვიდრებულ აზრებსა და იდეებს. ზრდასთან ერთად, უკვე მიღებული და დამახსოვრებული ინფორმაცია რეალურ გამოცდილებებს ერწყმის, რაც, განამტკიცებს ან გამოწვევის წინაშე აყენებს სქემებს (Brozovich & Heimberg, 2011, pp. 224-235; Caveste et.al. 2013, pp. 278-288). სქემები მიმართულია საკუთარი თავის, სხვებისა და სამყაროსკენ. სქემები გავლენას ახდენს კოგნიტურ პროცესებზე. მათ შორის, მნიშვნელოვანია, მეხსიერების მიკერძოება, რომელიც, განამტკიცებს სქემებს (Cole et. al., 2001, pp. 651-665; Hastie & Kumar, 1979, pp. 25-38; Wenzel, 2012, pp. 17-34).

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საზომ ინსტრუმენტებად გამოყენებულ იქნა ლიბოვიცის სოციალური შფოთვის შესაფასებელი სკალა (LSAS) და იანგის სქემების კითხვარი (YSQ-L3). აღნიშნული კითხვარები 2 სექციად გაერთიანდა Google Form-ში და დაეგზავნა რესპონდენტებს, რომლებიც ხელმისაწვდომობის პრინციპით შეირჩნენ. კვლევის მიზნის, საკვლევი ინსტუმენტებისა და პროცედურის შესახებ საჭირო ინფორმაცია კითხვარის ინსტრუქციაში იქნა განთავსებული. მონაწილეებისათვის ცნობილი იყო, რომ ანონიმურობისა და კონფიდენციალობის ეთიკა დაცული იქნებოდა. ლიბოვიცის სოციალური შფოთვის საზომი კითხვარი (Liebowitz Social Anxiety Scale) ზომავს ინდივიდის სოციალური შფოთვის ხარისხს სოციალური ინტერაქციისა და სოციალურ სიტუაციებში ქცევის განხორციელების პროცესში (Liebowitz, 2023, pp. 2-8). იანგის სქემების კითხვარი (YSQ-L3) მიზნად ისახავს 18-ვე სქემის გაზომვას. დებულებები შინაარსობრივად

გამოხატავენ რწმენა-შეხედულებებს, აზრებსა თუ ვარაუდებს. რესპონდენტი აფასებს თუ რამდენად ეთანხმება თითოეულ მათგანს, ანუ, რამდენად მიესადაგება დებულებები თავად მას (Young et. al., 2003 pp. 63-91).

სოციალური შფოთვისა და მალადაპტურ სქემების კავშირი სხვადასხვა ავტორების მიერ არის შესწავლილი (Gewelt, 2017, pp. 11-16; Gkika et.al., 2017 pp. 10-30; Hiemisch et. al., 2002, pp. 103-114). აღმოჩნდა, რომ კვლევის 360 მონაწილიდან, მათ, ვისაც სოციალური შფოთვის მაღალი მაჩვენებლი გამოუვლინდათ, მაღალი ქულები აჩვენეს იზოლაცია/უარყოფის დომეინში. კვლევამ ასევე დაადგინა, რომ ტემპერამენტი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს დაძლევის სტრატეგიათა არჩევაში. სოციალური შფოთვის შემთხვევაში, რესპონდენტები, რომლებიც მეტად იყვნენ ინტროვერტული, იყენებდნენ ამრიდებლურ ქცევას, როგორც დაძლევის სტრატეგიას (Miaret et. al., 2014, pp. 171-190).

2006 წელს პორტუგალიაში ჩატარებული კვლევებით, გაირკვა, რომ სოციალური შფოთვის მქონე ინდივიდები მკაფიოდ მაღალ ქულებს იღებდნენ თითქმის ყველა მალადაპტური სქემის შემთხვევაში იმ მონაწილეებთან შედარებით, რომლებსაც არ აღენიშნებოდათ შფოთვის გამოკვეთილი დონე. აღმოჩდნა, რომ სოციალური შფოთვის მქონე ინდივიდები ნაკლებად ფიქრობენ, რომ მათი საჭიროება სტაბილური, სანდო და ემპათიაზე დამყარებული ურთიერთობების შესახებ საკმარისად დაკმაყოფილებული იქნება (Pinto-Gouvera, 2006, pp. 571-584).

2008 წლის კვლევაში დაადგინეს, რომ სოციალური შფოთვა დაკავშირებულია სქემათა კლასთან, რომელიც ეხება მიტოვებულობას, წარუმატებლობასა და ემოციურ შეკავებას. სოციალური შფოთვის მაღალი მაჩვენებლის მქონე რესპონდენტებისთვის დამახასიათებელი აღმოჩნდა შიში, რომ სხვები მიატოვებენ, იქნებიან წარუმატებელი და აღმოჩნდებიან არაკომპეტენტური. ისინი მიიჩნევდნენ, რომ საჭიროა რეალური გრძნობების დამალვა, იმისთვის, რომ სხვებისგან უარყოფა არ მიიღონ (Calvete & Orue, 2008, pp. 5-21).

როგორც ჩანს, რომ სოციალური შფოთვა მყარ კავშირში უნდა იყოს ისეთ შინაარსობრივ პატერნებთან, რომელიც უკავშირდება ემოციური საჭიროებების დაკმაყოფილების დეფიციტს, ნეგატიურ სოციალურ მოლოდინს, მიტოვებისა და წარუმატებლობის შიშს, ინტერპერსონალურ შფოთვას და ა.შ. (Jesinoski, 2010, pp. 28-30).

კვლევების შედეგებისა და შინაარსობრივი კავშირების ანალიზიდან გამომდინარე, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სოციალური შფოთვის დონის ზრდა კავშირშია სქემების ინტენსივობის ხარისხის ზრდასთან. მაღალი ალბათობით მკაფიო კავშირები უნდა გამოვლინდეს ისეთ სქემებთან მიმართებით, როგორიცაა: მიტოვებულობა/არასტაბილურობა, ემოციური თავშეკავება, წარუმატებლობა, ნეგატივიზმი/პესიმიზმი, ემოციური დეპრივაცია, არასრულფასოვნება/სირცხვილი, სხვებზე ორიენტირების დომეინი (Hirch & Mattews, 2000, pp. 705-712; Lerray & Jongman-Sereno, 2014, pp. 471-486; Stopa et. al., 2010, pp. 955-965).

ჩვენს კვლევაში სოციალური შფოთვის სკალაზე მონაწილე 115 რესპონდენტიდან 30-ს გამოუვლინდა საშუალოზე მაღალი შფოთვის დონე. ლიბოვიცის სკალაზე მაქსიმალური მაჩვენებელი მერყეობს 80-95-ს შორის და ზემოთ. კვლევაში სოციალური შფოთვის

მაქსიმალური მაჩვენებელი არ გამოვლენილა არც ერთ რესპონდენტთან. შედეგად, ზომიერად გამოხატული სოციალური შფოთვის მაჩვენებელი რესპონდენტთა 26%-ში გამოვლინდა. მათგან 23 იყო მდედრობითი, ხოლო - 7 მამრობითი სქესის წარმომადგენელი. (მდ. – 77%, მამრ. – 23%). კვლევაში მონაწილე 11 რესპონდენტს აღმოაჩნდა ქულა სოციალური შფოთვის მინიმალურ ზღვარს ქვემოთ. მონაწილეთა უმრავლესობის შედეგები კი დაბალ და საშუალო დონეებზე გადანაწილდა (63%). მიღებული მონაცემები დამუშავდა SPSS-ის საშუალებით (ლომაია, 2022, გვ. 71-76).

სოციალური შფოთვის დონესა და იანგის მალადაპტური სქემების დომეინებს შორის კავშირის დასადგენად ჩატარდა მონაცემთა კორელაციური ანალიზი. სოციალურ შფოთვასა და მალადაპტური სქემების დომეინებს შორის გამოვლინდა სტატისტიკურად სანდო კორელაცია. კერძოდ, ყველაზე ძლიერი, დადებითი კორელაცია დამყარდა სოციალურ შფოთვასა და ზესიფხიზლე/თავშეკავების დომეინს შორის (r=0.772, P<0.01). მკაფიოდ დადებითი კორელაციური მიმართებები გამოიკვეთა სოციალური შფოთვის დონესა და იზოლირება/უარყოფის (r=0.626, P<0.01), სხვებზე ორიენტირების (r=0.651, P<0.01) დომეინებს შორის. რაც შეეხება შესუსტებული ავტონომიურობის/დამოკიდებულების დომეინს, შედარებით მცირე, თუმცა დადებითი კორელაციური კავშირი გამოჩნდა (r=0.407, P<0.01). შესუსტებული შეზღუდვების დომეინსა და სოციალურ შფოთვას შორის დამყარდა სუსტად გამოხატული ნეგატიური კავშირი (r=-0.289, P<0.01). მკაფიოდ გამოხატული სოციალური შფოთვის მქონე რესპონდენტების (N=30) საშუალო ქულები, რომელიც თითოეული სქემის მიმართ დაფიქსირდა, დამუშავდა მალადაპტური სქემების გამოვლენის ხარისხის სიხშირის დასადგენად (სკალის მიხედვით, მაქს. ქულა არის 6) (ლომაია, 2022, გვ. 71-76).

მიღებული მონაცემებით კონსტრუირდა მალადაპტური სქემების რეიტინგები. აღმოჩნდა, რომ ყველაზე მაღალი საშუალო ქულა ნეგატივიზმი/პესიმიზმის სქემას ეკუთვნის (M=5.1). სიხშირისა და სიმწვავის მიხედვით მეორე ადგილზეა მკაცრი სტანდარტების სქემა (M=4.5). სხვა სქემების თანმიმდევრობა ასე გამოიყურება: სოციალური იზოლაცია/გაუცხოვება (M=4.3), უნდობლობა/შეურაცხყოფა (M=4.2). თავგანწირვის, არასრულფასოვნება/სირცხვილის და მოწყვლადობის სქემებში თანაბარი საშუალო ქულა გამოვლინდა (M=4). ჩატარდა იმ სქემების კორელაციური ანალიზი სოციალური შფოთვის ცვლადთან, რომლებიც მაღალი საშუალო მაჩვენებლით გამოვლინდა სოციალური შფოთვის მაღალი მონაცემის მქონე რესპონდენტებთან. სქემების მაჩვენებლები გაიზომა ყველა რესპონდენტის სოციალური შფოთვის ქულასთან მიმართებაში (ლომაია, 2022, გვ. 71-76).

კორელაციური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სოციალური შფოთვის დონესთან ყველაზე მაღალ, დადებით კორელაციურ კავშირშია ნეგატივიზმი/პესიმიზმის სქემა (r=0.524, P<0.01). სტატისტიკურად სანდო კორელაცია გამოჩნდა სოციალური შფოთვის დონესა და არასრულფასოვნება/სირცხვილის სქემას შორისაც (r=0.411, P<0.01). იზოლაცია/გაუცხოვების სქემა ასევე კორელაციურ ურთიერთობაშია სოციალურ შფოთვის დონესთან (r=0.311, P<0.01). სხვა სქემებსა და სოციალურ შფოთვას შორის სუსტი კორელაციური კავშირი იქნა დამყარებული. მაგალითად, თავგანწირვა (r=289, P<0.01), მკაცრი სტანდარტები (r=0.138, P<0.01), უნდობლობა/შეურაცხყოფა (r=0.128, P<0.01),

მოწყვლადობა (r=0.123, P<0.01). კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ არსებობს მკაფიო კავშირები სოციალური შფოთვის ცვლადსა და რამდენიმე მალადაპტურ სქემას შორის. კერძოდ, ყველაზე მაღალი კორელაციური კავშირი გამოიკვეთა სოციალურ შფოთვასა და ნეგატივიზმი/პესიმიზმის სქემას შორის (r=0.524). ამასთან, აღმოჩნდა, რომ სოციალური შფოთვის ზრდასთან ერთად იზრდება არასრულფასოვნება/სირცხვილის სქემის ინტენსივობაც (r=0.411). რაც შეეხება დომეინების გადანაწილებას, სოციალურ შფოთვის ყველაზე მყარი კავშირი გამოჩნდა მე-5 დომეინთან, რომელიც ზესიფხიზლე/თავშეკავების სახელწოდებით არის დასათაურებული (r=0.722) (ლომაია, 2022, გვ. 71-76).

კვლევით დადგინდა, რომ სოციალური შფოთვის მქონე ინდივიდები მეტად მაღალ ქულებს იღებენ მალადაპტური სქემების კითხვარში. სოციალური სიტუაციის კლასიფიცი-რების კუთხით დადგინდა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობისათვის შფოთვის მაღალი ხარისხი დაკავშირებულია საჯარო გამოსვლასთან (30.6%) (ლომაია, 2022, გვ. 71-76).

შედეგების ანალიზი

სოციალური შფოთვა და იზოლირება/უარყოფის და სხვებზე ორიენტირების დომეინები

სოციალური შფოთვის ფუნდამენტური ნიშანია წინასწარი ღელვა/შფოთვა/რუმინაცია იმ ნეგატიურ სცენარებზე, რომელიც, შესაძლებელია განვითარდეს სოციალურ სიტუაციაში მოხვედრისას. ეს ფაზა სწორედ პრერუმინაციას უკავშირდება. სოციალური შფოთვის მქონე ინდივიდი მიმართულია მხოლოდ უარყოფით ან, პოტენციურად უარყოფით ნიშნებსა და მოლოდინებზე, რაც ასახულია ჰაიმბერგის მოდელში. (Clark & Wells, 1995. pp. 69-93) სწორედ ყურადღების მიკერძოების გავლენით ფოკუსს მიღმა რჩება პოზიტიური ასპექტები (Clark & Beck, 2010, pp. 31-58; Clark, 2001; Hirch & Mattews, 2000, pp. 705-712).

სოციალური შფოთვა და არასრულფასოვნება/სირცხვილის სქემა

სოციალური შფოთვის სტრუქტურათა დამახიათებელი მოდელების მიხედვით, (Clark & Wells, 1995, pp. 69-93) ინდივიდი მიმართულია როგორც გარეგანი სტიმულებისაკენ (აუდიტორია), ასე ინტერნალური მახასიათებლებისაკენ. ამ მახასიათებელთა შორის ყველაზე კომპლექსური და გენერალიზებული არის სელფის კონცეფცია (Leary et. al., 1995, pp. 518-530; Lerray & Jongman-Sereno, 2014, pp.. 471-486) რომელიც, თავის მხრივ, თვითშეფასებისა და ბანდურას თვით-ეფექტურობის პატერნებს ემყარება. ხშირად, სოციალური შფოთვის მქონე ინდივიდებს სწორედ მწირი თვით-ეფექტურობის განცდა აღენიშნებათ. ამასთან ერთად, ისინი ორიენტირებული არიან ქცევის მუდმივ მონიტორინგზე, რათა თავიდან აირიდონ მათთვის ყველაზე არასასურველი შედეგი - გარიყულობის/მიუღებლობის განცდა. მოცემული დებულება იანგის სქემების კითხვარიდან წარმოადგენს შუალედურ რწმენა-შეხედულებას, რომელიც, ერთი მხრივ, გამოხატავს დაბალი თვითეფექტურობის განცდის ხარისხს, მეორე მხრივ კი - ორიენტირებულია იმ ნეგატიური შედეგისკენ, რომელიც სოციალური უკუკავშირის გზით შეიძლება მიიღოს ინდივიდმა. სწორედ ამიტომ, ის სტაბილურად ახორციელებს თვითმონიტორინგს (ლომაია, 2022, გვ. 76-81; Clark, 2001, pp. 405–430).

რეკომენდაციები

შედეგები ქმნის პერსპექტივას სამომავლო კვლევების დიზაინისთვის, რომელიც, სიღრმისეულად შეისწავლის ცვლადების სპეციფიკასა და ურთიერთმიმართებას. საკითხთან მიმართებით, კვლევის შედეგების ინფორმაციული ხარისხის გასაზრდელად რეკომენდებულია ფენომენებთან დაკავშირებული მახასიათებლების კონკრეტიზაცია - მაგალითად, სოციალური შფოთვის კონკრეტული კოგნიტური თუ ემოციური/ქცევითი პატერნების კლასიფიცირება და თითოეულის მნიშვნელობის კვლევა. ამასთან, მალადაპტური სქემების თეორია ქმნის მასშტაბურ არეალს კვლევითი ინტერესებისთვის. მოცემული თემის ფარგლებში საინტერესო იქნება დამატებითი ცვლადების შემოტანაც, რომელიც უფრო მკაფიოს გახდის სოციალური შფოთვის ფენომენსა და სქემებს შორის კავშირის თავისებურებას (ლომაია, 2022, გვ. 82).

გამოყენებული ლიტერატურა

დობსონი, დ., დობსონი, ქ.ს. (2013). მტკიცებულებებზე დაფუძნებული კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის პრაქტიკა, გვ. 200-201.

ლომაია, მ. (2022). სოციალური შფოთვა და მალადაპტური სქემები. სამაგისტრო ნაშრომი.

Alden, L. E., Wallace, S. T. (1995). Social Phobia and social appraisal in successful and unsuccesful social interactions. *Behaviour Research and Therapy*, *33*(5), 497–505. https://doi.org/10.1016/0005-7967(93)90091-8-2

Beck, A., Emery, G., Greenberg R. (1985). *Anxiety Disorders and Phobias.* A cognitive Perspective. New York: Basic Books, pp. 146-148.

Brozovich, F., Heimberg, G. (2011). *The Relationship of Post-Event Proccesing to Self-Evalvuation of Performance in Social Anxiety*. Behavior Therapy.

Calvete, E., Orue, I. (2008). Social anxiety and dysfunctional cognitive schemas. *Behavioral Psychology, 16*(1), pp. 5-21.

Caveste, E. et.al. (2013). Early Maladaptive schemas and social anxiety in adolescents: The mediating role of anxious automatic thoughts. *Journal of Anxiety Disorders*, *27*(3). www.sciencedirect.com.

Clark, D. M. (1999). Anxiety Disorders: Why they persist and how to treat them. *Behaviour Research and Therapy, 37*. www.jonabram.web.unc.edu. (S 6-8)

Clark, D. M. (2001). A cognitive perspective on social phobia. In W. R. Crozier & L. E. Alden (Eds.), *International handbook of social anxiety: Concepts, research and interventions relating to the self and shyness.* John Wiley & Sons Ltd., pp. 405–430.

Clark, D. M., Wells, A. (1995). *A cognitive model of social phobia.*, R.G Heimberg et.al. Social Phobia: Diagnosis, assessment, and treatment. New York: The Guliford Press, pp. 69-93.

Clark, D.A., Beck, A.T. (2010). *Cognitive Therapy and Anxiety Disorders.* New York: Guilford Press;

Cole, M. E. et.al. (2001). Effect of varying levels of anxiety within social situations: Relationship to memory perspective and attributions in social phobia. *Behaviour Research and Therapy, 39*(6).

Facts & Statistics: Anxiety and Depression Association of America, ADAA. Retrieved December 20, 2023, from https://adaa.org/understanding-anxiety/facts-statistics

Gewelt, S. E. (2017). *Early Maladaptive Schemas in Anxiety Disorders – An Investigation of Schemas' Relation to Symptoms in a Complex Sample.* Universitet I Oslo.

Gkika, S. et.al. (2017). Social cognition and metacogniton in social anxiety: A systematic review. *Clinical Psychology & Psycotherapy, 25* (1).

Hackmann, A., Surway, C., Clark, D. M. (1998). Seeing yourself through others' eyes: A study of spountaneously occuring images in social phobia. *Behavioral and Cognitive Psychotherapy, 26*(1). www.cambridge.org.

Hastie, R. Kumar, P.A. (1979). Person memory: Personality traits as organizing principles in memory for behavior, *Journal of Personality and Social Psychology***,** *37*(1). pp. 25-38.

Hiemisch, A. et.al. (2002). Mindsets in social anxiety: a new look at selective information processing. *Behaviour Therapy and Experimental Psychiatry, 33*(2). www.sciencedirect.com, pp. 103-114.

Hirch, C. R., Mattews, A. (2000). Impaired positive interential bias in social phobia. *Journal of Abnormal Psychology, 109*(4). www.psycnet.apa.org. pp. 705-712.

Hirsch C., Clark D. M. 2004. Information-proccesing bias in social phobia. *Clinical Psychology Review, 24*(7). 799-825. www.sciencedirect.com, pp. 799-825.

Hope, D. A., Heimberg R. G., Klein J. F. (1990). Social anxiety and the recall of interpersonal information. *Journal of Cognitive Psychoteraphy, 4*(2).

Jesinoski, M. (2010). *Young's Schema Theory: Exploring the Direct and Indirect Links Between Negative Childhood Experiences and Temperament to Negative Affecivity In Adulthood.* Utah State University.

Leary, M. R., Downs, D. L. et. al. (1995). Self-esteem as an interpersonal monitor: The sociometer Hypotesis. *Journal of Personality and Social Psychology, 68* (3), pp. 518-530.

Lerray M. R., Jongman-Sereno K.P. (2014). Social Anxiety as an early warning system: A refinement and extention of the self-respresentation theory of social anxiety. *Elviser Academic Press,* pp. 471-486.

Liebowitz M. R, Guidelines for Using the Liebowitz Social Anxiety Scale (LSAS), Version Date: June 5, 2003. https://heilbrigdisvisindastofnun.hi.is/files/2022-12/LSAS_Manual.pdf

Miaret K. et. al. (2014). How Important is Temperament? The relationship Between Copying Styles, Early Maladaptive Schemas and Social Anxiety. *International Journal of Psychology and Psychological Therapy, 14*(2). www.redalyc.org, pp. 171-190.

Pinto-Gouvera, J. (2006). Early Maladaptive Schemas and Social Phobia. *Cognitive Therapy and Research, 30(*5). www.researchgate.net, pp. 571-584.

Riso, L. P. et. al. (2007). Cognitive Schemas and Core Beliefs in Psychological Problems. USA: APA.

Stopa, L. et. al. (2010). Constructing a self: The role of self-structure and self-certainty in social anxiety. *Behaviour Research and Therapy, 48* (10). www.researchgate.net

Wells, A. (2009). Metacognitive Therapy for Anxiety and Depression, by Adrian Wells. Ch. 1 :*Theory and Nature of Metacognitive Therapy*. New York: Guliford Press, pp.1-22.

Wells, A. et. al. (2021). Metacogniton, Cognition and Social anxiety: A test of Temporal and Reciprocal Relationships. *Journal of Anxiety Disorders, 86* (3). www.researchgate.net

Wenzel, A. (2012). Modification of Core Beliefs in Cognitive Therapy. *Standard and Innovative Strategies in Cognitive Behavior Therapy*, Dr. Irismar Reis De Oliveira (Ed.), pp. 17-34.

Young, et. al. (2003). Schema Therapy. New York: Guilford Press.

Maladaptive Schemas in Social Anxiety

Natia Badrishvili[1*]

Archil Begiashvili[2]

Sopiko Khitiashvili[3]

Magda Lomaia[4]

[1, 2, 3, 4]Grigol Robakidze University, Georgia

***Corresponding author:** natia.badrishvili@gruni.edu.ge

Abstrtact: The purpose of the study is to determine relationship between Social Anxiety and Young's Maladaptive Schemas. Specifically, to examine connection between 18 Early Maladaptive Schemas (5 Domains) and the degree of Social Anxiety, to identify which maladaptive schemas are strongly associated with high degree of Social Anxiety. The results of the study showed that an increased degree of Social Anxiety is correlated with the Negativity/Pessimism Schema and the Overivgilance/Inhibition Domain. Respondents with higher degree of Social Anxiety showed higher levels of Early Maladaptive Schemas. Through The Social Anxiety Scale, we identified types of Social Situations and interactions that are strongly associated with high levels of Social Anxiety. Research showed that Social Situations related to formal interactions: Public Speaking/Self-presentation in front of an audience) were the most anxiety-inducing Social Triggers among the respondents. The results of the study create a perspective for interpretations based on specific cognitive patterns associated with Social Anxiety.

Key words: Scial Anxiety, Maladaptive schemas, Negativity/Pessimism Schema, Overivgilance/Inhibition Domain

მოქნილი მუშაობის ფორმატი და დასაქმებულთა შრომის პროდუქტიულობა

მარიამ დავითაძე[1]*
თეა სამჭკუაშვილი[2]
[1, 2]გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო
***პასუხისმგებელი ავტორი:** mariam.davitadze@sca.ge

რეზიუმე. წარმოდგენილ სტატიაში განხილულია კოვიდ-19-ით გამოწვეული გლობალური პანდემიის შემდგომი სამუშაო მდგომარეობა, რომელიც მოქნილი და კრიზისისათვის მზადმყოფი ორგანიზაციებისთვის და დაწესებულებებისთვის პანდემიის დროს შექმნილი გამოწვევების შემდეგ, ახალ შესაძლებლობად იქცა. საერთაშორისო ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე, გაანალიზდა პოსტპანდემიური სამუშაო მდგომარეობის თავისებურებები და გამოვლინდა ახალი შესაძლებლობები პოსტპანდემიურ სამუშაო ეპოქაში. არსებული პრაქტიკისა და საერთაშორისო ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე, მიღებული მონაცემების შედეგად დადგინდა მუშაობის ფორმების თანამედროვე და აქტუალური მეთოდები, როგორიცაა სრულიად დისტანციურ სამუშაო ფორმატზე გადასვლა და მხოლოდ სამუშაო ადგილიდან მოშორებით მუშაობა და მუშაობა ჰიბრიდულად, რაც მუშაობის შერეულ ფორმას გულისხმობს, როცა მუშაობა შესაძლებელია როგორც სამუშაო ადგილიდან ასევე სამუშაო ადგილიდან მოშორებით. აღნიშნული მუშაობის ფორმების შედეგად გამარტივდა ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ხელმისაწვდომი გახდა რამდენიმე ადგილას ერთდროულად დასაქმება. შექმნილმა მოცემულობამ, შესაბამისად გააუმჯობესა მოქალაქის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ამასთან, სახელმწიფოს გაეზარდა სამუშაო ძალის რესურსი. სტატიაში ახსნილია მუშაობის ფორმების თანამედროვე მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები და განზოგადებულია არსებულ საერთაშორისო პრაქტიკასთან მიმართებით. კვლევის შედეგები საინტერესო იქნება დამსაქმებლებისთვის, რომლებიც გლობალური პანდემიის შედეგად შექმნილი გამოწვევების წინაშე დღემდე დგანან, დარგის სპეციალისტებისთვის და ცალკეული ექსპერტებისთვის, თუმცა, ცალკე კვლევის საგანია თანამედროვე მუშაობის მეთოდებისადმი დასაქმებულთა დამოკიდებულებები და საჭიროებები, ვინაიდან, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება შრომის ბაზრის სამუშაო ძალის ნაწილს სრულყოფილად არ შეუძლია. სტატია საინტერესო იქნება მეცნიერებისთვის, საჯარო და კერძო ორგანიზაციებისთვის, დამსაქმებლებისთვის და ექსპერტებისთვის, რომლებიც შრომის ბაზრის კვლევასა და დასაქმების პრობლემატიკაზე მუშაობენ.

საკვანძო სიტყვები: დისტანციური მუშაობა, ონლაინ მუშაობა, ჰიბრიდული მუშაობის ფორმა, პოსტპანდემიური კრიზისი, დასაქმება, სამუშაო ადგილების ზრდა

შესავალი

Covid-19-ით გამოწვეული პანდემიის შედეგად მსოფლიომ მოულოდნელი და ამასთანავე მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. არსებულმა გამოწვევებმა შესაძლებლობა მოგვცა დაგვენახა დიგიტალური ტექნოლოგიებისა და ადამიანური რესურსების გაერთიანებული

შესაძლებლობები, და შესაბამისად მზადყოფნა გამოგვეხატა მუშაობის ფორმების თანამედროვე მეთოდების, როგორიცაა დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობის ფორმების დასანერგად. (Ellis et al., 2022; Fitzer, 1997; Belanger and Colins, 1998). წარმოდგენილი სტატიის მიზანია მოქნილი მუშაობის ფორმატის, როგორიცაა დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობის მოდელის ეფექტიანობის წარმოჩენა, დისტანციური და/ან ჰიბრიდული მუშაობის ფორმატის დანერგვის შესაძლებლობის გაზრდა და მისი გავლენის დადგენა დასაქმებულთა შრომის პროდუქტიულობაზე.

სხვადასხვა ქვეყნებში კომპანიებმა წარმატებით დაიწყეს ახალ დისტანციურ თუ ჰიბრიდულ მუშაობის მოდელზე გადასვლა, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა სამუშაო პროცესზე და მის შედეგებზე. დასაქმებულებს და დამსაქმებლებს არჩევანის საშუალება მიეცათ თუ რომელი სივრციდან შეესრულებინათ მათზე დაკისრებული მოვალეობა (Ellis et al., 2022). უახლესმა კვლევებმა აჩვენეს, რომ სახლიდან მუშაობა 2020 წელს მსოფლიო სამუშაო ძალის 62%-ზე მეტისთვის ყოველდღიურობა გახდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მუშაობის ეს ფორმა გაცილებით კომფორტული და მისაღებია დასაქმებულებისთვის, (Mullan and Wajcman, 2019; Böckerman, and Ilmakunnas, 2012; IT Step აკადემია, 2023). დამსაქმებლებისთვის კი თითქოს ერთგვარ თავსატეხად იქცა, რადგან მათ უნდა იფიქრონ იმაზე, თუ როგორ გადაანაწილებენ თავის თანამშრომლების სამუშაო რეჟიმს 2021 წლის შემდეგ (ევროკავშირი საქართველოსთვის, 2020).

არსებული რეალობიდან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას, რომ დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობის ფორმები ისევე როგორც დასაქმებულებისთვის, დამსაქმებლების-თვისაც კომფორტული და მისაღები აღმოჩნდა. დისტანციურად მუშაობა კი შესაძლებლობას აძლევს დამსაქმებელს სხვა ქვეყანაში მცხოვრებიც დაასაქმოს მის კომპანიაში, რაც ერთ-ერთი დადებითი გარემოებაა დასაქმების სფეროში. აღნიშნულს შეიძლება დავეთანხმოთ, თუმცა არსებობს სხვა მიდგომებიც. გარტნერის მონაცემებზე დაყრდნობით დასაქმებული ინტელექტუალური რესურსის 39% დატოვებს სამუშაო ადგილს, იმ შემთხვევაში თუ მოვთხოვთ მათ ისევ სამუშაო ადგილიდან სრულ განაკვეთზე მუშაობას (Gartner, 2021).

გარტნერის კვლევის თანახმად უნდა გაქარწყლდეს მოსაზრება დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობის მოდელების შესახებ და განახლდეს მუშაობა ადამიანზე ორიენტირებული მოდელის გარშემო, რათა შენარჩუნებულ და უზრუნველყოფილ იქნეს ციფრული ტექნოლოგიების კრიტიკის ნიჭი, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გარტნერის კვლევითი ორგანიზაცია წინააღმდეგია სამუშაო ფორმის თანამედროვე მეთოდების დანერგვის, რის შედეგად იქმნება ნიჭის დაკარგვის რისკი. ადამიანზე ორიენტირებული სამუშაო ფორმა მოიცავს მოქნილობას და თანაგრძნობას რაც განაპირობებს პროდუქტიულობას და ჩართულობას. მისი აზრით მოქნილობის შეთავაზება მაშინაც შეიძლება თანამშრომლებისთვის, როცა სამუშაო ადგილი არ იცვლება და არ არის მოქნილი (Karimikia et al., 2020).

ცხადია, რომ არსებობს სხვადასხვა მოსაზრებები და კვლევები დისტანციურად და ჰიბრიდული მუშაობის ფორმებთან დაკავშირებით. მუშაობის აღნიშნულ ფორმებს აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები, თუმცა აღსანიშნავია, რომ გლობალური

პანდემიის შემდგომმა პერიოდმა დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობის ფორმა საკმაოდ მიმზიდველი გახადა სამუშაო ძალის უმრავლესობისთვის, თითქმის მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობის ფორმების დანერგვა და დანერგვის მცდელობა სხვადასხვა სამსახურებში. გამოიკვეთა გამოწვევები არსებული კლასიკური მუშაობის ფორმასთან (სამუშაო ადგილიდან მუშაობა) მიმართებაში, რაც გულისხმობს დასაქმებულთა უმრავლესობის მოთხოვნას დისტანციური ან ჰიბრიდული მუშაობის მოდელის დანერგვის თვალსაზრისით და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აღნიშნული სტატიის აქტუალურობას.

ბოლო დროის კვლევებმა დაგვანახა, რომ მუშაობის ფორმის არსებული მეთოდი ვერ უზრუნველყოფს კომფორტული და მოქნილი სამუშაო გარემოს შექმნას. აღნიშნული პრობლემის არსებობა გვკარნახობს მის საფუძვლიან შესწავლას და თვისებრივად ახალი მექანიზმების ჩამოყალიბებას, რაც ხელს შეუწყობს, არა მარტო სწრაფად სამუშაო ადგილების შექმნას, არამედ შრომის ბაზარზე სამუშაო ფორმის თანამედროვე მოდელის დახვეწას. სტატიის მთავარი საკითხია პანდემიის დროს ეფექტიანი მუშაობის მოდელის, როგორიცაა დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობის ფორმა, პანდემიის შემდგომ აქტიური გამოყენება და პოპულარიზაცია თანამედროვე საქმიანობაში, რომლის საფუძველზეც გაიზრდება დასაქმებულთა შრომის პროდუქტიულობა. დასაშვებია, რომ აღნიშნული მუშაობის ფორმის აქტიურ გამოყენებას ახლდეს რიგი გამოწვევები დაკავშირებული სპეციალურ ცოდნასთან (ციფრული ტექნოლოგიები, დიგიტალიზაცია, ინტერნეტის ხელმისაწვდომობა).

ამდენად, სტატიის ანალიზი ეფუძნება საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებებს, საერთაშორისო ლიტერატურის მიმოხილვას და რეკომენდაციებს, რამაც დაგვანახა, რომ აღნიშნული მუშაობის ფორმების დანერგვას აქვს დიდი მხარდაჭერა როგორც დასაქმებულთა, ისე დამსაქმებელთა მხრიდან. სხვადასხვა კვლევებსა და წყაროებზე დაყრდნობით შევაფასეთ დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობის ფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეები, რის შედეგადაც წარმოვადგენთ რეკომენდაციებს, რომ ჰიბრიდული და დისტანციური მუშაობის ფორმა გაზრდის დასაქმებულთა პროდუქტიულობას და გააუმჯობესებს სამუშაო მდგომარეობას (Incource, 2023; Martin et al., 2022; The Financial Times Ltd, 2020; Tsipursky, 2023).

ჰიპოტეზა: დისტანციური და/ან ჰიბრიდული მუშაობის ფორმის (შესაბამის) სამსახურებში დანერგვისა და პოპულარიზაციის საფუძველზე, დასაქმებულთა შრომის პროდუქტიულობა გაიზრდება.

თავი I. სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

დისტანციური მუშაობის არსი, დადებითი და უარყოფითი მხარეები

კლასიკური თეორიების მიხედვით, რომელიც ადამიანური რესურსების მართვის თეორიების ერთ-ერთ ჯგუფს მიეკუთვნება, ადამიანთა უმრავლესობა მუშაობს მოვალეობის მოხდის მიზნით, ხელფასისთვის, მათ არ ანიჭებთ სიამოვნებას თავიანთი

საქმიანობა, მათთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ მიღებული გასამრჯელო (პაპალაშვილი, 2021). მოქნილი სამუშაო ადგილმდებარეობისა და გარემოს შესახებ კვლევები მრავალი წლის წინ დაიწყო და სამეცნიერო ლიტერატურაში მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან აქტიურად განიხილება. Belanger-ის და Collins-ის მოსაზრებით, დისტანციური მუშაობა ეს არის „შეთანხმება, რომელიც საშუალებას აძლევს თანამშრომლებს გადაინაწილონ სამუშაო, ბიზნესის ცენტრალური ადგილიდან ან ორგანიზაციის ფიზიკური მდებარეობიდან მოშორებით“. ავტორების თანახმად განაწილებული საქმის, ანუ დისტანციური მუშაობის ყველაზე ცნობილი სახეობა ტელეკომუტინგია (Telecommuting). ამასთან, ასეთი ტიპის სამუშაო შეთანხმება აღიარებულია, როგორც ტელემუშაობა (telework) ან დისტანციური მუშაობა (Belanger and Collins, 1998; Berthiaume, 2020). Mary Molina Fitzer აზრით კი ტელეკომუტინგი „შრომითი შეთანხმებაა, რომლის დროსაც თანამშრომლები ასრულებენ თავიანთ რეგულარულ სამუშაოს სტანდარტული სამუშაო ადგილიდან მოშორებით ტექნოლოგიური მოწყობილობების საშუალებით“ (Fitzer, 1997; პაიჭაძე, 2018; Gartner, 2021). ტელეკომუტინგის ცნება პირველად მეცნიერმა Jack Nilles-მა დაამკვიდრა 1970-იან წლებში, როდესაც იგი NASA-ს საკომუნიკაციო სისტემებზე დისტანციურად მუშაობდა და თავის საქმიანობას ტელეკომუტინგს (telecommuting) უწოდებდა, Jack Nilles-ის თანახმად ტელეკომუტინგი განისაზღვრება როგორც „სტანდარტული სამუშაო ადგილისაგან მოშორებით მუშაობა სატელეკომუნიკაციო და კომპიუტერზე დაფუძნებული ტექნოლოგიის მეშვეობით“ (Robinson, 2022).

არსებობს ასევე სხვა მოსაზრებები, რომლის მიხედვითაც ტელეკომუტინგი გულისხმობს საქმიანობის შესრულებას დისტანციურად ტექნოლოგიების გამოყენების გზით ან ალტერნატიული სამუშაო გარემოს შექმნას ნებისმიერ ადგილზე (Narayanan, et al., 2017; მაღლაფერიძე, 2021). შესაბამისად, დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობა, რომელიც აქამდე მხოლოდ შესაძლებლობად და თავისუფალ არჩევნად აღიქმებოდა, ახლა საქმიანობის გაგრძელების წინაპირობა გახდა.

არსებულმა რეალობამ გვაჩვენა, რომ დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობის ფორმა, უპირველეს ყოვლისა, ორგანიზაციისთვის არსებული რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობაა, ხოლო დასაქმებულებისათვის - ოჯახისა და სამუშაო პასუხისმგებლობის თანაბრად გადანაწილების და სამუშაო დატვირთვის უფრო ადვილად გადალახვის ხელშემწყობი ფაქტორია (კუტალაძე, 2020). გარდა ამისა, დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობის დადებით მხარეებად შეიძლება მივიჩნიოთ რამდენიმე ადგილას დასაქმების ხელმისაწვდომობა, მოქნილი სამუშაო გრაფიკი, დროის ეფექტური მართვა, ფინანსების დაზოგვა, გარემოზე მავნე გავლენის შემცირება, ოჯახთან და მეგობრებთან მეტი დროის გატარების შესაძლებლობა და სხვ. (Mullan and Wajcman, 2019; Chamorro-Premuzic, 2021).

თუმცა, არსებობს უარყოფითი მხარეც, რომელიც შესაძლებელია გამოწვევის სახით გაჩნდეს დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობის დროს, როგორიცაა დამსაქმებლისთვის დისტანციურ და ჰიბრიდულ მუშაობის ფორმის დანერგვის საწყის ეტაპზე დამატებითი ხარჯების გაწევა, რაც გულისხმობს, ტექნიკური ინვენტარის შეძენას, სხვადასხვა პროგრამების შეძენას სამუშაო დროის მონიტორინგისთვის (time tracker), მათ შორის

დამსაქმებელთა უარყოფითი დამოკიდებულება, რაც შეიძლება გამოწვეულ იყოს დისტანციურად მუშაობისას, როცა უფროსი მოკლებულია თანამშრომელზე დაკვირვების და საჭიროების შემთხვევაში მიმართულების მიცემის პირდაპირ შესაძლებლობას (Rupietta and Beckmann, 2018). ამასთან, გამოვლინდა დისტანციურად მუშაობის სხვა ნაკლოვანებ-ბიც, როგორიცაა დროის მართვის შეუძლებლობა და საჭიროზე უფრო დიდ ხანს მუშაობა სახლიდან მუშაობის დროს, მაღალი დატვირთვა და ოჯახსა და სამსახურს შორის განსხვავების დაკარგვა, რამაც შესაძლოა სტრესული გარემო შექმნას სამსახურში (Nilles, 1994; Bloom et al., 2015; Koeva, 2022).

Jack Nilles დისტანციურად მუშაობას პოზიტიურ ჭრილში განიხილავს, მისი მოსაზრებით წლების განმავლობაში, ტექნოლოგიების სწრაფად განვითარებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა და ხელი შეუწყო დისტანციური მუშაობის პოპულარიზაციას. (Barcelos, 2021). მას მაგალითისთვის მოჰყავს ლოსანჯელესში გადატვირთული საავტომობილო მაგისტრალები, რომელიც სწორედ ოფისში მომუშავე ადამიანების მიერ იყო შექმნილი. მისი აზრით, აღნიშნული გარემოება არ შეიქმნებოდა თუ ოფისში მომუშავე ადამიანები დისტანციურად შეძლებდნენ მუშაობას (Bittman et al., 2009). მეცნიერთა ერთი ნაწილი არ ეთანხმება Jack Nilles-ის ამ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ დისტანციური ან ჰიბრიდული მუშაობის ფორმა უარყოფითად აისახება სამუშაო პროცესებზე.

გარტნერის მონაცემებზე დაყრდნობით, დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობის ფორმა გარკვეული რისკის ქვეშ აყენებს დამსაქმებლებისთვის ინტელექტუალური ნიჭის შენარჩუნებას და თვლის, რომ მოქნილი გარემოს შექმნა არამოქნილი სამუშაო გარემოს შეთავაზებითაც არის შესაძლებელი (Karimikia et al., 2020). თუმცა Jack Nilles-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ ეროვნულ სადაზღვევო კომპანიაში დისტანციურ მუშაობასთან დაკავშირებით დაადგინა, რომ დასაქმებულთა პროდუქტიულობა გაიზარდა და მათი ჯანმრთელობის დაზღვევასთან დაკავშირებული ხარჯები და ბიზნეს ინფრასტრუქტურის ხარჯები შედარებით შემცირდა. ამავე კვლევის შედეგების მიხედვით, სადაზღვევო კომპანია წელიწადში 5 მილიონ აშშ დოლარს დაზოგავდა, თუ მთელი ქვეყნის მასშტაბით დისტანციურად იმუშავებდა ყველა (Bittman et al., 2009).

არსებობს სხვა მეცნიერთა მოსაზრებებიც, რომლებიც ასევე დადებით ჭრილში მიიჩნევენ დისტანციურად ან ჰიბრიდულად მუშაობას. მაგალითად, Frank Schiff-ის კვლევის თანახმად, დისტანციური ან ჰიბრიდული მუშაობის შედეგად შესაძლებელია შემცირდეს ბენზინის მოხმარება (Allied Telecom, 2016), რაც გამოიწვევს გარემოზე მავნე ზეგავლენის შემცირებას, ბუნებრივი რესურსების ნაკლებ გამოყენებას (Shiff, 1979).

გლობალიზაციის ფონზე კომპანიების კონკურენტუნარიანობის უმთავრესი იარაღი კვლავ ადამიანური რესურსია, რომლის კომფორტზე და მოქნილ სამუშაო გარემოს შექმნაზე ზრუნვა მნიშვნელოვანია. გლობალური პანდემიის შემდგომ შექმნილმა სამუშაო მდგომარეობამ გვაჩვენა, რომ დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობა დასაქმებულთა და დამსაქმებელთა უმრავლესობისთვის კომფორტული აღმოჩნდა, რაც დადასტურებულია არაერთი სამეცნიერო მოსაზრებითა და კვლევით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია თანამედროვე სამუშაო პირობებისა და ეკონომიკური ზრდის ტენდენციების

შენარჩუნების მიზნით, დამსაქმებლებმა მოახდინონ მათი სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე საქმიანობის შესწავლა თანამედროვე მუშაობის ფორმაზე გადასვლასთან დაკავშირებით და დანერგონ დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობის ფორმა. კონკურენციის გათვალისწინებით, სასურველია დამსაქმებლებმა დასაქმებულებს შესთავაზონ ჰიბრიდული მუშაობის ფორმა მაინც, რაც გულისხმობს მთელი კვირის განმავლობაში თუ არა, კვირაში ერთხელ ან ორჯერ მათთვის კომფორტული ადგილიდან მუშაობას. ამით დამსაქმებლები შეამცირებენ სამუშაო ძალის დაკარგვის რისკს.

თავი II. კვლევის მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები

კვლევის მეთოდოლოგია

წარმოდგენილი სტატიის ფარგლებში კვლევის მეთოდად გამოყენებულია ლიტერატურული მიმოხილვა, რომელიც განიხილავს იმ სამეცნიერო ნაშრომებს და კვლევებს, რომლებიც აანალიზებს მოქნილი მუშაობის ფორმატის - ჰიბრიდული და/ან დისტანციური მუშაობის ფორმის შემოღებას და დანერგვას ისეთი ფაქტორების დადგენისა და გამოვლენის მიზნით, რომლებიც გავლენას ახდენს დასაქმებულთა შრომის პროდუქტიულობის ზრდაზე.

განხილული და გაანალიზებულია საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც დაკავშირებულია მუშაობის თანამედროვე ფორმების, ჰიბრიდული და/ან დისტანციური მუშაობის ფორმების როგორც დადებით ისე უარყოფით მხარეებთან, და მათ გავლენასთან პროდუქტიულობის ზრდასა და მუშაობის ეფექტიანობაზე. კონკრეტულად ლიტერტურის მიმოხილვის მიზანი იყო სიღრმისეულად გააზრებულიყო ჰიბრიდული მუშაობის ფორმის დანერგვის დადებითი გავლენა დასაქმებულთა პროდუქტიულობის ზრდაზე. განხილული მასალები მოიცავდა სტატიებს, წიგნებს, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებს, მოხსენებებს. კვლევის მიზანს წარმოადგენდა საკვლევ საკითხთან დაკავშირებული არსებული მეცნიერული მოსაზრებების გამოვლენა, რომლებიც ადასტურებენ ჰიბრიდული მუშაობის მოდელის, როგორც მოქნილი მუშაობის ფორმატის გავლენას დასაქმებულთა შრომის პროდუქტიულობაზე.

კვლევის პროცესში გამოყენებული რესურსი მოძიებულ იქნა სხვადასხვა წყაროების საშუალებით, მათ შორის, სოციალური მეცნიერებების მონაცემთა ბაზა (ScienceDirect), ინტერნეტ რესურსი, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები და მოხსენებები, მათი ვებგვერდები, სამეცნიერო საერთაშორისო ლიტერატურა და წამყვანი ქვეყნის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი. აღნიშნული რესურსების გამოყენებისა და შეფასების საფუძველზე გაკეთებულია ლიტერატურული მიმოხილვა.

აღსანიშნავია, რომ დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობის ფორმა, მიუხედავად თავისი აქტუალობისა ჯერ კიდევ საჭიროებს საფუძვლიან კვლევას. სასურველია მოხდეს კონკრეტული დამსაქმებლების და სამუშაო მიმართულებების მიხედვით საკვლევი ობიექტებისა და პრობლემატიკის დიფერენცირება, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავარწმუნოთ დამსაქმებლები დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობის ფორმის უალტერნატივობაზე.

კვლევის შედეგები

გლობალური სტატისტიკის პლატფორმის 2023 წლის აპრილის მონაცემებით მსოფლიოში ინტერნეტისა და სოციალური მედიის მომხმარებელთა რაოდენობა შემდეგნაირადაა გადანაწილებული. მოსახლეობის 5,18 მილიარდი ადამიანი ინტერნეტმომხმარებელია, ხოლო სოციალური მედიის 4,8 მილიარდი (იხილეთ დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. **ინტერნეტისა და სოციალური მედიის მომხმარებელთა რაოდენობა**



წყარო: Global data and business intelligence platform

მოცემული კვლევის შედეგები ადასტურებს დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობის წვდომას ინტერნეტთან, რაც იმას ნიშნავს, რომ დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობის ფორმის განვითარებისთვის ინტერნეტთან მიუწვდომლობა დამაბრკოლებელი გარემოება არ არის. ოქსფორდის უნივერსიტეტის მკლევართა მონაცემებით მსოფლიოში დარეგისტრირებული სამუშაო ონლაინ პლატფორმის 351 კომპანიიდან, გამოკითხულ იქნა 162. მიღებული შედეგებით გამოვლინდა, რომ მსოფლიოში 163 მილიონი ადამიანი არის ონლაინ დასაქმებული (იხილეთ დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. **ონლაინ დასაქმებულთა რაოდენობა**



წყარო: University of Oxford - Oxford Internet institute

გლობალური სტატისტიკის პლატფორმის 2023 წლის მონაცემებით მსოფლიოში 2022 წელს დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით 3,32 მილიარდი ადამიანი იყო. თუ შევადარებთ 1991 წლის მონაცემებს, რა დროსაც მსოფლიოში დასაქმებული იყო 2,28 მილიარდი ადამიანი, 1,04 მილიარდი ადამიანით გაიზარდა დასაქმებულთა რაოდენობა. საყურადღებო ჩავარდნა იყო 2019 და 2020 წელს შორის, როდესაც 3,3 მილიარდი დასაქმებული ადამიანიდან მონაცემი ჩამოვიდა 3,19 მილიარდ ადამიანამდე, რაც გამოწვეული იყო კორონა ვირუსის პანდემიის ფონზე მოულოდნელი ეკონომიკური შოკით (იხილეთ დიაგრამა 3).

დიაგრამა 3. **დასაქმებულთა რაოდენობა**



წყარო: Global data and business intelligence platform

ზემოაღნიშნული მონაცემებით გამოვლინდა, რომ მსოფლიოში დასაქმებულთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 5% დისტანციურად მუშაობს. კვლევის შედეგი საკმაოდ შთამბეჭდავი და პოზიტიურია შემდგომში დისტანციური მუშაობის დანერგვისა და განვითარების თვალსაზრისით.

გარდა ზემოაღნიშნული კვლევებისა, მსოფლიოში არაერთი კვლევითი ორგანიზაციები ადასტურებენ დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობის ფორმის დადებით ტენდენციებს, Forbes-მა თავისი კვლევის შედეგად გააქარწყლა დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობის შესახებ არაპროდუქტიულობის მოსაზრება, აღნიშნული ეფუძნება 3 მნიშვნელოვან კვლევას:

Prodoscore-მა გამოიკითხა 300 000-მდე დასაქმებული, რომელთა მონაცემების გაანალიზების შედეგად გამოავლინა, რომ პანდემიის პერიოდში დისტანციურად მუშაობისას პროდუქტიულობა გაიზარდა 5%-ით.

Owl Labs-ის კვლევის შედეგების თანახმად, ოფისში მომუშავე დასაქმებულებთან მიმართებაში დისტანციურად და ჰიბრიდულად მომუშავე დასაქმებულები 22%-ით უფრო ბედნიერები არიან და კომფორტულად გრძნობენ თავს. გარდა ამისა, კვლევამ დაადგინა დისტანციურად მომუშავე თანამშრომლების შედარებით მეტი პროდუქტიულობა, სამუშაოს შესრულების დროს ნაკლები სტრესი და შესასრულებელ სამუშაოზე გაზრდილი ფოკუსირება. დისტანციურად და ჰიბრიდულად მუშაობის შესაძლებლობამ

დასაქმებულებს მისცა პირადი ცხოვრების და სამსახურის თანაბრად გადანაწილების, ფიზიკურ და მენტალურ კეთილდღეობაზე ზრუნვის საშუალება.

Ergotron-ის კვლევის შედეგად გამოკითხულ იქნა სრულ განაკვეთზე 1000-მდე დასაქმებული და დადგინდა, რომ კოვიდის შემდგომ პერიოდში დისტანციურად მუშაობა მათთვის მიმზიდველი აღმოჩნდა. გამოკითხულთა 56%-ის მოსაზრებით მათი მენტალური ჯანმრთელობა გაუმჯობესდა, შესაძლებელი გახდა პირადი ცხოვრების და სამსახურის ბალანსი და ისინი უფრო მეტად ჩაერთნენ ფიზიკურ აქტივობებში. ხოლო გამოკითხულთა 88%-ის თანახმად, მათთვის სასურველი ადგილიდან და ოფისიდან მუშაობის მოქნილი სამუშაო გრაფიკის გამო ისინი უფრო კმაყოფილები არიან სამსახურით (Allied Telecom, 2023).

დასკვნა

დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობის ეფექტიანობის წარმოჩენის, მისი დანერგვის შესაძლებლობების გაზრდისა და დისტანციური და/ან ჰიბრიდული მუშაობის ფორმის დასაქმებულთა შრომის პროდუქტიულობაზე გავლენის დადგენის მიზნით ჩატარებული კვლევების ანალიზმა დაადგინა, რომ მუშაობის ამ თანამედროვე ფორმების განვითარებაზე და ეფექტიანობაზე დადებით გავლენას მოახდენს დამსაქმებელთა მხრიდან აღნიშნული საკითხის საფუძვლიანად შესწავლა, სამუშაო სფეროს დიფერენცირება, და შესაბამისი პირთა წრისთვის აღნიშნული მუშაობის ფორმებთაგან ერთ-ერთის, დისტანციური ან ჰიბრიდული მუშაობის ფორმის შეთავაზება, რის საფუძველზეც შესაბამისი პირთა წრე უფრო პროდუქტიული და კმაყოფილი იქნება.

სამეცნიერო საზოგადოებაში აქამდე შესწავლილი და განზოგადებული მუშაობის ფორმათაგან, შედარებით ახალია ჰიბრიდული მუშაობის ფორმა, რომელიც სამუშაო კვირის განმავლობაში გულისხმობს ნაწილობრივ ოფისიდან და ნაწილობრივ სხვა ნებისმიერი ადგილიდან დაკისრებული ფუნქციების შესრულებას.

სტატიაში განხილული საკითხი თანამედროვე მმართველობითი სისტემებიდან გამომდინარე იმდენად აქტუალურია, რომ აღნიშნული მეთოდის დანერგვის მიზნით მომავალში საჭიროებს სიღრმისეულ კვლევას, რა დროსაც შეფასდება ყველა დაინტერესებული მხარის დამოკიდებულება თანამედროვე მუშაობის ფორმის, კერძოდ, ჰიბრიდული მუშაობის ფორმის მიმართ, გამოვლინდება მუშაობის აღნიშნული ფორმის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ჩატარებული კვლევა შესაძლებლობას მოგვცემს მინიმუმამდე დავიყვანოთ ჰიბრიდული მუშაობის ფორმის ხარვეზები და გავზარდოთ მისი დანერგვის შესაძლებლობები.

რეკომენდაციები

საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვის და არსებული კვლევების ანალიზის შედეგად, გამოიკვეთა შრომის ბაზარზე მუშაობის თანამედროვე ფორმების დანერგვისადმი დასაქმებულთა მაღალი ინტერესი, აღნიშნული მუშაობის ფორმების

ეფექტიანი განხორციელების ჭრილში ცნობიერების ამაღლებისა და მაკონტროლებელი მექანიზმების საჭიროება, ტექნიკური მხარდაჭერის აუცილებლობა. აქედან გამომდინარე დამუშავებული მასალის ანალიზიდან მიღებული დასკვნების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები:

- დაინერგოს სამსახურებში ჰიბრიდული მუშაობის მოდელი. სამუშაო კვირის განმავლობაში რამდენიმე საათი ან დღე დამსაქმებელმა მისცეს დასაქმებულს სახლიდან ან მისთვის სასურველი ადგილიდან მუშაობის შესაძლებლობა - აღნიშნული მეთოდის დანერგვით საწყის ეტაპზევე დამსაქმებელი დაინახავს დასაქმებულის ამაღლებულ მოტივაციას, კმაყოფილებას და გაზრდილ პროდუქტიულობას;
- შეიქმნას დისტანციური ან ჰიბრიდული მუშაობის დროის მონიტორინგის პროგრამა - არსებობს დროის განმსაზღვრელი აპლიკაციები (time tracker), რომლითაც დამსაქმებლები დისტანციურად ახდენენ დასაქმებულების მუშაობის დროის განსაზღვრას. აღნიშნული შესაძლებლობას მისცემს დამსაქმებელს, დასაქმებულის მუშაობის დროის მონიტორინგი განახორციელოს;
- დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობის ფორმებთან მიმართებაში - დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს დასაქმებულების მომზადება, გადამზადება დისტანციური და ჰიბრიდული მუშაობისათვის საჭირო ტექნოლოგიური და ციფრული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით, რაც შეიძლება გამოიხატოს პერიოდული საინფორმაციო და საგანმანათლებლო გადამზადების კურსების ჩატარებით. მართალია, ეს გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ მსოფლიოში არსებული კონკურენციის ფონზე, დამსაქმებელი ამით შეამცირებს ადამიანური რესურსის დაკარგვის რისკს;
- ტექნიკური და პროგრამული მხარდაჭერა დამსაქმებლის მიერ - დამსაქმებელმა სასურველია განსაზღვროს ბიუჯეტი, რომლითაც უზრუნველყოფს დასაქმებულებს ტექნიკური რესურსით. დისტანციურად და ჰიბრიდულად მუშაობის დროს დასაქმებულებს დასჭირდებათ შესაბამისი ინვენტარი, რითიც შეძლებენ მათზე დაკისრებული საქმიანობის შესრულებას.

გამოყენებული ლიტერატურა

ევროკავშირი საქართველოსთვის. (2020). დისტანციური მუშაობის სახელმძღვანელო. თბილისი.

კუტალაძე, ი. (2020). *დისტანციურად მუშაობა: საჯარო სექტორში დასაქმებულთა განწყობების ანალიზი.* UNDP. www.csb.gov.ge

მაღლაფერიძე, ე. (2021). *დისტანციური მუშაობის თავისებურებები და განვითარების პერსპექტივები საქართველოში.* თბილისი.

პაიჭაძე, ნ. (2018). *ადამიანური რესურსების მართვა.* თბილისი.

პაპალაშვილი, ს. (2021). *კვლევების თანახმად, ჰიბრიდული სამუშაო გარემო შეიძლება უფრო პროდუქტიული გახდეს.* Forbes. Retrieved December 20, 2023, from https://forbes.ge/kvlevebis-thanakhmad-hibriduli-samushao-garemo-sheidzleba-uphro-produqtiuli-gakhdes/, https://forbes.ge/

Allied Telecom. *The history of telecommuting*. Retrieved December 20, 2023, from https://www.alliedtelecom.net/the-history-of-telecommuting/

Aprilina, R. & Martdianty, F. (2023). The Role of Hybrid-Working in Improving Employees' Satisfaction, Perceived Productivity, and Organizations' Capabilities. *Journal of Theory and Applied Management. 16* (2), 206-207.

Barcelos, K. (2021). *Critical Post-pandemic Workplace Challenges.* Careers in Government. https://www.careersingovernment.com/tools/gov-talk/covid-19/critical-post-pandemic-workplace-challenges/.

Belanger, F. & Colins, RW. (1998). Distributed Work Arrangements: A Research Framework. *The Information Society, 14 (*2), 137-152.

Berthiaume, E. (2020). Jack Nilles tried to ignite a work-from-home trend 48 years ago. It's finally here. Lawrence University Appleton, Wisconsin. www.lawrence.edu

Bittman, M., Brown, J. & Wajcman, J. (2009). The mobile phone, perpetual contact and time pressure. *Work Employ Soc*., 23, 673–691.

Bloom, N., Liang, .J, Roberts, J., et al. (2015). Does working from home work? Evidence from a Chinese experiment. *Q J Econ. 130*(1), 165–218.

Böckerman, P. & Ilmakunnas, P. (2012). The job satisfaction-productivity nexus: A study using matched survey and register data. *Ind Labor Relations Rev., 65*, 244–262.

Ellis, R., Goodacre, T., Mortensen, N., Oeppen, RS., Brennan, PA. (2022). Application of human factors at hybrid meetings: facilitating productivity and inclusivity. *British Journal of Oral and Maxillofacial Surgery, 60* (6), 740-745.

Fitzer, MM. (1997). Managing from Afar: Performance and Rewards in a Telecommuting Environment. *Compensation & Benefits Review., 29* (1), 65-73.

Gartner, (2021). *Redesigning Work for a Hybrid Future.* Gartner. CM_CF_1455274. Retrieved December 20, 2023, from https://www.tsae.org/public/upload/files/general/Gartners_Future_of_Work_Ebook.pdf

Chamorro-Premuzic, T. (2021). *Thriving in the Age of Hybrid Work*. Harvard business review. Retrieved December 20, 2023, from https://hbr.org/2021/01/thriving-in-the-age-of-hybrid-work

Incource. *ჰიბრიდული და დისტანციური მუშაობის უპირატესობები Forbes-ის კვლევების თანახმად.* Retrieved December 20, 2023, from http://www.insource.ge/ge/node/631

IT Step აკადემია. *დისტანციურად მუშაობა - უხილავი ძალების გააქტიურება.* Retrieved December 20, 2023, from https://ge.itstep.org/blog/დისტანციურად-მუშაობა-უხილავი-ძალების-გააქტიურება

Karimikia, H., Singh H., Joseph D. (2020). Negative outcomes of ICT use at work: meta-analytic evidence and the role of job autonomy. *Internet Res*. *31*. 159–190.

Koeva, E. (2022). *Does Hybrid Work Increase Productivity?* [A Surprising Answer]. OfficeRnD. https://www.officernd.com/blog/does-hybrid-work-increase-productivity/

Martin, L., Hauret, L., Fuhrer, C. (2022). Digitally transformed home office impacts on job satisfaction, job stress and job productivity. COVID-19 findings. *PLoS ONE, 17*(3): e0265131.

Mullan, K. & Wajcman, J. (2019). Have mobile devices changed working patterns in the 21st century? A Time-diary analysis of work extension in the UK. *Work Employ Soc., 33*, 3–20.

Nilles, JM. (1994). *Making Telecommuting Happen: A Guide For Telemanagers And Telecommuters (p. 196).* New York, United States: Van Nostrand Reinhold.

Robinson, B. (2022). 3 New Studies End Debate Over Effectiveness Of Hybrid And Remote Work. Forbes. www.forbes.com (09.09.2023).

Rupietta, K. & Beckmann, M. (2018). Working from home: What is the effect on employees' effort? *Schmalenbach Bus Rev., 70*, 25–55.

Schiff, FW. (1979). *Working at Home Can Save Gasoline.* The Washington Post. Retrieved December 20, 2023, from https://www.washingtonpost.com/archive/opinions/1979/09/02/working-at-home-can-save-gasoline/ffa475c7-d1a8-476e-8411-8cb53f1f3470/

THE FINANCIAL TIMES LTD. *How hybrid working can boost productivity and improve employee satisfaction.* (2020). Retrieved December 20, 2023, from https://www.ft.com/partnercontent/sps/how-hybrid-working-can-boost-productivity-and-improve-employee-satisfaction.html

Tsipursky, G. (2023). *A New Study Shows How to Maximize Hybrid Work Productivity*. Forbes. www.forbes.com.

Flexible work format and Labor productivity of employees

Mariam Davitadze[1]*
Tea Samchkuashvili[2]
[1, 2]Grigol Robakidze University, Georgia

***Corresponding author:** mariam.davitadze@sca.ge

Abstract. Presented article examines the post-Covid-19 global pandemic work situation, which has become a new opportunity for flexible and crisis-ready organizations and institutions after the challenges experienced during the pandemic. Based on the review of international literature, the features of the post-pandemic work situation were analyzed and new opportunities in the post-pandemic work era were identified. Based on the review of existing practice and international literature, as a result of the obtained data, modern and current methods of work forms were determined, such as the transition to a completely remote work format and only working away from the workplace and working hybridly, which implies a mixed form of work and can work both at the workplace and away from the workplace. As a result of the aforementioned forms of work, the creation of new jobs has become easier and employment in several places at the same time has become available. The created situation has improved the socio-economic condition of the citizen, and the state has increased the labor force resource. The article explains the advantages and disadvantages of modern methods of work forms and generalizes them in relation to the existing international practice. The results of the study will be of interest to employers facing the challenges created by the global pandemic, to industry specialists and individual experts, however, the attitudes and needs of employees towards modern work methods are a separate subject of research, since the part of the workforce of the labor market is not fully capable of actively using modern digital technologies. The article will be of interest to scientists, public and private organizations, employers, and experts working on labor market research and employment issues.

Key words: Remote work, Work online, Hybrid form of work, Post-pandemic crisis, Employment, Job growth

საჯარო მმართველობა / საჯარო ადმინისტრირება: შედარებითი ანალიზი

გვანცა ძიძიგური[1]*
თეა სამჭკუაშვილი[2]
[1, 2]გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო

***პასუხისმგებელი ავტორი:** gvantsa.dzidziguri21@gruni.edu.ge

რეზიუმე. მსოფლიო დონეზე ორგანიზაციული სისტემის ზრდასთან ერთად, სამეცნიერო ლიტერატურის დღის წესრიგში გამოიკვეთა შესაბამისი დარგის პოლიტიკის გამიჯვნა მეცნიერების თეორიული ნაწილისგან და პირიქით, მასთან იდენტიფიცირების საკითხი. საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა მმართველობითი სისტემების შესწავლა დარგობრივ დონეზე, მაგრამ მსოფლიო განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლის თანმდევ პროცესად იქცა ადმინისტრაციული მეცნიერების, საჯარო ადმინისტრირების სახით ჩამოყალიბების აუცილებლობა. ნაშრომში მოცემულია შედარებითი ანალიზი საჯარო მმართველობის და საჯარო ადმინისტრირების დარგებს შორის, სამაგიდე კვლევის სახით, რაც შესაძლებლობას იძლევა ჩამოყალიბდეს რეკომენდაცია უმაღლესი განათლების სისტემაში კონკრეტული დარგის ინტეგრირებასთან (რელევანტური ფორმულირებით) დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: საჯარო მმართველობა, საჯარო ადმინისტრირება, უმაღლესი საგანმანათლებლო დარგი, პოლიტიკა

შესავალი

მმართველობითი სისტემების შესწავლა მსოფლიოს განვითარების ნებისმიერ პერიოდში აქტუალურ საკითხს წარმოადგენდა. აღნიშნული სისტემები საზოგადოების ჩამოყალიბებიდან მოყოლებული პერიოდის თანმდევი პროცესია. მე-19 საუკუნიდან, ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდში დღის წესრიგში დადგა ორგანიზაციული სისტემების და მათი მართვის საკითხი, რაც გულისხმობდა კონკრეტულ, ინდივიდუალურ დონეზე არსებული საჭიროებების შესწავლას. ნაშრომში მოცემულია საჯარო მმართველობის და საჯარო ადმინისტრირების, როგორც ორი დარგის შედარებითი ანალიზი.

პირველ თავში წარმოდგენილია ადმინისტრაციული მეცნიერების ჩამოყალიბების წინაპირობები და აუცილებელი გარემოებები. ასევე განხილულია საჯარო ადმინისტრირების დარგის განვითარების მახასიათებლები, რომელიც პერიოდის და სახელმწიფოებრივი სისტემების ტრანსფორმირების თანმდევი პროცესია.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია საჯარო მმართველობის, როგორც დარგის დეფინიცირების საკითხი და ის კონკრეტული სტრატეგიები, რაზეც უნდა ფოკუსირდეს სამეცნიერო კვლევები აღნიშნულ დარგში.

ნაშრომის მესამე თავი ხაზს უსვამს საჯარო მმართველობის და საჯარო ადმინისტრირების ძირითად განმასხვავებელ ფაქტორს და ასახავს უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში რელევანტური ფორმულირებით დარგის ინტეგრირებასთან მიმართებით რეკომენდაციას.

კვლევით პროცესში გამოყენებულია სამაგიდე კვლევის მეთოდოლოგია, იგივე მეორადი კვლევა (Secondary research), რაც ზემოთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებული წყაროების შეჯამების და შედარებითი ანალიზის საფუძველზე დასკვნის და რეკომენდაციის წარმოდგენის საშუალებას იძლევა.

I თავი - საჯარო ადმინისტრირება, როგორც დარგი

საჯარო ადმინისტრირების, როგორც დარგის ისტორიაში მნიშვნელოვანი პერიოდია მე-19 საუკუნის ბოლო, კონკრეტულად, ვუდრო ვილსონის მიერ 1887 წელს გამოქვეყნებული სტატია „THE STUDY OF ADMINISTRATION“, სადაც ავტორი აღნიშნავს ძველი პერიოდის სახელმწიფოსგან განსხვავებულ, ახალი პერიოდის სახელმწიფოს მახასიათებლებს. მისი აზრით, თანამედროვე პერიოდში მთავრობა კომპლექსურია, უმრავლესობა მხოლოდ მთავრობას ექვემდებარებოდა, ახლა კი ისინი მართავენ მას, მთავრობის მთავარი მოვალეობა გახდა დაიცვას ერის შეხედულებები. სახელმწიფოს იდეა და, შესაბამისად, მისი მოვალეობის იდეალი საყურადღებო ცვლილებას განიცდის. სახელმწიფოს იდეა არის ადმინისტრაციის სინდისი. ყოველდღიურად, დღის წესრიგში დგას ახალი საკითხები, რაც სახელმწიფომ უნდა განახორციელოს და ამის შემდეგი ნაბიჯია ის, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს ყველაფერი. სწორედ, ამ პროცესებიდან გამომდინარე ხედავს ვუდრო ვილსონი ადმინისტრაციის მეცნიერების არსებობის საჭიროებას.

აღნიშნულ სტატიაში მნიშვნელოვანი მონაკვეთია პოლიტიკისა და ადმინისტრაციის მიმართების საკითხი. ადმინისტრაცია პოლიტიკის შესაბამისი სფეროს მიღმაა. ადმინისტრაციული საკითხები არ არის პოლიტიკური საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკა უსაზღვრავს ამოცანებს ადმინისტრაციას, ამ პროცესს არ უნდა ერთვოდეს შიდა პროცესებში ჩარევა. საჯარო ადმინისტრირება არის საჯარო სამართლის დეტალური და სისტემატური აღსრულება. კონკრეტულად, პროცესები, მაგალითად, როგორიცაა გადასახადების შეფასება და გაზრდა, სამხედრო ეკიპირება და ა.შ., ადმინისტრაციის ქუდის ქვეშ არსებული საკითხებია, ხოლო საჯარო სამართალი საკითხებს აძლევს მიმართულებას, თუ რა მხრივ უნდა განვითარდეს პროცესები. ადმინისტრირება გულისხმობს სახელმწიფო გეგმების შესრულებას (Wilson, 1887).

ადმინისტრაციული დარგი მჭიდრო კავშირშია კონსტიტუციური უფლებამოსილების განაწილების შესწავლასთან. ვუდრო ვილსონი სვამს საინტერესო კითხვას: ინდივიდები, რომლებიც მოწვეული არიან ადმინისტრაციული დისციპლინის საკითხის გადასაწყვეტად, ნიშნავს თუ არა რომ იგივე, კონსტიტუციური პრინციპების გადაჭრაზე უნდა იმუშაონ: (Wilson, 1887) „Are the people to be called in to settle administrative discipline as they are called in to settle constitutional principles?“ (Wilson, 1887).

აღნიშნული კითხვის სააფუძველი თვითონ მეცნიერებაში არსებულ პრობლემას უკავშირდება, რაც გულისხმობს რა როლი უნდა მიიღოს საზოგადოებრივმა აზრმა

ადმინისტრაციის წარმართვაში? საზოგადოებრივმა აზრმა უნდა ითამაშოს ავტორიტეტული კრიტიკოსის როლი (Wilson, 1887). ადმინისტრაციული მეცნიერების განვითარება მოამზადებს მმართველობის ზოგადი პრინციპების მტკიცე გაგების გზას, მაგრამ ეს არ ნიშნავს აუცილებლად ხელისუფლების წარმართვის უნარის განვითარებას. მსგავსი განათლება მოამზადებს კანონმდებლებს და არა აღმასრულებელი თანამდებობის პირებს. საზოგადოებრივი აზრის, რაც ხელისუფლების მამოძრავებელი ძალაა, გაუმჯობესების წინაპირობაა, უკეთესი აღმასრულებელი თანამდებობის პირების, როგორც ხელისუფლების აპარატის მომზადება (Wilson, 1887).

საჯარო ადმინისტრირების დარგში გამორჩეული პერიოდია 1960-იანი წლები. ახალი საჯარო მენეჯმენტი დიდწილად ეყრდნობა საბაზრო მექანიზმებს საზოგადოებრივი პროგრამების წარმართვისთვის. ახალი მიდგომა მოუწოდებს საჯარო მენეჯერებს იპოვონ ახალი და ინოვაციური გზები შედეგის მისაღწევად ან ფუნქციების პრივატიზებისთვის, რასაც ადრე მთავრობა უზრუნველყოფდა. მათი მართვის სტილი უნდა ეყრდნობოდეს ფართო შესაძლებლობების აღიარებას და რესურსებსა და საჭიროებებს შორის ბალანსის დამყარებას და არა ერთ მიზანზე კონცენტრირებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ თავად არ უნდა იტვირთონ სერვისის მიწოდების საკითხი, არამედ, სადაც შესაძლებელია, უნდა განისაზღვროს პროგრამები, რომლებსაც სხვები განახორციელებენ კონტრაქტის ან სხვა მსგავსი შეთანხმებების მეშვეობით (Denhardt & Denhardt, 2007, p. 13).

2000-იანი წლების დასაწყისიდან საჯარო ადმინისტრირების დარგში ჩნდება ახალი მიდგომა, რომელიც მოიცავს შვიდ ძირითად პრინციპს (Denhardt & Denhardt, 2007, გვ. 42-43):

ემსახურეთ მოქალაქეებს და არა მომხმარებლებს: საზოგადოებრივი ინტერესი საერთო ფასეულობების შესახებ დიალოგის შედეგია და არა ინდივიდის პირადი ინტერესების აგრეგაციის. აქედან გამომდინარე, საჯარო მოხელეები არ პასუხობენ მხოლოდ „მომხმარებლების“ მოთხოვნებს, არამედ ფოკუსირებული არიან სანდო და თანამშრომლობითი ურთიერთობების დამყარებაზე მოქალაქეებთან და მათ შორის (Denhardt & Denhardt, 2007, გვ. 42-43).

საზოგადოებრივი ინტერესის მოძიება: საჯარო ადმინისტრატორებმა წვლილი უნდა შეიტანონ კოლექტიური, საზოგადოებრივი ინტერესის საერთო წარმოდგენის ჩამოყალიბებაში (Denhardt & Denhardt, 2007, გვ. 42-43).

მოქალაქეობის დაფასება მეწარმეობაზე მეტად: საჯარო ინტერესებს უკეთესად იცავენ საჯარო მოხელეები და მოქალაქეები, რომლებიც მზად არიან შეიტანონ მნიშვნელოვანი წვლილი საზოგადოებაში, ვიდრე მეწარმე მენეჯერები, რომლებიც მოქმედებენ ისე, თითქოს სახელმწიფო მათი ფულია (Denhardt & Denhardt, 2007, გვ. 42-43).

იფიქრე სტრატეგიულად, იმოქმედე დემოკრატიულად: საზოგადოებრივი საჭიროებების დაკმაყოფილების პოლიტიკა და პროგრამები ყველაზე ეფექტურად და პასუხისმგებლობით მიიღწევა კოლექტიური ძალისხმევისა და თანამშრომლობითი პროცესების მეშვეობით (Denhardt & Denhardt, 2007, გვ. 42-43).

იმის აღიარება, რომ ანგარიშვალდებულება მარტივი არ არის: საჯარო მოხელეები, ბაზართან შედარებით, უფრო მეტად ყურადღებიანი უნდა იყვნენ; მათ ასევე უნდა გაითვალისწინონ ნორმატიული და კონსტიტუციური კანონი, საზოგადოების ღირებულებები, პოლიტიკური ნორმები, პროფესიული სტანდარტები და მოქალაქეთა ინტერესები (Denhardt & Denhardt, 2007, გვ. 42-43).

მომსახურება ვიდრე მართვა (Serve Rather than Steer): საჯარო მოხელეებისთვის სულ უფრო მნიშვნელოვანია გამოიყენონ საერთო, ღირებულებებზე დაფუძნებული ლიდერობის მიდგომა, რათა დაეხმარონ მოქალაქეებს მათი საერთო ინტერესების გამოხატვასა და დაკმაყოფილებაში, ვიდრე ეცადონ გააკონტროლონ ან წარმართონ საზოგადოება ახალი მიმართულებებით (Denhardt & Denhardt, 2007, გვ. 42-43).

დააფასეთ ადამიანები და არა მხოლოდ პროდუქტიულობა (Value People, Not Just Productivity): საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ქსელები, რომლებშიც ისინი მონაწილეობენ, უფრო წარმატებული იქნება გრძელვადიან პერსპექტივაში, თუ ისინი იმუშავებენ თითოეული ადამიანის პატივისცემაზე დაფუძნებული თანამშრომლობისა და ერთობლივი ლიდერობის პროცესებით (Denhardt & Denhardt, 2007, გვ. 42-43).

II თავი - საჯარო მმართველობა, როგორც დარგი

საჯარო მმართველობა, როგორც დარგი რთული შესასწავლია მრავალი მოსაზრებების გამო, რომელიც დაკავშირებულია ნორმატიულ და პოზიტიურ ანალიზში „რატომ და როგორ უნდა იმართოს“ საკითხის შესწავლასთან. საჯარო სექტორის მმართველობა ასევე განიმარტება როგორც კანონების, წესების და სასამართლო გადაწყვეტილებების რეჟიმები და ადმინისტრაციული პრაქტიკა, რომელიც ზღუდავს, განსაზღვრავს და უზრუნველყოფს საჯაროდ მხარდაჭერილი სიკეთის და მომსახურების მიწოდებას საჯარო და კერძო სექტორის აგენტებთან არსებული ასოციაციების მეშვეობით. მმართველობის ეს განმარტება მოიცავს საჯარო მენეჯმენტს: იმ აქტორების ქცევებს და წვლილს სამთავრობო საქმიანობაში, რომლებიც ასრულებენ მენეჯერულ როლებს (Hill & Lynn, 2004).

შედარებითი მმართველობის ემპირიული კვლევა კვლევის სამი სტრატეგიიდან ერთ-ერთს წარმოადგენს, რომელიც ზოგადად გამოიყენება საჯარო მმართველობისა და მენეჯმენტის ემპირიულ კვლევაში. აღნიშნული სტრატეგია ორიენტირებულია მიიღოს ისტორიული, აღწერილობითი და ინსტიტუციური შედეგი. შეხედულებები და დასკვნები ეფუძნება ოფიციალური დოკუმენტების, ინტერვიუებისა და საველე დაკვირვების სხვა ფორმების სისტემატურ მიმოხილვასა და შეფასებას, ასევე აკადემიკოსების, კონსულტან-ტებისა და პრაქტიკოსების მიერ ჩატარებულ მეორად კვლევებს (Hill & Lynn, 2004).

კვლევის მეორე სტრატეგია ცდილობს გამოავლინოს „საუკეთესო პრაქტიკა“ მენეჯმენტის რეალური პრობლემების დეტალური შემთხვევის შეგროვების გზით. დეტალური შემთხვევების შეგროვება და შესწავლა მიზნად ისახავს გამოავლინოს რა მუშაობს და რა არა, დასკვნების შერწყმა ეფექტური პრაქტიკის პრინციპებთან, რომლებიც რეზონანსდება რეალურ სამყაროში (Hill & Lynn, 2004).

საჯარო მმართველობის შესწავლის მესამე სტრატეგია იყენებს სოციალური და ქცევითი მეცნიერებების ფორმალურ თეორიებს, მოდელებს, მეთოდებსა და მონაცემებს სამთავრობო პროცესების შესასწავლად და ემპირიული ცოდნის შემუშავებისთვის იმის შესახებ, თუ რა მუშაობს და რატომ (Hill & Lynn, 2004).

საჯარო მმართველობის სხვადასხვა განმარტებებიდან ასევე საინტერესო და ყოვლის-მომცველია შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის (აშშ) Institute of Internal Auditors (U.S.) განმარტება: „საჯარო სექტორის მმართველობა მოიცავს პოლიტიკასა და პროცედურებს, რომელიც გამოიყენება ორგანიზაციის საქმიანობის წარმართვისთვის, რათა უზრუნველ-ყოს გონივრული გარანტია, რომ მიზნები მიიღწევა და ოპერაციები ეთიკური და ანგარიშ-ვალდებული სახით ხორციელდება. საჯარო სექტორში მმართველობა მიემართება მიზნების ჩამოყალიბებასა და მათი მიღწევის საშუალებებს. ის ასევე მოიცავს აქტივობებს, რომლებიც უზრუნველყოფს მთავრობის სანდოობას, ადგენს მომსახურების სამართლიან მიწოდებას და უზრუნველყოფს სახელმწიფო მოხელეების სათანადო ქცევას - ამცირებს საჯარო კორუფციის რისკს“ (Institute of Internal Auditors, 2006).

საჯარო მმართველობის პარადიგმები განისაზღვრება, როგორც ნორმებისა და იდეების შედარებით თანმიმდევრული და ყოვლისმომცველი ნაკრები, თუ როგორ უნდა იმართოს, მოეწყოს და წარიმართოს საჯარო სექტორი. მმართველობის რეჟიმის ნორმატიულ და იდეოლოგიურ კომპონენტებს შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული წარმოშობა, მაგრამ ისინი ხელახლა არტიკულირებულია და შედარებით ერთიანი დისკურსის ნაწილს წარმოადგენს. როგორ უნდა იმართოს, როგორ უნდა იყოს სტრუქტურირებული და ორგანიზებული საჯარო სექტორი, როგორ ურთიერთქმედებენ ლიდერები, მენეჯერები და თანამშრომლები გადაწყვეტილების მიღების და მოქალაქეებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის სერვისების მიწოდების პროცესში (Torfing et al., 2020).

დარგის შინაარსი იცვლება პერიოდების ცვლასთან ერთად. როგორც ავტორები აღნიშნავენ საჯარო მმართველობის პარადიგმებში არსებული სწრაფი ცვლილებები განპირობებულია საუკეთესო პრაქტიკის გაცვლის სწავლებაზე დაფუძნებული გლობალური პოლიტიკის დაჩქარებით, ანალიტიკური ცენტრების გავრცელებით, და სტაბილურად ძლიერი ინტერფეისით აკადემიასა და საჯარო პოლიტიკის შემუშავების პროცესს შორის, რამაც დააჩქარა სასწავლო პროცესები და გაზარდა ახალი იდეების მიმოქცევა და შერჩევა იმის შესახებ თუ რა მუშაობს საჯარო ადმინისტრირებასა და მენეჯმენტში (Torfing et al., 2020).

ორი დონე: 1 - საერთო მაკრო დონის თეორიით რამდენიმე წინადადებაზე დაყრდნობით, რომელიც აერთიანებს და მიმართულებას აძლევს ცნებების ფართო სპექტრს, დეტალურ რეკომენდაციებს და სასურველი მეთოდებს; 2 - ისინი ვითარდებიან მათი წინამორბედე-ბის პრობლემების საპასუხოდ, შედიან შედარებით წარმატებული „ნორმალური მმართველობის“ პერიოდში და რთულდება პრობლემების დაგროვებით, რომელზეც პასუხი არ აქვთ (Torfing et al., 2020).

საჯარო მმართველობის პარადიგმები მიმართულებას და მნიშვნელობას ანიჭებს კონკრეტულ მმართველობით რეფორმებს და ყოველდღიურ ძალისხმევას როლის

ოპტიმიზაციისთვის და საჯარო ადმინისტრირების ფუნქციონირებისთვის, იმ გზით რომ მიაწოდოს გადაწყვეტილებები და მაღალი ხარისხის მომსახურება ხელმისაწვდომი საშუალებებით. მმართველობის პარადიგმების საწყისი ფორმულირება შთაგონებულია საჯარო მმართველობის და ადმინისტრირების ფაქტობრივ ფორმებში არსებული ახალი განვითარებით (Torfing et al., 2020).

III თავი - შედარებითი ანალიზი და რეკომენდაცია

საჯარო მმართველობის და საჯარო ადმინისტრირების როგორც დარგის განვითარების და განმარტებითი შედარებიდან ჩანს, ძირითადი განმასხვავებელი ფაქტორია პროცესი თუ რას მოიცავს მმართველობა და რას ადმინისტრირება. საჯარო მმართველობის პროცესი საზღვრავს პოლიტიკის ჩარჩოს, კონკრეტულ პრაქტიკებს და ზოგადად მიმართულებას, რის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს ადმინისტრირების პროცესი. შესაძლებელია გაჩნდეს კითხვა პოლიტიკის მეცნიერების დარგთან კვეთის საკითხთან დაკავშირებით. პოლიტიკის მეცნიერება მმართველობით თეორიებს სწავლობს ნებისმიერ დონეზე, მაგრამ არ უნდა გაიგივდეს საჯარო მმართველობის დარგთან, რომელიც საზღვრავს კონკრეტულ მმართველობით პრაქტიკას და პოლიტიკას ადმინისტრირებისთვის.

ორი დარგის შედარებითი ანალიზიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დგას დარგის ფორმულირების საკითხი უმაღლესი განათლების მიმართულებით. ამჟამად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, რომელიც გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) დოკუმენტებზე („განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია“ (ISCED-F-2013) და „განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 – დეტალური სფეროების აღწერა“ (ISCED-FoET-2013) დაყრდნობით, ახდენს საქართველოში არსებული სწავლის სფეროების კლასიფიცირებას და განსაზღვრავს სწავლის თითოეულ სფეროში მისანიჭებელ კვალიფიკაციას. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, საჯარო მმართველობის დარგი მოქცეულია 0413 მენეჯმენტის და ადმინისტრირების ქუდის ქვეშ შემდეგი სახით: 0413.1.3 საჯარო მმართველობა/Public Administration (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი, 2019).

ნაშრომში წარმოდგენილი რეკომენდაცია გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამების დასახელების დაკორექტირებას შემდეგნაირად: **საჯარო მმართველობა და ადმინისტრირება (Public Administration and Governance (PAG)),** რომელიც საბაკალავრო დონეზე შეიძლება მოიცავდეს ორ მოდულს. პირველი მოდული ორიენტირებული იქნება საჯარო მმართველობის ბაზისურ საკითხებზე მმართველობითი სისტემების ანალიზის სახით, ხოლო მეორე მოდული ფოკუსირდება ორგანიზაციულ დონეზე ადმინისტრირების მიმართულებით, რაც კონკრეტულ მმართველობით პრაქტიკას ეფუძნება.

საჯარო ადმინისტრირების და მმართველობის ეროვნულმა კოლეჯმა, ფილიპინების უნივერსიტეტში (National College of Public Administration and Governance (NCPAG), University of

the Philippines (UP)), სასწავლო გეგმა ჩამოაყალიბა შემდეგი საკითხების გათვალისწინებით (Villamejor-Mendoza, 2014), რაც კარგი მაგალითია იმის თუ რას უნდა გულისხმობდეს საგანმანათლებლო პროგრამა ზემოთ აღნიშნული მიმართულებით:

ა) სასწავლო პროგრამა ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დონეზე ასახავს ევოლუციურ და კუმულაციურ ცვლილებებს: მისი სპეციალიზაციის სფეროები მოიცავს: ორგანიზაცია და მენეჯმენტი/მართვა, პერსონალის მართვა, ფისკალური ადმინისტრირება და ადგილობრივი ხელისუფლება, ტრადიციული საჯარო ადმინისტრირება, საჯარო პოლიტიკა და პროგრამის მართვა, საჯარო საწარმოს მენეჯმენტი, სივრცითი ინფორმაციის მართვა და მოხალისეობრივი სექტორის მართვა ახალი საჯარო ადმინისტრირებისთვის, ახალი საჯარო ადმინისტრირება და მმართველობა (Villamejor-Mendoza, 2014).

ბ) შედარებითი საჯარო ადმინისტრირება, ადმინისტრაციული თეორია და ისტორია, მენეჯმენტი, დაგეგმვა და კონტროლი, ორგანიზაცია და მენეჯმენტი, მმართველობა და განვითარების ინსტიტუტები, კვლევის მეთოდები, მთავრობის ბიუჯეტირება, ადგილობრივი მმართველობა, ეთიკა და ანგარიშვალდებულება, მარეგულირებელი მმართველობითი სისტემა, მოქალაქეობა და დემოკრატია (Villamejor-Mendoza, 2014).

გ) სწავლის შედეგები მოიცავს ცოდნის შექმნას ისეთ საკითხებზე როგორიცაა, ბიუროკრატიის რეორგანიზაცია, ბიუროკრატია დემოკრატიისთვის, ნეგატიური ბიუროკრატიული ქცევა, კორუფციასთან ბრძოლა, ეთიკა და ანგარიშვალდებულება, ადმინისტრაციული კულტურა და პოლიტიკა, ინოვაცია და სრულყოფილება ადგილობრივ ხელისუფლებაში, სიღარიბის დაძლევა და ჯანდაცვის სექტორი, სახელმწიფო, ბაზარი და სამოქალაქო საზოგადოება, კორპორატიული მმართველობა, ფედერალიზმი, პრივატიზაცია, დერეგულაცია და საჯარო სექტორის რეფორმა, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა, დემოკრატიული მმართველობის ხელშეწყობა, ICT განვითარებისთვის, საარჩევნო პროცესის რაციონალიზაცია (Villamejor-Mendoza, 2014).

დასკვნა

ნაშრომში წარმოდგენილი იყო საჯარო მმართველობის და საჯარო ადმინისტრირების დეფინიცირების საკითხი, რაც ცხადყოფს ამ ორ დარგს შორის ურთიერთდამოკიდებულებას, მაგრამ ამასთანავე იმ ძირეულ განმასხვავებელ ფაქტორებს, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში დარგობრივი ინტეგრირებისას.

საჯარო მმართველობის პროცესი საზღვრავს პოლიტიკის ჩარჩოს, კონკრეტულ პრაქტიკებს და ზოგადად მიმართულებას, რის მიხედვითაც უნდა განხორციელდეს ადმინისტრირების პროცესი. პოლიტიკის ჩარჩოს განსაზღვრა შეიძლება მოიცავდეს კონკრეტული მმართველობითი მოდელის ანალიზს, მისი ეფექტურობის და ორგანიზაციულ დონეზე ზეგავლენის (დადებითი თუ უარყოფითი) შეფასებას.

ისმის კითხვა, თუ როგორ უნდა ინტეგრირდეს ორი ურთიერთდაკავშირებული დარგი უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაში. შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ნაშრომში

გაცემულია რეკომენდაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემდეგი სახით ფორმულირებასთან დაკავშირებით: საჯარო მმართველობა და ადმინისტრირება (Public Administration and Governance (PAG)), რაც თავის თავში მოიაზრებს როგორც მმართველობითი სისტემების ანალიზს, ასევე მათი მახასიათებლების (მაგ., სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებს შორის კოორდინირება) ორგანიზაციული დონეზე (ორგანიზაციული სტრუქტურის და მისი მახასიათებლების ანალიზი) ურთიერთქმედების შეფასებას. აღნიშნული ფორმულირება და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა უზრუნველყოფს დარგის განვითარებას და მის ნაკლებად ქაოსურობას, რაც ბუნებით ინტერდისციპლინურ დარგებს ახასიათებს.

გამოყენებული ლიტერატურა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ. 10/04/2019, N 69ნ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

Denhardt, J.V. & Denhardt, R.B. (2007). *The New Public Service.* Armonk, London: M.E. Sharpe.

Hill, C.J. & Lynn Jr, L.E. (2004). Governance and Public Management, an Introduction. *Journal of Policy Analysis and Management,* 3-11.

The Role of Auditing in Public Sector Governance. (2006). Institute of Internal Auditors.

Torfing, J., Andersen, L.B., Greve, C., Klausen, K.K. (2020). *Public Governance Paradigms: Competing and Co-existing.* Cheltenham: Edward Elgar Publishing.

Villamejor-Mendoza, M.F. (2014). *The Challenges to the Futures of PA Education.* Quezon City: University Of The Philippines.

Wilson, W. (1887). *The Study of Administration*. Political Science Quarterly.

Public governance/public administration: a comparative analysis

Gvantsa Dzidziguri[1]*
Tea Samchkuashvili[2]
[1, 2]Grigol Robakidze University, Georgia

***Corresponding author:** gvantsa.dzidziguri21@gruni.edu.ge

Abstract: Along with the growth of the organizational system at the world level, the issue of separating and identifying the relevant field of politics from the theoretical part of science was highlighted in the agenda of scientific literature. For centuries, the study of governance systems was carried out at the sectoral level, but the necessity of establishing administrative science in the form of public administration became a concomitant process of the transition to a new stage of world development. The paper provides a comparative analysis between the field of public governance and public administration, in the form of a desk study, which makes it possible to formulate a recommendation regarding the integration of a specific field in the higher education system (with relevant formulation).

Keywords: Public Governance, Public Administration, Higher educational field, Policy

კონკორდატის სამართლებრივი ასპექტები

ეკატერინე აბაშიძე[1]*
მერი ლომია[2]
[1, 2]გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო

***პასუხისმგებელი ავტორი:** ekaterine.abashidze21@gruni.ed

რეზიუმე. კონკორდატი საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის 2002 წელს დადებული კონსტიტუციური შეთანხმებაა, რომლის შესაბამისობა კონსტიტუციასთან დღემდე იწვევს აზრთა სხვადასხვაობას. ალბათ სწორედ ამიტომ, აღნიშნული სამართლებრივი აქტი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დოკუმენტია, რომელიც არაერთხელ გამხდარა არა მხოლოდ სპეციალისტების, არამედ საზოგადოების განხილვის საგანი. სტატიის მიზანია კონსტიტუციური შეთანხმების სამართლებრივი ასპექტების გაანალიზება, რაც მეტად თვალსაჩინოს გახდის არსებულ ვითარებასა და იმას, თუ როგორაა დაცული თანასწორუფლებიანობის პრინციპები მრავალრელიგიურ საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: კონკორდატი, კონსტიტუციური შეთანხმება, დენომინაცია, ავტოკეფალია, სახელმწიფო პოლიტიკა

შესავალი

რელიგიის თავისუფლება წარმოადგენს იმ ფუნდამენტურ უფლებას, რომელზედაც დგას სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფო. აღნიშნულ უფლებას უდიდესი წვლილი შეაქვს დემოკრატიული პლურალიზმის დამკვიდრებაში, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია საზოგადოებრივი მშვიდობა და ჰარმონია. კაცობრიობის ისტორია ათასწლეულების განმავლობაში რელიგიური შეუწყნარებლობითა და დევნით იყო გაჯერებული. თვით დასავლეთშიც რელიგიური უფლებები ძალზე გვიან და მტკივნეული გზის გავლის შედეგად აღმოცენდა იმ ტრადიციიდან, რომელიც გაცილებით იოლად აღიარებდა სხვა ტიპის უფლებებს. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში რელიგიის თავისუფლება ადამიანის უფლებების ნაწილად იქნა გაცხადებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მრავალ დოკუმენტში და თითქმის ყველა ძირითადმა რელიგიამ ამ იდეალის მხარდაჭერა გამოხატა.

საქართველო ისტორიულად მულტიკულტურული და მულტირელიგიური ქვეყანაა, რამაც განაპირობა საქართველოს ისტორიული ტოლერანტობა, სწორედ ეს გარემო, რომლის განსაკუთრებული მახასიათებელია რელიგიური მრავალფეროვნება, არის ქართული საზოგადოების ფასდაუდებელი სიმდიდრე. ამ სიმდიდრის გაფრთხილება, შენარჩუნება და მშვიდობიანი თანაცხოვრების წესის თანამედროვე პრაქტიკად ქცევა წარმოადგენს სახელმწიფოს მნიშვნელოვან გამოწვევას, რათა რელიგიისა და რწმენის თავისუფლება, როგორც უფლებრივი სიკეთე, მრავალფეროვან რელიგიურ გარემოში

დაცული იყოს (ლორია და სხვ., 2006). როგორია დღეს ვითარება ჩვენს სინამდვილეში და გამოარჩევს თუ არა კონკორდატი მართლმადიდებელ ეკლესიას სხვა კონფესიებისაგან და რა განაპირობებს ამ განსაკუთრებულობას?! 2002 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარში საქართველოს პატრიარქმა - ილია II-მ, საკონსტიტუციო შეთანხმებაზე საუბრისას აღნიშნა, რომ იგი უნდა იქცეს ქვეყნის სასარგებლოდ ერთობლივი მუშაობის საფუძვლად. ხოლო მისი რეალიზება ყოველდღიურ ცხოვრებაში გახდება განვითარებული, დემოკრატიული, ზნეობრივად გამართული სახელმწიფოს მშენებლობის საწინდარი:

„სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა მსგავსია ადამიანის სულისა და ხორცისა, სადაც ორივეს თავისი ადგილი აქვს და კეთილგანწყობა და გონიერება წარმართავს მათ ჰარმონიულ ყოფას“ (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 2002). იმ პერიოდის სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა განსხვავებულ მიდგომასა და მოწესრიგებას მოითხოვდა. აქედან გამომდინარე, მაშინდელმა ხელისუფლებამ და მართლმადიდებელმა ეკლესიამ ურთიერთობის მოწესრიგების ყველაზე მისაღებ ფორმად შეარჩიეს კონსტიტუციური შეთანხმება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის შემდეგ ყველაზე მაღალი რანგის სამართლებრივი აქტი იქნებოდა. სახელმწიფო ხელისუფლებამ ამგვარი ქმედებით მართლმადიდებელი ეკლესია აღიარა, როგორც ქვეყნისთვის ისტორიული, განსაკუთრებული ფუნქციისა და მნიშვნელობის მქონე სუბიექტი. დოკუმენტზე მუშაობისას კანონმდებელს შემთხვევით არ უწოდებია მისთვის „კონსტიტუციური“. ამით ხაზი გაესვა მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სტატუსს სახელმწიფო სისტემაში. შეთანხმებისთვის „კონსტიტუციურის“ წოდებით მისი დადების შესაძლებლობა და სუბიექტთა წრე განისაზღვრა სახელმწიფოს ძირითადი კანონით (ხეცურიანი, 2002).

თავი I

I (1) საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება (2002 წ.)

2002 წლის 14 ოქტომბერს სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარში საქართველოს პატრიარქმა - ილია II-მ, საკონსტიტუციო შეთანხმებაზე საუბრისას აღნიშნა, რომ იგი უნდა იქცეს ქვეყნის სასარგებლოდ ერთობლივი მუშაობის საფუძვლად (ილია II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, 2017). ხოლო მისი რეალიზება ყოველდღიურ ცხოვრებაში გახდება განვითარებული, დემოკრატიული, ზნეობრივად გამართული სახელმწიფოს მშენებლობის საწინდარი:

„სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა მსგავსია ადამიანის სულისა და ხორცისა, სადაც ორივეს თავისი ადგილი აქვს და კეთილგანწყობა და გონიერება წარმართავს მათ ჰარმონიულ ყოფას“ (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, 2002).

იმ პერიოდის სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობა განსხვავებულ მიდგომასა და მოწესრიგებას მოითხოვდა. აქედან გამომდინარე, მაშინდელმა ხელისუფლებამ და მართლმადიდებელმა ეკლესიამ ურთიერთობის მოწესრიგების ყველაზე მისაღებ ფორმად შეარჩიეს კონსტიტუციური შეთანხმება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის შემდეგ ყველაზე მაღალი რანგის სამართლებრივი აქტი იქნებოდა.

დოკუმენტზე მუშაობისას კანონმდებელს შემთხვევით არ უწოდებია მისთვის „კონსტიტუციური“. ამით ხაზი გაესვა მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სტატუსს სახელმწიფო სისტემაში. შეთანხმებისთვის „კონსტიტუციურის“ წოდებით მისი დადების შესაძლებლობა და სუბიექტთა წრე განისაზღვრა სახელმწიფოს ძირითადი კანონით (საქართველოს კონსტიტუცია, 1995).

კონკორდატით სახელმწიფომ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას ერთმნიშვნელოვნად უმაღლესი საკანონმდებლო გარანტიები შეუქმნა და ამით ეს ინსტიტუცია კიდევ ერთხელ აღიარა ჩვენი ქვეყნისათვის ისტორიული ფუნქციისა და მნიშვნელობის მქონე სუბიექტად (გეგენავა, 2022). შესაბამისად, განსაზღვრა კიდეც მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა და ადგილი სახელმწიფოს რელიგიურ პოლიტიკაში და სხვა შეღავათებთან ერთად მიანიჭა ქონებრივი და ფინანსური დამოუკიდებლობა:

„... მართლმადიდებლობა - ევროპის ერთ-ერთი ტრადიციული აღმსარებლობა საქართველოში, ისტორიულად სახელმწიფო რელიგია იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, ეროვნული მსოფლმხედველობა და ფასეულობები; საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია; საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში და მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსგან“ (გეგენავა, 2018).

„... სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული“ (ხეცურიანი, 2001).

„... ეკლესიის მიერ წარმოებული საღვთისმსახურო პროდუქცია - მისი დამზადება, შემოტანა, მიწოდება და შემოწირულობა, ასევე არაეკონომიკური მიზნით არსებული ქონება და მიწა გათავისუფლებულია გადასახადებისაგან“.

I (2) კონსტიტუცია და კონკორდატი

კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წელს დაიდო საქართველოს მეორე პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს შეთანხმებით. მას წინ უძღოდა 2001 წლის 30 მარტს საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლში შეტანილი ცვლილება, რომელმაც უზენაეს კანონში სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების ცნება შეიტანა. როგორც კათოლიკოს-პატრიარქის სამადლობელ სიტყვაშია მოცემული (სსკ, 1106-ე მუხლი), დოკუმენტის შექმნაში იმ დროის თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა, ყველამ თავისი წვლილი შეიტანა. მადლობა ეძღვნება ყველა სამინისტროს, არასამთავრობო და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, უმაღლეს სასწავლებლებსა და ცალკეულ ორგანიზაციებს. ამდენად, გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი,

რომ დოკუმენტზე მომუშავე კომპეტენტურ პირთა შედეგი ამდენ უზუსტობასა და სამართლებრივ ხარვეზს მოიცავს.

პირველი: თვალშისაცემი სამართლებრივი ხარვეზი თავად დოკუმენტის სათაურშია - „კონსტიტუციური შეთანხმება“. ამ საკითხს საკმაოდ ვრცლად განმარტავს საჯარო სამართლის დოქტორი, პროფესორი დიმიტრი გეგენავა (გეგენავა, 2016), რომელიც აღნიშნავს, რომ კანონმდებელს „კონსტიტუციურის“ ნაცვლად ამ დოკუმენტისთვის ფონეტიკურად გამართული ცნება „საკონსტიტუციო“ უნდა ეწოდებინა, რადგან ეს უკანასკნელი კონსტიტუციისთვის განკუთვნილს და კონსტიტუციით გათვალისწინებულს ნიშნავს. ხოლო ცნება „კონსტიტუციური“ კონსტიტუციასთან შესაბამისს გულისხმობს. განსხვავება თითქოს უმნიშვნელოა, თუმცა შინაარსობრივად, ქართული ენის სპეციფიკის გათვალისწინებით, ეს ტერმინები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან და ერთმანეთის ურთიერთგადამფარავ მნიშვნელობასაც კი მოიცავს. გარდა ამისა, თავად „კონსტიტუციური შეთანხმებაც“ სადავო სახელწოდებაა, რადგან შინაარსობრივად ის უნდა იყოს თანხვედრაში თავად კონსტიტუციასთან (გეგენავა, 2016). ამ შემთხვევაში კი კონსტიტუციური შეთანხმება სრულიად არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, მასში შეტანილი ყოველი მუხლი აცდენილია საყოველთაოდ აღიარებულ თანასწორობის პრინციპებს. ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებში, საქართველოშიც, სამართლებრივი აქტების იერარქიაში უმაღლესი ძალის მქონე ნორმატიული აქტია საქართველოს კონსტიტუცია. კონსტიტუციის შემდეგ, როგორც წესი, იერარქიის შემდგომ საფეხურზე არის სახელმწიფოს მიერ მიღებული საერთაშორისო ხელშეკრულებები. თუმცა საქართველოს შემთხვევაში კონსტიტუციის მომდევნოდ კონკორდატი გვევლინება. შესაბამისად, ის ყველაზე დიდი ძალის მქონე ნორმატიული აქტია კონსტიტუციის შემდეგ. სწორედ ეს საკითხია სადავო ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების წრეებში. მათი განმარტებით, კონკორდატისთვის მინიჭებული პრივილეგიით პირდაპირ ირღვევა კონსტიტუციის 14-ე მუხლი, კერძოდ, სხვა აღმსარებლობის მქონე საქართველოს მოქალაქეთა უფლებები. კანონმდებელმა შესაძლოა, აღიაროს მართლმადიდებელი სარწმუნოების ისტორიული ღვაწლი სამშობლოს წინაშე, ასევე, ფაქტი, რომ საქართველოს მოქალაქეთა 80%-ზე მეტი მართლმადიდებელი ქრისტიანია, თუმცა ეკლესიისთვის პრიორიტეტის ასე ცალსახად მინიჭებით, კანონი ეწინააღმდეგება ადამიანის თანასწორუფლებიანობის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს (გეგენავა და სხვ., 2015).

ხარვეზებს მეტად თვალსაჩინოს ხდის კონკორდატის მუხლობრივი განხილვა:

პირველი მუხლის მე-3 პუნქტით, ეკლესიას მიენიჭა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი (აბაშიძე, 2007). 2002 წლიდან ამ სტატუსით მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია სარგებლობდა. 2011 წელს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შემდეგ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მიღება სხვა რელიგიურმა ორგანიზაციებმაც შეძლეს. ამავე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები საქართველოს საპატრიარქოს უფლებამოსილებასა და კათოლიკოს-პატრიარქის ხელშეუვალობის საკითხს ეხება. კონსტიტუციურმა შეთანხმებამ პატრიარქს ისეთივე ხელშეუვალობა მიანიჭა, როგორიც, კონსტიტუციის 75-ე მუხლის თანახმად, მხოლოდ

ერთადერთ თანამდებობის პირს - საქართველოს პრეზიდენტს, გააჩნია. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობა არჩევითია და იმუნიტეტი მას მხოლოდ გარკვეული პერიოდით ენიჭება, პატრიარქისგან განსხვავებით, რომელიც ხელშეუვალობით სიცოცხლის ბოლომდე სარგებლობს. ხელშეუხებლობა გულისხმობს პირის მიმართ სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის შეუძლებლობას. ანუ ხელშეუვალი პირის დაკავება, დაპატიმრება და კანონით დადგენილი წესით დასჯა შეუძლებელია. პატრიარქისგან განსხვავებით, ამ პრივილეგიით ვერ სარგებლობს სხვა რელიგიური ჯგუფის ლიდერი და ამით ირღვევა კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი. ასევე, პროტესტს იწვევს მხოლოდ მართლმადიდებლური დღესასწაულების უქმედ გამოცხადება, რაც სხვა კონფენსიური თემის წევრებს არათანაბარ პირობებში აყენებს.

მეორე მუხლით განსაზღვრულია აღსარებისა და საეკლესიო საიდუმლოს დაცვა. ისევე როგორც ადვოკატებსა და ექიმებს, სასულიერო პირებს (ამ შემთხვევაში ყველა რელიგიურ ჯგუფს) აქვთ საიდუმლოების დაცვის პრივილეგია. ექიმებისგან და ადვოკატებისგან განსხვავებით, რომლებიც გამონაკლის შემთხვევებში ვალდებულნი არიან საიდუმლოს გაცემის აუცილებლობით, სასულიერო პირებისთვის საიდუმლოს დაცვის პრინციპი აბსოლუტურია. კანონმდებლობა პირდაპირ განსაზღვრავს, რომ სასულიერო პირი ვალდებულია არ გასცეს ინფორმაცია, რომელიც მას, როგორც მოძღვარს, გაანდეს (ხეცურიანი, 2002). ეს მუხლი ეწინააღმდეგება კონსტიტუციის მე-19 მუხლის 1 პუნქტს და საჭიროებს გადახედვას.

მესამე მუხლი შეეხება ქორწინებას ჯვრისწერის რიტუალის შესრულებით. კონსტიტუ-ციური შეთანხმების მიხედვით, სახელმწიფო აღიარებს ჯვრისწერით ქორწინებას კანონმდებლობით დადგენილი წესით. მაშინ, როდესაც სამოქალაქო კოდექსი ცნობს მხოლოდ იმ ქორწინებას, რომელიც რეგისტრირებულია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში (ჩიკვაიძე, 2008).

მეოთხე მუხლი, რომელიც სასულიერო პირს ათავისუფლებს სამხედრო ვალდებულე-ბისგან. სწორედ ეს ნორმა გახდა თავის დროზე იმის საფუძველი, რომ პოლიტიკურმა პარტია „გირჩმა“ სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ შექმნა რელიგიური ორგანიზაცია „ბიბლიური თავისუფლება“, ახალგაზრდების სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან თავის ასარიდებლად. ამ საკითხმა საზოგადოებაში დიდი დაპირისპირება გამოიწვია. თუმცა, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, მალე შეიქმნება ახალი სამხედრო კოდექსი, რომელიც ყველა პირს დაავალდებულებს გაიაროს სავალდებულო სამხედრო სამსახური. ახალი კოდექსიდან ამოღებული იქნება ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც სასულიერო პირები თავისუფლდებოდნენ სამხედრო გაწვევისგან. მაგრამ იგი კვლავ არ შეეხება მართლმადიდებელ სასულიერო პირებს, რომელთაც კონკორდატის მე-4 მუხლი დაიცავთ. ეს ფაქტი არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენებს სხვა რელიგიის წარმომად-გენლებს და წარმოქმნის დისკრიმინაციის ფაქტს. ამავე მუხლის მეორე პუნქტით, განსაზღვრულია მოძღვრის ინსტიტუტის შექმნა საპატიმროებსა და სამხედრო-საჯარისო ფორმირებებში. ამ ნორმის მეშვეობით მართლმადიდებელ სასულიერო პირებს თავისუფლად შეეძლოთ პატიმრებთან შეხვედრა და მათთვის რელიგიური რიტუალის

ჩატარება. მაშინ როდესაც სხვა რელიგიური წარმომადგენლებისთვის თავიანთ მრევლთან შეხვედრა, გარკვეული ბიუროკრატიული საკითხების გამო, რთულდებოდა. 2010 წელს, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის №187 ბრძანებით, სხვა რელიგიური კონფენსიების წარმომადგენელთა მოძღვართან შეხვედრის პროცედურა გამარტივდა, თუმცა ბრძანების ტექსტში სხვა რელიგიების წარმომადგენელების ცალკე გამოყოფითა და მოხსენიებით დისკრიმინაციული ხასიათი მაინც რჩება.

მეხუთე მუხლი შეეხება განათლების სფეროს. რელიგიის სწავლების ნებაყოფლობას. თუმცა იგი ეხება მხოლოდ მართლმადიდებლური განათლების მიღების შესაძლებლობას. მსგავსი შეთანხმება არ არსებობს სხვა რელიგიურ ორგანიზაციებთან და მათთვის არ არის უზრუნველყოფილი მოთხოვნის შემთხვევში განახორციელონ რელიგიის სწავლების პროგრამა.

მეექვსე მუხლით განსაზღვრულია ეკლესიის საკუთრება და სხვა ქონებრივი უფლებები, რომელიც განსაკუთრებულად საყურადღებო და მოსაწესრიგებელია. მათ შორის, ეკლესიის ქონების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის, საგადასახადო შეღავათებისა და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მართლზომიერების საკითხები.

მეშვიდე, მერვე და მეცხრე მუხლებით განსაზღვრულია საკულტო ნაგებობების კუთვნილების საკითხი. მეშვიდე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად მიიჩნევს საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს, მათ ნანგრევებსა და მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ეს შენობა-ნაგებობებია განლაგებული. მოცემული ნორმის შესაბამისად, ხელისუფლება ახორციელებს ტრადიციული რელიგიებისათვის ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას. თუმცა ვინაიდან ეს მუხლი შეეხება მხოლოდ მართლმადიდებელ ეკლესიას, კონკორდატიდან გამომდინარე, ნორმა არ ვრცელდება სხვა რელიგიური ორგანიზაციისთვის ქონების დაბრუნების საკითხზე. გარდა ამისა, სახელმწიფო ქონების შესახებ კანონი ცნობს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემას (საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ, 2010). თუმცა ამ კანონით არ უსარგებლიათ და ამჟამადაც ვერ სარგებლობენ სხვა რელიგიური ორგანიზაციები. ისინი მხოლოდ სარგებლობის უფლებით იღებენ ამ ქონებას. შენობა-ნაგებობების მსგავსად საკუთრების უფლება ვრცელდება სახელმწიფო დაცვაში მყოფ საეკლესიო საგანძურზე, იმ განსხვავებით, რომ ის მოიაზრება, როგორც საერთო-ეროვნული საგანძური და სახელმწიფოსა და ეკლესიის საერთო მფლობელობაში იმყოფება. მეცხრე მუხლის შესაბამისად, ეკლესიასა და სახელმწიფოს ერთობლივად ევალებათ ისტორიულ-კულტურულ ფასეულობებზე ზრუნვა და საეკლესიო-საგანძურის მოვლა-პატრონობა.

მეათე მუხლით დადგენილია, რომ სახელმწიფო იღებს ვალებულებას აწარმოოს მოლაპარაკება მათ ტერიტორიაზე არსებული ქართული მართლმადიდებლური შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობის თაობაზე. თუმცა, სამწუხაროდ, არავითარი ქმედითი სამუშაო არ ხორციელდება იმ საკითხების მოსაგვარებლად, რომლებიც საზღვარგარეთ არსებული ქართული ტაძრების დაცვასა და მოვლა-პატრონობას ეხება. არ მიმდინარეობს

სხვა სახელმწიფოებთან მოლაპარაკებები ქართული მართლმადიდებელი ტაძრების, მათი ნანგრევების, სხვა საეკლესიო ნაგებობების, აგრეთვე, საეკლესიო ნივთების დაცვისა და საკუთრების შესახებ.

მეთერთმეტე მუხლი შეეხება საბჭოთა პერიოდში ეკლესიისთვის მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების/კომპენსაციის საკითხს. კონკორდატის შესაბამისად, სახელმწიფო ცნობს და ადასტურებს მართლმადიდებელი ეკლესიებისთვის მიყენებულ ზარალს და როგორც საბჭოთა კავშირის დროს ჩამორთმეული ქონების ფაქტობრივი მფლობელი, იღებს ვალდებულებას ქონების ნაწილობრივ დაბრუნების თაობაზე. რა თქმა უნდა, შესაბამისი კომისიის შექმნის და მის მიერ კომპენსაციის რაოდენობის, ვადებისა და სხვა დეტალების დასადგენად. იგივე ვალდებულება სახელმწიფოს მხოლოდ ტრადიციული რელიგიების მიმართ აქვს ნაკისრი. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გარდა 2014 წლიდან დღემდე მხოლოდ ოთხ რელიგიურ მიმდინარეობას – ისლამურ, იუდეურ, რომაულ-კათოლიკურ და სომხურ-სამოციქულო აღმსარებლობის რელიგიურ გაერთიანებებს, გადაეცათ დაახლოებით 40 მილიონი ლარი, რაც დაახლოებით 15 მილიონი ამერიკული დოლარია.

I (3) სამთავრობო კომისია

კონსტიტუციურ შეთანხმებასთან დაკავშირებით, მასში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის მიზნით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის საფუძველზე, 2012 წელს შეიქმნა სამთავრობო კომისია (საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2012), რომლის წევრებად არჩეულ იქნენ როგორც სახელმწიფოს მთავრობის წევრები, ისე საპატრიარქოს უმაღლესი თანამდებობის პირები (საქართველოს მთავრობის დადგენილება №89 2012). კომისიას თავმჯდომარეობდა საქართველოს პრემიერ - მინისტრი. კრებაზე დამტკიცდა სამთავრობო კომისიის ოთხი სამუშაო ჯგუფი და მათი შემადგენლობა:

- ქონებრივი საკითხების განმხილველი სამუშაო ჯგუფი;
- კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი;
- საზღვარგარეთ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსის და ტაძრების კუთვნილების მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი;
- საკულტო ნაგებობათა წარმომავლობის დამდგენი სამუშაო ჯგუფი.

მას შემდეგ კონკორდატში ცვლილებების შეტანის მიზნით გამოიცა კიდევ ექვსი სამთავრობო დადგენილება:

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება №142 12.04.2012;
2. საქართველოს მთავრობის დადგენილება №123 18.04.2013 – 21.05.2013;
3. საქართველოს მთავრობის დადგენილება №289 25.06.2015;
4. საქართველოს მთავრობის დადგენილება №599 28.12.2022;

5. საქართველოს მთავრობის დადგენილება №297 10.08.2023.

ყოველ მათგანში ხდებოდა ცვლილებებისა და სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული დამატებების შეტანა. მათ შორის, კომისიის წევრთა შეცვლის და დამტკიცების შესახებ.

II თავი

ევროპული ქვეყნების გამოცდილება

ქართული კონსტიტუციური შეთანხმების მიმოხილვისას საინტერესოა ევროპული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა. ევროკავშირის ქვეყნების კონსტიტუციებში რელიგიური საკითხები თითქმის ერთნაირად არის მოწესრიგებული, რადგან ყველა მათგანი აღიარებს ადამიანის უფლებებს, მათ თანასწორობას. ყველა კანონმდებელი ორგანო საერთო ღირებულებებით ხელმძღვანელობს.

ევროკავშირში სამოქალაქო-საეკლესიო სამართლებრივი სისტემის სამი ძირითადი ტიპი არსებობს: პირველი დომინანტი, ანუ სახელმწიფო ეკლესია, როდესაც მათ მტკიცე ურთიერთობა გააჩნიათ ერთმანეთთან (მაგ: საბერძნეთი, ინგლისი, დანია, ფინეთი და ა.შ.). მეორე ტიპს წარმოადგენს სახელმწიფოსა და ეკლესიის მკვეთრი გამოყოფა ერთმანეთისგან (სეკულარული სისტემა) მაგ: საფრანგეთი, ნიდერლანდები და ირლანდია. ხოლო მესამე ტიპს, რომელიც უმრავლეს სახელმწიფოთა სამოქალაქო-საეკლესიო წყობას წარმოადგენს, განეკუთვნება ისეთი ურთიერთობა, როცა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობები დამყარებულია მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე (მაგ: ავსტრია, ესპანეთი, იტალია, ბელგია, პოლონეთი და სხვ.) (European Parliament Motion, 2006).

ავსტრიის კონსტიტუციით ნებადართულია რელიგიური ღვთისმსახურება ყველა ეკლესიისა და რელიგიური გაერთიანებისთვის (Porz, 2009). ავსტრიის სახელმწიფო აღიარებს 13 კონფესიურ გაერთიანებას. ყოველი მათგანი, აღიარებული სახელმწიფოს მიერ რელიგიურ კონფესიად, წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და სარგებლობს სახელმწიფოსგან მრავალი შეღავათით, მათ შორის, საგადასახადო სუბსიდიებით.

საბერძნეთში მართლმადიდებლობა, როგორც სახელმწიფო რელიგია, კონსტიტუციით არის აღიარებული. მიუხედავად ამისა, კანონმდებლობა ცნობს სხვა რელიგიათა უფლებებს და პატივს სცემს მათ. თუმცა აღიარებს ძირითადი სახელმწიფო რელიგიის უპირატესობას (Popesku, 2015). მაგალითად, პრეზიდენტობის კანდიდატი შეიძლება იყოს მხოლოდ მართლმადიდებელი ქრისტიანი. მათი კონსტიტუცია იწყება წმინდა სამების სახელით. საბერძნეთში ეკლესიები გათავისუფლებულნი არიან გადასახადებისგან. ყველა რელიგიურ თემს აქვს თავისი შემოსავალი ქონებიდან და კერძო შემოწირულობებიდან. მართლმადიდებელ ეკლესიებს და სასწავლებლებს აფინანსებს სახელმწიფო. ერთადერთი აკრძალვა ეხება მორწმუნეთა გადაბირების მცდელობას, ანუ პროზელიტიზმს, რომელიც საბერძნეთში ისჯება და მის კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო.

ინგლისი, რომელსაც წერილობითი კონსტიტუცია არ გააჩნია, აღიარებს ორ ეკლესიას: ანგლიკანურს და კათოლიკურს (Nicosia, 2023). თუმცა სახელმწიფოსთან მჭიდრო კავშირი მაინც ანგლიკანურ ეკლესიას აქვს. ინგლისის სახელმწიფო ეკლესიის უზენაესი მმართველია მეფე. ის ნიშნავს ინგლისის ეკლესიის არქიეპისკოპოსებს და საეპარქიო ეპისკოპოსებს. ანგლიკანური ეპისკოპოსები მოღვაწეობენ ლორდთა პალატაში, როგორც სულიერი ლორდები. მიუხედავად ამისა, ეკლესიათა დაფინანსება ინგლისში მკაცრად არის შეზღუდული. მათი ძირითადი შემოსავალი შემოწირულობების სახით გროვდება. ინგლისში კანონებით აღიარებულია ყველა კონფესიის რელიგიური თავისუფლება, პატივს სცემენ ყოველი ადამიანის აზრს დაკავშირებულს სარწმუნოებასთან.

ინგლისის მსგავსად ირლანდიის კონსტიტუციაც ავტონომიას ანიჭებს ყველა რელიგიას და კრძალავს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებებს (Nucci, 2011). მიუხედავად იმისა, რომ ბელგია სეკულარული სახელმწიფოა და ქვეყანა განცალკევებულია ეკლესიისგან, იგი მაინც უაღრესად მორწმუნე სახელმწიფოდ რჩება (Diarmuid, 2017), სადაც ყველა რელიგიური კონფესიის აღიარებისა და პატივისცემის მიუხედავად, კათოლიციზმი ქვეყნის უპირატესი რელიგიაა.

იტალიაში ძირითადი რელიგია კათოლიციზმია (Noda, 2011). ეს ქვეყანა იმით არის განსაკუთრებული, რომ მის ტერიტორიაზე არსებობს მეორე, დამოუკიდებელი საეკლესიო სახელმწიფო - ვატიკანი (Vatican. *Agreements of the Holy See*.). იტალიაში საუკუნეების მანძილზე ეკლესიის შემოსავლის ძირითად წყაროს შემოწირულობები წარმოადგენდა. თუმცა XX საუკუნის 80-იან წლებში სახელმწიფოსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის გაფორმდა კონკორდატი და ეკლესიის დაფინანსების ორი სისტემა დაარსდა: ეკლესიის შემოსავალი იტალიის მოქალაქეთა გადასახადებიდან პროცენტული განაკვეთის სახით და მეორე, თავად სახელმწიფოს მიერ ფინანსდება ყველა რელიგიური კონფესია თანაბრად (Concordat between the Slovak Republic and the Vatican, 2006).

ესპანეთში კათოლიკური ეკლესია (Spanish concordats, 19th and 20th centuries.) პირდაპირ ბიუჯეტიდან ფინანსდება და ისევე როგორც იტალიაში, ესპანეთის მოქალაქეებიც ეკლესიისთვის თანხას გადასახადების სახით იხდიან. სახელმწიფოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა სახის შეღავათი სხვა რელიგიური გაერთიანებებისთვის და ისევე როგორც ევროკავშირის სხვა ქვეყნებში (შოვნაძე, 2017), ისინიც გათავისუფლებულნი არიან გადასახადების გადახდისგან.

ესპანეთის მსგავსად, პორტუგალიაშიც კათოლიკური რელიგია განსაკუთრებული პრივილეგიის მქონეა და ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. (აქ მოქმედებს კონკორდატი მთავრობასა და კათოლიკურ ეკლესიას შორის, რომელსაც პორტუგალიაში (Almeida e Karvalho, 2016)) მინიჭებული აქვს საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სტატუსი და ჰყავთ წმინდა ეკლესიასთან დაკავშირებული ელჩი.

გერმანიაში ფუნქციონირებს ორი, თანაბარი პრიორიტეტის მქონე ეკლესია - კათოლიკური და პროტესტანტული (Triandafylidou, Yakova 2022). გერმანული მოდელით, სახელმწიფო და ეკლესია დამოუკიდებელი და განცალკევებულია ერთმანეთისაგან. თუმცა მათ შორის

არსებობს სამართლებრივად მოწესრიგებული ურთიერთობა, რომელიც ემყარება სამ ძირითად პრინციპს: პარიტეტს, ნეიტრალიტეტსა და ტოლერანტობას.

აღსანიშნავია ესტონეთის მოდელიც (Ringvee, 2008), სადაც საქართველოს მსგავსად, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ იწყო სარწმუნოების დაბრუნება და აღორძინება. ესტონეთი მრავალი რელიგიური კონფესიის ერთიანობას წარმოადგენს. თუმცა ამ სახელმწიფოში უწინ პროტესტანტული ეკლესიის ლიდერობის ნაცვლად მორწმუნეთა უმრავლესობას მართლმადიდებელი ქრისტიანები წარმოადგენენ. ესტონეთში მოქმედებს ორი მართლმადიდებლური ეკლესია: ერთი მათგანი მოსკოვის მართლმადიდებელი ეკლესიის მფარველობის ქვეშაა, ხოლო მეორე საბერძნეთის მართლმადიდებელ ეკლესიას მიეკუთვნება.

დასკვნა და რეკომენდაცია

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტის მიღებიდან ოც წელიწადზე მეტია გასული, კონკორდატი დაუსრულებელ და ბოლომდე გაუაზრებელ დოკუმენტს წარმოადგენს და მრავალ სამართლებრივ თავსატეხს წარმოქმნის. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის, პოლიტიკური ვითარება, სახელმწიფოს ზრუნვა და დამოკიდებულება რელიგიურ ორგანიზაციებთან და საქართველოს საპატრიარქოსთან. მოცემული სამართლებრივი აქტი დღეისთვის ქმედითი არ არის და საჭიროა მისი მოწესრიგება, სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა. მუხლობრივი განხილვის შედეგად ცხადი გახდა, თუ რამდენად სიღრმისეულ შესწავლასა და მუშაობას მოითხოვს კონსტიტუციური შეთანხმების თითოეული საკითხი. აღნიშნული დოკუმენტი ძირფესვიან ცვლილებას მოითხოვს დღევანდელი და სამომავლო პერსპექტივებისა და პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით. აუცილებელია ყველა მუხლი და პუნქტი მორგებული იყოს კონსტიტუციას, თანასწორობისა და უფლებების დაცვის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. ამასთანავე, გასათვალის-წინებელია საპატრიარქოს უფლებები და მართლმადიდებელი ხალხის აზრი. რადგან, მიუხედავად მოსახლეობის სწრაფვისა ევროპულ კავშირში გაერთიანებისკენ - საქართველო მაინც რჩება უძველესი მართლმადიდებელი ღირებულებების მქონე ქვეყანად. შესაბამი-სად, კონკორდატის დამუშავება მეტად რთულ, საპასუხისმგებლო და ხანგრძლივ შესწავლასა და შემუშავებას მოითხოვს, რათა რელიგიურ ნიადაგზე რაიმე შუღლის არსებობას საფუძველი არ მიეცეს. მით უფრო ახლა, როდესაც ასე რეალურია ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა.

გამოყენებული ლიტერატურა

აბაშიძე, ლ. (2007). რელიგიური კანონმდებლობის პერსპექტივები საქართველოში. *ჟურნალი სოლიდარობა,* №9(18), 14.

გეგენავა, დ. (2016). კონსტიტუციური შეთანხმების ზოგიერთი ტექნიკური და სამართლებრივი პრობლემა. *სამართლის ჟურნალი, №1,* 184-195. https://www.tsu.ge/data/file_db/faculty-law-public/samartlis%20Jurnali%20_%202016.1.pdf

გეგენავა, დ. (2018). *ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება (გვ. 69).* დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა.

გეგენავა, დ. (2022). *კონკორდატის სამართლებრივი თავგადასავალი: წმინდა საყდრის ისტორიული შეთანხმებებიდან თანამედროვე ხელშეკრულებებამდე.* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

https://www.researchgate.net/publication/365197458_konkordatis_samartlebrivi_tavgadasavali_tsminda_saqdris_istoriuli_shetankhmebebidan_tanamedrove_khelshekrulebebamde

გეგენავა, დ., ქანთარია, ბ., ცანავა, ლ., თევზაძე, თ., მაჭარაძე, ზ., ჯავახიშვილი, პ., ერქვანია, თ., პაპაშვილი, თ. (2015). *საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი.* მე-3 გამოცემა, 5.

ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. (2017). გამომცემლობა პალიტრა L.

ლორია, ვ., გელაშვილი, ბ., ბენდელიანი, მ. (2006). *ადამიანის უფლებები და რელიგია.* გამომცემ-ლობა თობალისი.

საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი. 26/06/1997, N 786. საოჯახო სამართალი. მუხლი 1106.

საქართველოს კანონი საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების დამტკიცების შესახებ. საქართველოს პარლამენტი. საკანონმდებლო მაცნე N 1697, 27/11/2002.

საქართველოს კანონი სახელმწიფო ქონების შესახებ. 21/07/2010, N 3512. მუხლი 63.

საქართველოს კონსტიტუცია. 24/08/1995, №786. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი. საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33. https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=3.

საქართველოს მთავრობის დადგენილება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული საკითხების განმხილველი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ. 21/02/2012, №63. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1593397?publication=0

შოვნაძე, დ. (2017). *სახელმწიფოს მიერ ეკლესიის დაფინანსების, სხვადასხვა შეღავათების და მათი ურთიერთობის ევროპული მოდელები.* https://dshonvadze.wordpress.com/2017/12/27/სახელმწიფოს-მიერ-ეკლესიი/

ჩიკვაიძე, დ. (2008). *საეკლესიო სამართალი.* თბილისი.

ხეცურიანი, ჯ. (2001). სახელმწიფო და ეკლესია, *ჟურნ. ადამიანი და კონსტიტუცია*, (1), 11.

ხეცურიანი, ჯ. (2002). ქართული ეკლესიის კონსტიტუციური საფუძვლები. *ჟურნალი ადამიანი და კონსტიტუცია,* (3), 13.

Almeida de Carvalho, R. (2016). Interwar Dictatorships, the Catholic Church and Concordats: The Portuguese New State in a Comparative Perspective. *Contemporary European History*, 25(1), 37 – 55. https://doi.org/10.1017/S0960777315000466

Concordat on the implementation of directive 2001/18/EC (as amended) and regulation 1946/2003/EC. https://www.gov.wales/sites/default/files/publications/2018-09/concordat-with-defra.pdf

Diarmuid Martin, Archbishop of Dublin. (2017). *Relationship between Church and State is one of prudent distance* – Archbishop Diarmuid Martin. Retrieved December 20, 2023, from https://www.catholicbishops.ie/2017/07/08/elationship-between-church-and-state-is-one-o.

European Parliament Motion for a European Parliament resolution on the concordat between the Slovak Republic and the Vatican. (2006.01.13). Motion for a resolution - B6-0052/2006. Retrieved December 20, 2023, from https://www.europarl.europa.eu/doceo/document/B-6-2006-0052_EN.html.

Nicosia, L. (2023). *How the new Concordat maximised the powers of the Church.* Maastricht University. Retrieved December 20, 2023, from https://ecamaastricht.org/blueandyellow-zoomingin/how-the-new-concordat-maximised-the-powers-of-the-church

Noda, M. (2011). The Historical, Political and Ecclesiastical Background of the 1927 Concordat between the Vatican and Romania. *Journal for the Study of Religions and Ideologies, 9(27),* 281-301. https://www.academia.edu/75932948/The_Historical_Political_and_Ecclesiastical_Background_of_the_1927_Concordat_between_the_Vatican_and_Ro.

Nucci, A. (2011). *The Future of Concordats.* The Catholic World Report. Retrieved December 20, 2023, from https://www.catholicworldreport.com/2011/12/01/the-future-of-concordats/

Popescu, A. (2015). *The Properties of the Romanian Greek-Catholic Parishes.* The European Centre for Law and Justice. Retrieved December 20, 2023, from https://eclj.org/religious-autonomy/echr/the-properties-of-the-romanian-greek-catholic-parishes-before-the-european-court-of-human-rights.

Potz, R. (2009). *Religious Freedom and the Concept of Law and Religion in Austria.* https://www.osce.org/files/f/documents/f/6/39602.pdf.

Ringvee, R. (2008). State, religion and the legal framework in Estonia. *Religion, State and Society, 36(2).* 181-196. https://www.researchgate.net/publication/248960214_State_religion_and_the _legal_ framework_in_Estonia

Scott, A. (2000). *The Role of Concordats in the New Governance of Britain: Taking Subsidiarity Seriously?* Jean Monnet center, NYU School of Law. https://jeanmonnetprogram.org/archive/papers/00/000801-02.html

Spanish concordats of the 19th and 20th centuries. Concordat Watch - Spain - content area. Library of Congress. Retrieved December 20, 2023, from https://www.concordatwatch.eu/spanish-concordats-of-the-19th-and-20th-centuries-t34501.

Triandafyllidou, A., Yakova, L. (2022). State-religion relations in Southern and Southeastern Europe: moderate secularism with majoritarian undertones. *Religion, State and Society. 50(4).* 396-414. https://doi.org/10.1080/09637494.2022.2129242

Vatican. *Agreements of the Holy See*. The Holy See. Retrieved December 20, 2023, from https://www.vatican.va/roman_curia/secretariat_state/index_concordati-accordi_en.htm.

Legal aspects of the Concordat

Ekaterine Abashidze[1]*

Meri Lomia[2]

[1, 2]Grigol Robakidze University, Georgia

***Corresponding author:** ekaterine.abashidze21@gruni.ed

Abstract: The Concordat is a constitutional agreement signed this year between the Apostolic Autocephalous Orthodox Church of Georgia and the state. It remains disputed due to legal norms inconsistent with the Constitution and technical or content issues. Nevertheless, this is why it stands out as one of the most intriguing documents, stirring interest not only among lawyers but also among a significantly broader part of society. The purpose of the article is to showcase and analyze the deficiencies within the constitutional agreement, which will make the relevance of the problem more visible. Additionally, it seeks to identify the privileges granted to the Orthodox Church compared to other religious denominations within the constitutional agreement.

Keywords: Concordat, Constitutional agreement, Denomination, Autocephaly, State policy

მწვანე ინვესტიციები: ტურიზმის მდგრადი განვითარების თანამედროვე ინსტრუმენტი (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე)

სოფიო ლაზიშვილი[1]*
მაკა ფირანაშვილი[2]

[1, 2]გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო

***პასუხისმგებელი ავტორი:** s.lazishvili@gmail.com

რეზიუმე. სტატიაში განხილულია მწვანე ინვესტიციების გავლენის შედეგები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და ეკომეგობრული, ტურისტული მრავალფეროვანი პროდუქტის შექმნის შესახებ. თვისებრივი კვლევის ლიტერატურული მიმოხილვის მეთოდით შესწავლილი და გაანალიზებული იქნა მონაცემები სხვადასხვა წყაროებიდან, რომლის საფუძველზეც დადგინდა, რომ მსოფლიოში მწვანე ინვესტიციების განხორციელების მიდგომა სულ უფრო აქტუალური ხდება და პასუხობს იმ გამოწვევებს, რაც გლობალურად კაცობრიობის წინაშე დგას - ეკომეგობრული გარემოს შექმნა, განსაკუთრებით იქ, სადაც ადამიანი დასასვენებლად და გასაჯანსაღებლად მიდის. სტატიაში ახსნილია მწვანე ინვესტიციების მსოფლიო პრაქტიკისა და მათი გამოყენების შესახებ, საერთაშორისო სამეცნიერო ლიტერატურაში ასახული მიგნებები. სტატიის ფარგლებში განხორციელდა თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტის გამოყენებით საერთაშორისო ლიტერატურის, მსოფლიოში არსებული პრაქტიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის, ა(ა)იპ ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს საქმიანობის, სტრატეგიული გეგმებისა და საინვესტიციო პოლიტიკის შესწავლა მწვანე ინვესტიციების პოზიტიური გავლენის შესახებ. სტატისტიკური მონაცემების შეფასებით და შედარებით-ანალიტიკური მეთოდის გამოყენებით, დადგინდა, რომ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მწვანე ინვესტიციების სიმწირეა, ტურისტული პროდუქტის თვალსაზრისით, ძირითადად, ბუნებრივი რესურსების გამოყენებით ხდება მომსახურების მიწოდება. კვლევის შედეგების განზოგადოების გზით შექმნილია რეკომენდაციები, რაც დაეხმარება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას ტურისტული პროდუქტების მრავალფეროვნების შექმნასა და მასიური ტურიზმის კვალდაკვალ გარემოზე ნაკლები ზემოქმედების პროცესს. ამასთან, აღნიშნული საშუალებას მისცემს რეგიონს 4 სეზონის ტურისტული დანიშნულების ადგილის სტატუსის დამკვიდრებაში საერთაშორისო სამიზნე ქვეყნებში. წარმოდგენილი რეკომენდაციების განხორციელების შესაძლებლობა საჭიროებს დამატებით კვლევას, როგორც გარემოს შესწავლის, ისე სახელმწიფო საგადასახადო პოლიტიკის, კომპეტენციების ნაწილში. სტატია საინტერესო იქნება სპეციალისტებისათვის, რომლებიც მოღვაწეობენ სახელმწიფო პოლიტიკის კვლევისა და ინოვაციური მმართველობითი სისტემების მექანიზმების დანერგვის სფეროში, ასევე სტუდენტებისათვის, მკლევარებისათვის.

საკვანძო სიტყვები: მწვანე ინვესტიცია, მდგრადი ტურიზმი, ეკომეგობრული, გარემოზე ზრუნვა, ტურისტული პროდუქტი, ინვესტიცია

შესავალი

გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ ინვესტიციები წარმოადგინა როგორც ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ტურიზმის აღდგენისა და მდგრადი განვითარების პროცესში. ორგანიზაცია ხაზს უსვამს გაუმჯობესებული, ეფექტური ინვესტიციების საჭიროებას ხალხისთვის, პლანეტისთვის და კეთილდღეობისთვის. „ახლა ახალი და ინოვაციური გადაწყვეტილებების დროა და არა მხოლოდ ტრადიციული ინვესტიციები, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკურ ზრდას და პროდუქტიულობას. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია შეიმუშავებს რეკომენდაციებს საერთაშორისო საზოგადოების, მთავრობების, მრავალმხრივი ფინანსური ინსტიტუტების, განვითარების პარტნიორებისა და კერძო სექტორის ინვესტორების მიმართ, რათა გაერთიანდნენ ახალი ტურისტული საინვესტიციო სტრატეგიის გარშემო“ (გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია, 2023).

ტურიზმის ინდუსტრიის მრავალფეროვნება და საინვესტიციო კაპიტალი წყაროსა და მოცულობასთან ერთად წარმოადგენს კომპლექსურ ერთობას ტურისტული ინვესტიციების გაზომვისა და აღქმისათვის (მიმინოშვილი, 2012). ამასთან, მომხმარებელთა სურვილების, მიზნების მრავალფეროვნება და შესაბამისად, მისაწოდებელი მომსახურებების ცვლილება, ტექნოლოგიური პროგრესის აქტიური გამოყენება მომხმარებლების მიერ სფეროში აჩენს ახალი მომსახურებებისა და ტურისტული პროდუქტის ფორმირების შესაძლებლობას (აბესაძე, 2002).

გლობალური პანდემიის კოვიდ 19-ის შემდგომ, მსოფლიო საინვესტიციო გარემო, საფინანსო ინსტიტუტები, კერძო სექტორი, მომხმარებელთა მხრიდან გაზრდილი ინტერესის გათვალისიწინებით, გააქტიურდნენ ეკოლოგიურად სუფთა, ჯანსაღი გარემოსა და ინოვაციური, ტექნოლოგიური მომსახურებების შექმნისა და მიწოდების პროცესში. მსოფლიო ტურიზმის საინვესტიციო სტრატეგიის შემუშვების ძირითად საყრდენს სწორედ მწვანე საინვესტიციო პოლიტიკის დანერგვა და განხორციელება წარმოადგენს (Charles et al., 2002).

საქართველოში ტურიზმის ინდუსტრია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. მასიური ტურიზმი თავის მხრივ გულისხმობს ბუნებრივი რესურსების ჭარბ გამოყენებას. შესაბამისად, ტურისტული პროდუქტების ფორმირებისა და ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების გრძელვადიან პერსპექტივაში, მნიშვნელოვანია შემუშვებული იქნეს სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც წაახალისებს ქვეყანაში მწვანე ინვესტიციების განხორციელებას და შეამცირებს გარემოზე ზემოქმედებას (აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის კვლევა საერთაშორისო მოგზაურთა პროფილისა და დამოკიდებულების, 2015).

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ ჩატარებული აჭარაში ჩამოსული უცხოელ მოგზაურთა კვლევის თანახმად, განსაკუთრებული პოპულარობით გამოირჩევა მთასა და ეკოლოგიურად სუფთა გარემოში დასვენებისა და მოგზაურობის მიზანი. კვლევის

თანახმად 2019 წელთან შედარებით 2022 წელს გაზრდილია 80% საერთაშორისო ვიზიტები, ხოლო მომსახურების მიმწოდებელთა რაოდენობა, იგივე პერიოდებთან მიმართებაში 20% არის გაზრდილი. კვლევის შედეგებით დასტურდება, რომ მაღალმთიან აჭარაში, დაცულ ტერიტორიებსა და ეროვნულ პარკებში გაზრდილია ტურისტული მომსახურებების მიმწოდებელ სუბიექტთა რაოდენობა და მომხმარებელი მთელი წლის მანძილზე, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია არსებული ბუნებრივი რესურსების მასიურ გამოყენებასთან, ახალი ინფრასტრუქტურის შექმნასთან, ტურისტული სეზონის გახანგრ-ძლივებასთან.

პრობლემის აქტუალობა: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ინვესტიციების მზარდი დინამიკაა, რომლის დიდი წილი მოდის ტურისტული ინფრასტრუქტურის სფეროზე. შესაბამისად, ახალი ტურისტული ინვესტიციების განხორციელების დროს, მნიშვნელო-ვანია მწვანე ინვესტიციების წახალისება, რაც ხელს შეუწყობს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ტურისტული სეზონის დივერსიფიცირებას, ეკოლოგიაზე მასიური ტურიზმის მავნე გავლენის შემცირებას და საერთაშორისო ტურისტულ ბაზრებზე კონკურენტუნარიანი ტურისტული დანიშნულების ადგილის პოპულარიზაციას.

კვლევის ამოცანები:

რა სახის ინვესტიციების განხორციელება ხდება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში?

რა სახის სახელმწიფო წახალისების პროგრამები არსებობს ინვესტიციების მოზიდვის კუთხით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში?

თანამედროვე მსოფლიო ტურიზმის ბაზრებზე მწვანე ინვესტიციების განხორციელების ტენდენციები;

მწვანე ინვესტიციების განხორციელების ტენდენციები და რესურსების დადგენა.

კვლევის მიზანი: შესწავლილ იქნეს მწვანე ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ამასთან განისაზღვროს ის მეთოდები, რომლის საშუალებითაც რეგიონი შეძლებს მწვანე ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობას.

კვლევის ჰიპოთეზა: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ტურისტული სეზონის გახანგრძლივებისა და ტურისტული პროდუქტის დივერსიფიცირების თვალსაზრისით, მწვანე ივესტიციების განხორციელებაში სახელმწიფოს როლი მნიშვნელოვანია.

კვლევის მეთოდოლოგია

მოცემული ნაშრომის კვლევა ჩატარდა თვისობრივი კვლევის ფორმის ლიტერატურული მიმოხილვის, სტატისტიკური მონაცემების ანალიზის, კვლევებისა და ანგარიშების შესწავლით. კვლევის შედეგები გაანალიზდა ანალიზი-სინთეზის, შედარებით-ანალიტი-კური კვლევის მეთოდებით, რამაც საშუალება მოგვცა დადგენილიყო ტურიზმის განვითარების თანამედროვე ტენდენციები და გამოწვევები, მათი გადაჭრის გზები,

ტურისტული სეზონის გახანგრძლივებისა და ტურისტული პროდუქტის ფორმირების დროს მწვანე ინვესტიციების ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება და მათი გავლენა მასობრივი ტურიზმის შემთხვევაში, გარემოზე მავნე ზემოქმედების შესამცირებლად.

მოცემული ნაშრომის ფარგლებში გაანალიზებული და განხილული იქნა საერთაშორისო ლიტერატურასთან ერთად, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და ნორმატიული ბაზა, რომელიც ადგენს საქართველოში ინვესტიციების განხორციელების ძირითად საკითხებს. მოძიებული იქნა ინფორმაცია საქართველოში განხორციელებული ტურიზმის სფეროში, მწვანე ინვესტიციების წარმატებული მაგალითები, რომლის საშუალებითაც მოხდა ტურისტული სეზონის გახანგრძლივება და ამავდროულად, დადებითი გავლენა მოახდინა ტურისტულ სეზონზე.

კვლევის პროცესში გამოყენებული რესურსი მოძიებული იქნა სხვადასხვა წყაროების საშუალებით, მათ შორის ინტერნეტ რესურსი, საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები, მათი ვებ გვერდები, სამეცნიერო საერთაშორისო ლიტერატურა, მსოფლიოს წამყვანი, განვითარებული ტურიზმის ინდუსტრიის მქონე ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, მათი რეგულირების სფეროები, სახელმწიფო პოლიტიკის მარეგულირებელი ნორმატიული აქტები და მათ განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციების სტრუქტურა და უფლებამოსილებანი. აღნიშნული რესურსების გამოყენებისა და შეფასების საფუძველზე გაკეთებულია ლიტერატურული მიმოხილვა.

მწვანე ინვესტიციის რაობა და ფორმები ტურიზმში

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში არსებობს მრავალფეროვანი განმარტება ინვესტიციების შინაარსთან დაკავშირებით, თუმცა მათ შორის ყველაზე გავრცელებული ფორმის აღწერისას მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ინვესტიცია ეს არის ფინანსური ან ინტელექტუალური გრძელვადიანი კაპიტალდაბანდება (აბესაძე, 2002), რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა სფეროში, მათ შორის საწარმოებსა და ახალი პროგრამების განხორციელებაში, სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის პროგრამებში. ინვესტიციის ძირითადი თავისებურება, რითიც ის განსხვავდება დაფინანსებისაგან, არის მისი გრძელვადიან ჭრილში მოქმედება და ასევე ინვესტორის მხრიდან მოლოდინი იმისა, რომ მის მიერ განხორციელებული მოქმედება გარკვეული პერიოდის შემდგომ დაკავშირებული იქნება მოგების მიღებასთან (აბესაძე, 2002).

საქართველოში საკანონმდებლო დონეზე განმარტებულია ინვესტიციების შინაარსი, რომლის მიხედვითაც, ინვესტიციად ჩაითვლება ყველა სახის მატერიალური და არამატერიალური ფასეულობა ან უფლება, რომლის გამოყენებაც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე (ქვეყნის სტრატეგიული მონაცემები და მიმართულებები 2019-2022, 2022).

მსოფლიოში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით სამეწარმეო საქმიანობის ინვესტირება, ძირითადად, ორი გზით არის შესაძლებელი: საკუთარი და გაერთიანებული

სხვა დაინტერესებულ სუბიექტებთან ერთად. გაერთიანებულ სუბიექტებში შესაძლებელია იგულისხმებოდეს საფინანსო ინსტიტუტებიც, სადაც შესაძლებელია სესხისა და გრანტის მოპოვება. ამ ორი ძირითადი ფორმის გარდა, პრაქტიკაში ასევე გამოიყენება უშუალოდ ბიზნესის სტიმულირების ინვესტირება, ამ უკანასკნელი ფორმის გამოყენება ძირითადად სახელმწიფოს მხრიდან ხდება, რა დროსაც ის შეიმუშვებს ისეთ პროგრამებსა და ღონისძიებებს, რითიც უზრუნველყოფს სექტორის, ბიზნესის განვითარებას ან წახალისებას (აბესაძე, 2002). მსგავსი პროგრამები ხშირად აისახება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებში, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში (აჭარის ეკონომიკური ანალიზი, 2022).

ინვესტიციების განხორციელება, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი საქმიანობა დაკავშირებულია გარკვეულ გამოწვევებთან. ცალსახად ინვესტიციას მხოლოდ დადებით ჭრილში ვერ შევაფასებთ. მართალია, თანამედროვე ეპოქაში გაზრდილია სახელმწიფოთა ინტერესი ინვესტიციების მოზიდვისა და განხორციელების თვალსაზრისით (მიმინოშვილი, 2012), მაგრამ რამდენად მხოლოდ დადებით გავლენას ახდენს ის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, ეს ცალკე კვლევის ობიექტია. გასულ წლებში განვითარებული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოების უმრავლესობამ საინვესტიციო საქმიანობის პროცესის ლიბერალიზაცია მოახდინა, რომლის უმთავრეს მიზანს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა წარმოადგენს. ინვესტიციის წარმატებით განხორციელება კი დაკავშირებულია სახელმწიფოში მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ცხოვრების ხარისხისა და სხვა სამოქალაქო კეთილდღეობის მიღწევასთან. ანალოგიური მიდგომა განხორციელდა საქართველოშიც, რა დროსაც შეიქმნა მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ხელშეწყობის პროგრამები, უძრავი ქონების შეძენისა და საკუთრების უფლების რეგისტრაციის გამარტივება, სამეწარმეო საქმიანობის რეგისტრაცია და უფლების მოპოვება 1 დღის მანძილზე და ა.შ. (შულერი, 2014).

თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურასა და პრაქტიკაში შედარებით ახალი მიმართულებაა მწვანე ინვესტიცია, რომელმაც შემდგომში ეკონომიკის დარგთა შორის პოპულარობა მოიპოვა და სფეროების მიხედვით გადანაწილდა, მაგალითისათვის მწვანე ტურიზმი, მწვანე და ენერგოეფექტური მშენებლობა, მწვანე ტრანსპორტი და ა.შ. (სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ანგარიში, 2022).

რა არის მწვანე ინვესტიცია?

თანამედროვე ეპოქაში, გარემოსა და კლიმატური ცვლილებების ფონზე, აქტუალურია ისეთი საქმიანობის განხორციელება, რომელიც გარემოზე ნაკლებ ან შეზღუდულ მავნე ზემოქმედებას გულისხმობს. შესაბამისად, საქმიანობის პროცესში ეკოლოგიურად სუფთა მასალების გამოყენება მიუთითებს კომპანიის სოციალურ პასუხისმგებლობაზე. ეკოლოგიურად მდგრად და ნაკლებად დამაბინძურებელ ინვესტიციებად შესაძლებელია განვიხილოთ ინვესტიციები, რომლებიც ხორციელდება ენერგეტიკის (სუფთა და განახლებადი წყაროები) სფეროში, ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების შემცირება, მყარი ნარჩენების მენეჯმენტი და გადამუშავება, სუფთა ტრანსპორტი.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ენერგოეფექტურ ინვესტიციად მაშინ ჩაითვლება საქმიანობა, თუ ის ენერგიის გამოყენებასა და სითბური აირების გამოყოფას 20%-ით ამცირებს (სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ანგარიში, 2022).

მსოფლიოში განვითარებული ტექნოლოგიური პროგრესი ხელმისაწვდომს ხდის ენერგოეფექტური და ეკოლოგიურად სუფთა მასალის გამოყენების შესაძლებლობას, მათ შორის: ჰაერის გამწმენდი ფილტრი, მზის ენერგიაზე მომუშვე გამათბობელი, ჭკვიანი სისტემები და სხვ. მართალია, ეკოლოგიურად სუფთა და ენერგოეფექტური საქონლის გამოყენება ძვირადღირებულია, მაგრამ ინვესტიციის თავისებურების გათვალისწინებით გრძელვადიან პროცესთან მიმართებით, მისგან მიღებული შემოსავალი და დაზოგილი რესურსი პირველად ინვესტიციას ყოველთვის აჭარბებს, და ამასთან საერთო საკაცობრიო კეთილდღეობას უწყობს ხელს (Mobeen, 2020).

„მწვანე ინვესტიციების“ მიმართ მსოფლიოში გაზრდილი აქტუალურობის მიუხედავად, ხშირია შემთხვევები, როდესაც ინვესტორები არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას იმ სარგებელზე, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებს მოაქვთ. ინვესტორებისთვის მწვანე ტექნოლოგიის გამოყენება ნიშნავს წარმოებული პროდუქტისა თუ მომსახურების ხარისხის ამაღლებას, გაზრდილ წარმადობას, საქონლის და მომსახურების დივერსიფიცირებას, ამასთან მნიშვნელოვანი გარემოებაა საქონლისა და მომსახურების მიმართ მომხმარებელთა მხრიდან სანდოობის ხარისხის ამაღლება და დასაქმებულთა სამუშაო პირობების გაუმჯობესება, რაც თავის მხრივ მეტ კმაყოფილ მომხმარებელს ნიშნავს (სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ანგარიში, 2022).

ტურიზმის ინდუსტრიის გლობალური გაფართოებით, დაინტერესებული მხარეები მუდმივად აღიარებენ ტურიზმის მდგრადი განვითარების საჭიროებას. ამის მიუხედავად, ცოდნის, მოტივაციის და დარწმუნების არარსებობა ხშირად აფერხებს ტურიზმის მმართველებს, ვინაიდან პროცესი გრძელვადიან შედეგებთან არის დაკავშირებული. თუმცა მსოფლიო პრაქტიკა იცნობს წარმატებულ მაგალითებს, როდესაც სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია მწვანე ინვესტიციების ხელშეწყობისაკენ. საერთაშორისო ლიტერატურაში და სხვადასხვა წყაროებში, აქტიურად განიხილავენ ესტონეთის ტურისტული საბჭოს ტურიზმის პოლიტიკის წინსვლისა და მდგრადი განვითარების სტრატეგიების განხორციელების პროცესებს უმაღლეს დონეზე, რომლის მოტივაციის წყაროს სლოვენიის პრაქტიკა წარმოადგენდა (Tallinn City Tourist Office and Convention Bureau, 2023).

სახელმწიფო პროგრამა „ეწვიე ესტონეთს“-ის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ტურიზმის კონკურენტუნარიანობის მდგრადი ზრდის ხელშეწყობა იყო. ამასთან, გამოწვევას წარმოადგენდა სტრატეგიის შექმნა, რომელიც მდგრად ეკონომიკურ ზრდას უზრუნველყოფდა. ამის მისაღწევად, ესტონეთის ტურისტულმა საბჭომ გაანალიზა და დაადგინა ყველაზე თავსებადი ტურიზმის პროდუქტები და მომსახურება ქვეყნის კონკურენტული უპირატესობის გასაძლიერებლად. ესტონეთის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა და ადგილობრივი სამზარეულო აღიარებულ იქნა, როგორც ტურიზმის შეთავაზების ძირითადი აქტივები; მათი დაწინაურება და კონსერვაცია პრიორიტეტული იყო. ამ

გამოყენებითი სტრატეგიის კიდევ ერთი გადამწყვეტი კომპონენტი იყო მდგრადობის პროგრამის შექმნა, რომელიც ტურიზმის მენეჯერებს მიმართავდა მდგრადი მოგზაურობისკენ.

„მწვანე მიმართულებების ესტონური პროგრამა“ დაეხმარა დანიშნულების ადგილს მდგრადი პრაქტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში სასურველი შედეგების მისაღწევად. მიზანი იყო პირდაპირი - ადგილობრივი თემების მხარდაჭერა და პოზიტიური და ავთენტური გამოცდილების შექმნა ადგილობრივებისა და ტურისტების-თვის. აღნიშნული პროგრამის წახალისებით, ესტონეთის სიდიდით მეორე ქალაქმა განახორციელა კიდევ ერთი გავლენიანი სტრატეგია. ტარტუმ შეიმუშავა „ჭკვიანი ველოსიპედის წილის“ მომსახურება და შემოიღო მწვანე საზოგადოებრივი ტრანსპორტის გადასასვლელი კონცეფცია, მდგრადი ტრანსპორტირების გასახალისებლად. ამ პროგრა-მებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ქალაქის ხმაური და ჰაერის დაბინძურება. პროგრამის წარმატების შედეგი გახდა მისი აღიარება, ტარტუმ მოიგო მეორე პრიზი ITB Earth Award 2021 წელს გარემოსა და კლიმატის კატეგორიაში. თავის მხრივ აღნიშნული აღიარება ტურიზმის ინდუსტრიის გაძლიერებასა და მდგრად განვითარებას უწყობდა ხელს.

ტურიზმის ექსპერტების შეფასებით ესტონეთის წარმატების საკითხი ცხადყოფს, რომ ტურიზმის მდგრადი მენეჯმენტის მიღწევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მხარდაჭერა მიმართულია დაინტერესებული მხარეების კეთილდღეობისა-თვის. დაინტერესებულ მხარეებად მოიაზრებიან მასპინძლობის ინდუსტრიის კერძო, სახელმწიფო და საზოგადოებრივი გაერთიანებები (Tallinn City Tourist Office & Convention Bureau, 2023).

თანამედროვე მსოფლიოში, გლობალიზაციის პირობების გათვალისწინებით, მწვანე ინვესტიციები გადამწყვეტ როლს თამაშობს ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და ეკოსისტემის განვითარება-შენარჩუნების პროცესში. ეკოლოგიასა და სუფთა გარემოს აკისრია მნიშვნელოვანი როლი მოგზაურთა მიზნისა და გადაწყვეტილების ფორმირებაში. თუმცა, სახელმწიფოს აკისრია გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორი პოლიტიკისა და მდგრადობის ხელშეწყობის პოლიტიკის შემუშვება-განხორციელებაში (გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია, 2023).

მსოფლიოში არაერთი წარმატებული მაგალითია, რომელიც პრაქტიკის სახით შესაძლებე-ლია გამოყენებული იქნეს სხვა სახელმწიფოების მიერ. კოსტა რიკა წარმოადგენს ფაქტობრივად საპილოტე მაგალითს მდგრადი ტურიზმის შემუშავებაში. კოსტა რიკის მთავრობის მიერ შემუშავებული იქნა მკაცრი გარემოსდაცვითი საკანონმდებლო პაკეტი და პრიორიტეტი მიენიჭა ეკოლოგიურად სუფთა საცხოვრისების შექმნაში ინვესტიციებს. აღნიშნული პოლიტიკის ეფექტური განხორცილების შედეგად კი კოსტა რიკა იქცა ერთგვარ ჰაბად ეკოტურიზმისა და სუფთა გარემოში დასვენების მსურველთათვის. კოსტა რიკის მაგალითი ცხადჰყოფს იმ გარემოებას, რომ მწვანე ინვესტიციებს შეუძლია შექმნას შესაფერისი კომფორტული სივრცე ეკონომიკური ზრდისა და ეკოლოგიაზე ზრუნვის, რაც თავის მხრივ იძლევა შესაძლებლობას, გაზარდოს დანიშნულების ადგილის მიმზიდვე-ლობის ხარისხი.

კოსტა რიკის მსგავსად, მასპინძლობის სფეროში მსოფლიო განთავსების საშულებების ბრენდები ეტაპობრივად ცდილობენ გადავიდნენ ენერგოეფექტური და ეკოლოგიურად სუფთა რესურსების გამოყენებაზე. რაც თავის მხრივ ზრდის ინტერესს მათ მომხმარებელში, რომელიც გლობალური კლიმატური ცვლილებებიდან გამომდინარე ფოკუსირებულია ეკოლოგიურად სუფთა გარემოსა და ინფრასტრუქტურის გამოყენებაზე (გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია, 2023).

საქართველოში მწვანე ინვესტიციების ცალსახად გამოყენება ჯერ კიდევ არ არის პოპულარული, თუმცა სახელმწიფო პოლიტიკა ახალისებს მწვანე ტურიზმის განვითარებას, ვინაიდან გარემოს დაცვა და ტურიზმის მდგრადი განვითარება განუყოფელია. ტურიზმს, როგორც სფეროს, ახასიათებს და აქვს შესაძლებლობა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს არა მარტო გარემოს დაცვაში, არამედ მისი სუბსიდირების პროცესზე. ამასთან, ტურიზმმა არ უნდა მოახდინოს უარყოფითი გავლენა გარემოზე და სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ბუნებრივი და კულტურული რესურსების დაცვა და არარსებული პოტენციალის ჭარბი გამოყენება (მონეტარული პოლიტიკის ანგარიში, 2022).

აღსანიშნავია საქართველოში კერძო საფინანსო და საბანკო სექტორის მზაობა და სპეციალური საკრედიტო ხაზის გახსნა, რომელიც მომხმარებელს, დაინტერესების შემთხვევაში, შეღავათიან და დაბალ პროცენტიან სესხს სთავაზობს გარემოსდაცვითი და ეკომეგობრული პროექტების განსახორციელებლად. აღნიშნული საკრედიტო პაკეტი აქვს თითქმის ყველა მსხვილ ქართული კაპიტალის მქონე ბანკს საქართველოში. მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამის ფარგლებში კლიენტის დაფინანსება შესაძლებელია როგორც საკრედიტო ხაზის, საკრედიტო ხაზის შემადგენელი ხელშეკრულების, მოკლე-ვადიანი საკრედიტო ხელშეკრულების, მოკლევადიანი საკრედიტო შემადგენელი ხელშეკ-რულების, ბიზნეს ოვერდრაფტის, ბიზნეს ოვერდრაფტის შემადგენელი ხელშეკრულების, საკრედიტო და შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულების გაფორმებით (მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამა, 2023).

საქართველოში მწვანე ინვესტიციების და გარემოსდაცვით პროგრამებს ახორციელებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, რომლის 2016-2021 წ.წ. ანგარიშში ასახულია, რომ ბანკის მიერ აღნიშნულ წლებში 766 მილიონი ევროს პროგრამებია დაფინანსებული მდგრად ინფრასტრუქტურაში, მათ შორის 297 მილიონი ევრო მუნიციპალურ და გარემოსდაცვით ინფრასტრუქტურაში. მუნიციპალურ ჭრილში მნიშვნელოვან პროგრამას წარმოადგენს ქალაქ თბილისისა და ბათუმის მწვანე ქალაქების პროგრამის დაფინანსება, რომელიც თავის მხრივ მოიცავს როგორც საქალაქო ინფრა-სტრუქტურის, ისე სატრანსპორტო გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელებას (ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის ანგარიში, 2016-2021).

გარდა სახელმწიფო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების აქტიურობისა, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მწვანე ინვესტიციების განხორციელების თვალსაზრისით უნდა აღნიშნოს 2018 წლიდან მიმდინარე საერთაშორისო საინვესტიციო პროექტი აჭარის ავტონომიურ რესუბლიკაში მყარი ნარჩენების მართვის შესახებ, რომელიც მსოფლიო

ბანკის საგრანტო პროექტს წარმოადგენს და მისი მიზანია რეგიონში ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შენარჩუნების თვალსაზრისით თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების ნაგავსაყრელის მოწყობის, ნარჩენების გადამუშავების და უტილიზაციის პროცესის ხელშეწყობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ხელშეწყობის პროგრამა, რომლის მიზანია აჭარაში სახელმწიფოს თანამონაწილეობით, ისეთი პროექტების დაფინანსება, რომელთა მიზანს წარმოადგენს მდგრადი გარემოსა და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება (აჭარის ეკონომიკური ანალიზი, 2022).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა სამინისტროებისა და მათდამი დაქვემდება-რებული უწყებების მიერ, ასევე ხორციელდება მწვანე საქმიანობის წამახალისებელი პროგრამები, მათ შორის საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების მონაწილეობით. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ იაპონიის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროგრამა მზის გამათბობელი აკუმულატორების შეძენა-მონტაჟი აჭარის მაღალმთიანი სოფლებისთვის და მაჭახელას დაცულ ტერიტორიაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ინფორმაციით იაპონიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტი მიზნად ისახავს მაჭახელას ხეობის დაცულ ტერიტორიაზე კოლხური ტყის გლობალური უნიკალური ეკოსისტემის მოწყვლადობის შემცირებას და ტყის დეგრადაციის რისკის შემცირებას, რომელიც გამოწვეულია საწვავის - შეშის გადაჭარბებული ექსპლუატაციით.

კლიმატის ცვლილებისა და ადამიანის უსაფრთხოების გლობალური გამოწვევებით (ომი უკრაინაში, COVID-19) ენერგოდამზოგავი ტექნოლოგიების ხელშეწყობითა და დანერგვით, რომლებიც უზრუნველყოფენ ალტერნატიულ, კლიმატისთვის ხელსაყრელ საწვავს და ენერგიის წყაროებს ადგილობრივ საზოგადოებებში. შემცირებული ხარჯები და ენერგე-ტიკის გაზრდილი უსაფრთხოება ტყის დეგრადაციასა და ბუნებრივ კატაკლიზმებთან დაკავშირებული კლიმატის რისკების შემცირება გაზრდის ადამიანის უსაფრთხოების საშუალო მაჩვენებელს საპროექტო ტერიტორიაზე. მიზეზ-შედეგობრივი შეფასებით პროექტის განხორციელებამ ხელი შეუწყო ენერგიის ალტერნატიული წყაროების და საყოფაცხოვრებო ენერგოეფექტურობის მიდგომების დანერგვას და შეშაზე საერთო მოთხოვნის შემცირებას მაჭახელას ეროვნული პარკის მხარდაჭერის ზონაში, მდგრადო-ბის გაზრდის დროს მოსახლეობის მოწყვლად ჯგუფებში.

განხორციელებული პროგრამის შედეგად გაუმჯობესდა მაჭახელას ეროვნული პარკის მხარდამჭერი ზონის სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობა, რომლებიც იღებენ წვდომას სუფთა და ხელმისაწვდომ ენერგიაზე (აჭარის ა/რ-ის ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ანგარიში იაპონიის მთავრობის საგრანტო პროექტის შედეგების შესახებ, 2022).

მსოფლიო საინვესტიციო პორტფოლიო მზარდი და დინამიურად განვითარებადი სფეროა. გლობალური პანდემიის შემდგომ საინვესტიციო პროგრამებისა და პროექტების განხორციელება ისევ გრძელდება, თუმცა ჯერ კიდევ კლების დინამიკით. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მონაცემებით 2017-2021 წლებში 2232 პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა ტურიზმის კლასტერში და ჯამში 178,2 მილიარდ დოლარს

შეადგენდა, რის შედეგადაც დამატებით 381 000-ზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს მოგზაურთა მოძრაობები აღდგა ტურიზმის სფეროში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა შემცირდა 8% (OECD Global Forum On Tourism Statistics, Knowledge And Policies, 2021).

ქვეყნების მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამური მონაცემებით პირველ ადგილს დასავლეთ ევროპის ქვეყნები იკავებდნენ, 2021 წლის ტურიზმის კლასტერში გლობალური უცხოური ინვენსტიციების 3,2 მილიარდი დოლარის მოცულობის ინვესტიცია სწორედ ამ ქვეყნებზე მოდიოდა. შესაბამისად, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ინვესტიციების გავლენა ტურიზმის სექტორის მდგრად განვითარებაზე მნიშვნელოვანი და საყურადღებოა (დოლიკაშვილი & არაბული, 2021).

საქართველოში სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2023) მონაცემებით 2022 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2 097.9 მლ ლარს შეადგენს, რაც შეეხება სექტორების მიხედვით მათი გადანაწილება შემდეგ-ნაირადაა: 7,9% ხელოვნება, გართობა და დასვენების სექტორზე მოდის, 3,2% სასტუმ-როებსა და რესტორნებზე, 17,5% უძრავ ქონებაზე და ა.შ. ამ მონაცემების მიხედვით, ვინაიდან უძრავი ქონების დიდი ნაწილი გამოიყენება აჭარაში ტურისტული მიზნების-თვის, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამური ნაწილი მოდის ტურიზმის სექტორზე 28,6% (სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, 2023).

ინვესტიციების განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია, დაცული იქნეს ურბანული განაშენიანებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სტანდარტები. განსაკუთრებუ-ლი ყურადღება უნდა გამახვილდეს გეოლოგიური შეფასებებისა და ურბანისტების დასკვნებზე. 2023 წელს საქართველოში რაჭის რეგიონში კურორტ შოვში განვითარებული მეწყერული პროცესის შედეგად განადგურდა პრაქტიკულად კურორტის ნაწილი. ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული შედეგი ნაწილობრივ დაკავშირებულია კურორტის ურბანულ განვითარებასთან, რომლებიც გარკვეული ხარვეზით მიმდინარეობდა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მონაცემებით 2022 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა გადანაწილებულია შემდეგი მიმართულებების მიხედვით: ტრანსპორტი და დასაწყობება, ხელოვნება, გართობა და დასვენება, დამამუშავებელი მრეწველობა (აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის კვლევა საერთშორისო მოგზაურთა პროფილისა და დამოკიდებულების, 2015).

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შემოსულ საერთაშორისო მოგზაურთა დინამიკას თუ შევაფასებთ, რეგიონში ვიზიტების მაღალი დატვირთულობით გამოირჩევა ზაფხულის თვეები, რა დროსაც სასტუმროებისა და სხვა ტიპის განთავსების ობიექტების დატვირთუ-ლობა თითქმის 100% შეადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და რეგიონში ჩამოსული საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა

შენარჩუნებული იქნეს წელიწადის სხვა პერიოდშიც (აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის დებულება, 2022).

მსოფლიოში დამკვიდრებული სხვადასხვა სტრატეგიული პროექტები ტურისტული სეზონის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით მოიცავს ცალკეულ ღონისძიებებს, რომელთა მთავარ მიზანს ტურისტული სეზონის გახანგრძლივება წარმოადგენს, მათ შორის: კულტურულ/გასართობი ღონისძიებების დაგეგმვა, სპეციალური კვირეულებისა და სინთეზური ტურისტული პროდუქტების შეთავაზება წინასწარ შეფასებული სამიზნე ჯგუფებისა და ქვეყნებისათვის. საერთაშორისო ლიტერატურაში ამ ეტაპისათვის მწირია ინფორმაცია ტურიზმის სექტორის მხარდაჭერისათვის და მდგრადი განვითარებისათვის მწვანე ინვესტიციების წახალისების შესაძლებლობისა და გამოცდილების შესახებ. შესაბამისად, საჭიროა განხორციელდეს აღნიშნული საკითხის საფუძვლიანი შესწავლა და ახალი რეკომენდაციების შემუშავება (მსოფლიო მოგზაურთა და ტურიზმის საბჭო, 2023).

მეცნიერული სიახლე

საქართველოში ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული მწვანე ინვესტიციების იდენტიფიცირება და მათი განხორციელების შესაძლებლობის, ასევე სახელმწიფო პოლიტიკის თვალსაზრისით მსგავსი მასშტაბით და სიღრმისეულად კვლევა ჯერ არ განხორციელებულა. შესაბამისად, ნაშრომი საშუალებას იძლევა შეფასებული იქნეს ტურიზმის ინდუსტრიაში სახელმწიფო პოლიტიკა და მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიქმნას ახალი სახელმწიფო პოლიტიკის მოდელი მწვანე ინვესტიციების ხელშეწყობის, მწვანე ინვესტიციების განხორციელებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ტურისტული სეზონის გახანგრძლივებისა და გარემოზე მავნე გავლენის შემცირების უზრუნველსაყოფად.

ნაშრომში წარმოდგენილია რეკომენდაციები და სახელმწიფო პოლიტიკის ფორმები, რომლებიც დაეხმარება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ტურისტული სეზონის გახანგრძლივებას.

დასკვნა/რეკომენდაციები

წინამდებარე სტატიის ფარგლებში განხორციელებული ლიტერატურული მიმოხილვის შედეგად, დადგინდა, რომ თანამედროვე მსოფლიოში მწვანე ინვესტიციების სახელმწიფო ხელშეწყობის წახალისების გზით იქმნება დივერსიფიცირებული ტურისტული პროდუქტი და ხანგრძლივდება ტურისტული სეზონი. კვლევის შედეგებით დასტურდება, რომ მწვანე ინვესტიციების გამოყენების და მათი განხორციელების წახალისებით დინამიურად ვითარდება ტურიზმის ინდუსტრია და ამასთან, მნიშვნელოვნად მცირდება მასობრივი ტურიზმის გარემოზე უარყოფითი გავლენა.

კოვიდ 19-ით გამოწვეული გლობალური პანდემიის შემდგომ, მწვანე ინვესტიციების როლი ტურიზმის სექტორში მნიშვნელოვნად გაზრდილია, რაც დასტურდება გაერთიანე-

ბული ერების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის 2023 წლის სამოქმედო გეგმაში მთავარი გზავნილის შინაარსით.

სტატიაში შესწავლილია საქართველოში, მათ შორის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სახელმწიფო პოლიტიკა მწვანე ინვესტიციების შესახებ. კვლევის შედეგები ცხადჰყოფს იმ გარემოებას, რომ მწვანე ინვესტიციების წახალისებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკა-ში გაუმჯობესდება სეზონურობის გამოწვევა და ხელს შეუწყობს ტურისტული პროდუქტის დივერსიფიცირებას.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ტურიზმის მდგრადი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო პოლიტიკის გატარება მწვანე ინვესტიციების ხელშეწყობის პროგრამებით, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში ტურისტული პროდუქტის დივერსიფიცი-რებას და თანამედროვე, ენერგოეფექტური, მაღალტექნოლოგიური ტურისტული ინფრა-სტრუქტურის განვითარებით დადებითი გავლენა მოახდინოს ეკომეგობრული გარემოს შექმნაზე, ტურისტული სეზონის გახანგრძლივებაზე, მდგრად განვითარებაზე.

განხორციელებული კვლევის შედეგად, შემუშავდა რეკომენდაციები:

სახელმწიფო საინვესტიციო პაკეტების გამოყენება მწვანე ინვესტიციების პრიორიტეტად განსაზღვრით - ამ შემთხვევაში შესაძლებელია რეგიონის საინვესტიციო პაკეტებში, მათ შორის მშენებლობის შემთხვევაში, სახელმწიფოს მხრიდან შეღავათების დაწესება იმ ინვესტიციების ფარგლებში, რომლებიც ენერგოეფექტური მშენებლობის, ბუნებრივი რესურსების მცირე გამოყენების და მავნე გავლენას შემცირებას ემსახურება. მაგალითისა-თვის: ქონების გადასახადის შემცირება/გაუქმება რამდენიმე წლით.

რეგიონში, მთიანი აჭარის შემთხვევაში, საინვესტიციო პაკეტების და პროექტების შემუშავების დროს ინფრასტრუქტურის მშენებლობის შემთხვევაში ენერგოეფექტური და ეკო ენერგიის წყაროების შექმნის ვალდებულების გათვალისწინება.

მთიან აჭარაში ეკომეგობრული სოფლების წახალისება - ადგილობრივი რესურსის გამოყენება, მეცხოველეობის, მეფრინველეობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ადგილზე მოყვანისა და რეალიზაციის მაღალი სტანდარტების დაწესება. მსგავსი პროექტი საშუალებას მისცემს ერთი მხრივ განსხვავებული, კონკურენტუნარიანი ტურისტული პროდუქტის ფორმირებას შეუწყოს ხელი, ხოლო მეორე მხრივ ადგილობრივი ეკოსისტემის შენარჩუნებას, ბუნებრივი რესურსების ნაკლებ გამოყენებასა და ავთენტური გარემოს შენარჩუნებას.

საინვესტიციო პროგრამების წახალისება - იმ მცირე მეწარმეებისა და სტარტაპ პროექტების წახალისება, რომელიც მოიცავს მწვანე ინვესტიციის განხორციელების შინაარს. რეგიონალურ ჭრილში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას ეკომეგობრული რესურსებით: ტურისტული ბილიკების, (საკემპინგე) და მოსასვენებელი ადგილების ინფრასტრუქტურული პროექტების წარმოებისას ბუნებრივი მასალების გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა

აბესაძე, მ. (2002). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პირობები. *საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ბიულეტენი.*

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ანგარიში იაპონიის მთავრობის საგრანტო პროექტის შედეგების შესახებ. ბათუმი 2022 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის კვლევა საერთშორისო მოგზაურთა პროფილისა და დამოკიდებულების. ბათუმი 2015 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის დებულება. 2022 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო. აჭარის ეკონომიკური ანალიზი 2022. ბათუმი 2022 წ.

გაერთიანებული ერების მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია. მწვანე ტურიზმი 2023.

დოლიკაშვილი, ლ., არაბული, კ. (2021). *ტურიზმის საფუძვლები* (გვ. 646). საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი. https://www.seu.edu.ge/uploads/files/VSS/გამოცემები/ტურიზმის%20საფუძვლები%20ნაწილი%20I.pdf
https://www.scribd.com/document/680908102/ტურიზმის-საფუძვლები-II-ნაწილი

ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის ანგარიში 2016-2021 წელი. file://C:/Users/Admin/Downloads/georgia-snapshot%20(1).pdf

მიმინოშვილი, თ. (2012). ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის თანამედროვე ფორმები. *საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: გლობალიზაცია საერთაშორისო ბიზნესის თანამედროვე პრობლემები და ტენდენციები (გვ. 278-282).* https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/Konferenciis_Masalebi_Gascorebuli.pdf

მონეტარული პოლიტიკის ანგარიში 2022. საქართველოს ეროვნული ბანკი. https://nbg.gov.ge/publications/monetary-policy-reports

მსოფლიო მოგზაურთა და ტურიზმის საბჭო (2023). https://wttc.org/

საქართველოს პროკრედიტ ბანკი. *მწვანე ეკონომიკის დაფინანსების პროგრამა.* Retrieved December 20, 2023, https://www.procreditbank.ge/ge/მწვანე-ეკონომიკის-დაფინანსების-პროგრამა?mid=1517

საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025 (გვ. 22). საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. https://gnta.ge/wp-content/uploads/2015/01/საქართველოს-ტურიზმის-სტრატეგია.pdf

სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ანგარიში. (2022). https://www.geostat.ge/

სსიპ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. (2023). Retrieved December 20, 2023, https://gnta.ge/

ქვეყნის სტრატეგიული მონაცემები და მიმართულებები 2019-2022. (2022). საქართველოს მთავრობის ანგარიში. https://www.mof.ge/5177

შულერი, ს. (2014). *მწვანე ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში.* გერმანიის ფედერაციის თანამშრომლობის ფონდი. თბილისი. https://ideas.repec.org/h/spr/sprchp/978-3-030-48652-5_101.htm

Charles, R. Goeldner, J. R. Brent Ritchie (2002). *TOURISM: Principles, Practices, Philosophies 9th Edition* (pp. 329).

Mobeen Ali Khan (2020). *Tourism revival strategy: gaps and policy actions* (p. 6). Development Policy Institute. https://www.jstor.org/stable/resrep29099

Picco-Schwendener, A., Kalbaska, N., Hasenzahl, L. & Cantoni, L. (2022). *e-Government and Tourism*, Handbook of e-Tourism, chapter 67, (p. 1629-1644). Springer.

Reshaping tourism for a more resilient and sustainable tomorrow (2021). OECD Global Forum On Tourism Statistics, Knowledge And Policies. https://www.oecd.org/cfe/tourism/Issues%20Paper-Global-Forum-on-Tourism-Statistics-Knowledge-and-Policies-311021_FINAL.pdf

Tallinn City Tourist Office & Convention Bureau (2023, August 14). *Tallinn Tourism Department's sustainable principles.* Retrieved December 20, 2023, https://www.visittallinn.ee/eng/professional/practical-info/sustainable-tourism/our-sustainable-principles

Green investments: a modern tool for sustainable development of tourism (on the example of the Autonomous Republic of Adjara)

Sophio Lazishvili[1]*
Maka Firanashvili[2]
[1, 2]Grigol Robakidze University, Georgia

***Corresponding author:** s.lazishvili@gmail.com

Abstract: The article discusses the impact of green investments on the sustainable development of tourism in the Autonomous Republic of Adjara and the creation of an eco-friendly, diverse tourist product. Data from various sources were studied and analyzed using the method of qualitative literature review, on the basis of which it was determined that the approach of making green investments in the world is becoming more and more relevant and responds to the challenges facing humanity globally - the creation of an eco-friendly environment, especially where people go for recreation and health. The article explains the global practice of green investments and their use, the findings reflected in the international scientific literature. Within the framework of the article, qualitative research was carried out using international literature, world practice, the Ministry of Finance and Economy of the Autonomous Republic of Adjara, A study of the activities, strategic plans and investment policies of the Department of Tourism and Resorts of Adjara, NNLE Tourism Products Development Agency on the positive impact of green investments. By evaluating the statistical data and using the comparative-analytical method, it was determined that there is a scarcity of green investments in the Autonomous Republic of Adjara, from the point of view of the tourist product, services are mainly provided using natural resources. By generalizing the results of the research, recommendations are created that will help the Autonomous Republic of Adjara to create a variety of tourist products and reduce the impact on the environment in the wake of mass tourism. In addition, this will allow the region to establish the status of a 4-season tourist destination in international target countries. The possibility of implementing the presented recommendations requires additional research, both of the environmental study and of the domestic tax policy. The article will be interesting for specialists who work in the field of state policy research and implementation of innovative governance systems and mechanisms, as well as for students.

Key words: Green investment, Sustainable tourism, Eco-friendly, Care for the environment, Tourism product, Investment

ქართველი მოგზაურების მიერ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ტურისტული პროდუქტის შეძენისას

მაია მელაძე[1]*
ანა გვარამაძე[2]
ლიზი ძიმისტარიშვილი[3]
[1, 2, 3]გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი, საქართველო

***პასუხისმგებელი ავტორი:** m.meladze@gruni.edu.ge

რეზიუმე: ნაშრომი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის შიდა საგრანტო პროექტების კონკურსში გამარჯვებული პროექტის „საქართველოს ტურიზმის სექტორში ციფრული პროდუქტების გამოყენების კვლევა“ განუყოფელი ნაწილია. ციფრულმა ტექნოლოგიებმა დიდი ცვლილებები გამოიწვია ბიზნესის არაერთ სფეროში. დღევანდელ დღეს ტურისტული ბიზნესები უმეტესად ეყრდნობიან ციფრულ პროცესებს, რათა იყვნენ ეფექტური და კონკურენტუნარიანი. COVID-19 პანდემიამ დააჩქარა ციფრული ბიზნეს პრაქტიკის საჭიროება, რადგან მოგზაურები ითხოვენ ციფრულ კომუნიკაციებს, ონლაინ გაყიდვებს და უკონტაქტო გადაწყვეტილებებს. კოვიდ პანდემიიდან მიღებული გამოცდილება დაეხმარა ტურისტულ ბიზნესს მეტი დიგიტალიზაცია/ მოქნილობა შეეძინათ ტურისტული პროდუქტისთვის. ნაშრომის მიზანი იყო თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევით გამოეკვეთა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელობა ბიზნესის მართვისა და ზრდისთვის. შესაბამისად, გამოეაშკარავებინა მომხმარებელთა მოთხოვნა ციფრულ სერვისებზე ტურისტულ სექტორში კოვიდ პანდემიის შემდგომ პერიოდში.

საკვანძო სიტყვები: ციფრული ტექნოლოგიები, ტურისტული პროდუქტი, მოგზაურობის დაგეგმვა

შესავალი

დღევანდელ სამყაროში ყველასათვის ცნობილია ტექნოლოგიური გავლენის მნიშვნელობა ნებისმიერი ბიზნესის ოპერირებისთვის (Zivzivadze et. al., 2021; Chochia et. Al., 2020) განსაკუთრებით კი ტურისტული ორგანიზაციებისა და მასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობისთვის. ტურისტული პლატფორმები დღითი დღე ფართოვდება ინტერნეტ სივრცეში და მოგზაურებიც უამრავ საჭირო ინფორმაციას ტურისტულ პროდუქტთან და მოგზაურობის მახასიათებლებთან დაკავშირებით სხვადასხვა ინტერნეტ რესურსიდან იღებენ. სოციალური მედია მოიცავს სხვადასხვა სოციალურ ქსელს, მომხმარებელთა მიმოხილვასა და შეფასებებს, ინტერნეტ ფორუმებს და ა.შ. ნაშრომის ძირითადი მიზანია მომხმარებელთა ქცევის გამოკვლევა სამოგზაუროდ სოციალურ მედიის გამოყენებასთან მიმართებაში და ადრე ჩატარებულ კვლევასთან შედარება. ამასთან, გვსურდა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ზრდაზე პანდემიის გავლენის გამოაშკარავება. მობილურსა და ინტერნეტზე დაფუძნებული ტექნოლოგიები უბიძგებს საზოგადოებებს გამოიყენონ სოციალური მედია უამრავი ვებსაიტებითა და ონლაინ აპლიკაციებით ტურისტული პროდუქტის შესაძენად. სტატიის ამოცანაა მოგზაურობასთან დაკავშირებული

ინფორმაციის მოძიებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში სოციალური მედიის როლის გამოკვეთა. ციფრული ტექნოლოგიები და სოციალური მედია უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია ტურიზმის ბიზნესის პოპულარიზაციის კუთხით (Gamsakhurdia et. Al., 2017; Gamsakhurdia, Fetelava, 2023) აგრეთვე, ინტერნეტ მომხმარებელს შესაძლებლობას უქმნის მარტივად და სწრაფად მიიღოს ინფორმაცია მცირედი დანახარჯებით. სოციალური მედია მოგზაურებს ეხმარება, ფოტო და ვიდეო მტკიცებულებით ტურისტული პროდუქტის ავთენტურობა შეაფასონ და მეტად დარწმუნებულები იყვნენ გადაწყვეტილების მიღებაში. მეორე მხრივ, ძლიერი და ეფექტური ონლაინ პლატფორმები ინფორმაციის სწრაფი გავრცელებისთვის უალტერნატივო გზაა. ის მომხმარებელთა უდიდესი ბაზის შექმნის და ტურისტების ქცევის ანალიზის საშუალებას იძლევა. შესაბამისად იქმნება უნიკალური ღირებულების შეთავაზებები, რომელიც მოგზაურთა გამოცდილებას ემყარება.

ლიტერატურის მიმოხილვა

ინდუსტრიულმა რევოლუციამ, რომელიც 1800-იან წლებში დაიწყო, ყველაზე მასიური და გლობალური ცვლილებები მოიტანა. ტექნოლოგიური რევოლუცია კი ამ ყველაფრის ნაწილია, რომელიც დღესაც არ წყვეტს განვითარებას. ციფრული ტექნოლოგიების მიღწევები ქმნის ინდუსტრიის ახალ პარადიგმას, გამოირჩევა სწრაფი ცვლილებებით, როგორებიცაა მოთხოვნის ინდივიდუალიზაცია, მყიდველების გაზრდილი უნარი გავლენა იქონიონ ბაზარზე, მეტი მოქნილობა პროდუქტისა და მომსახურების შექმნისას, რესურსების ეფექტური მართვა, მდგრადი მიდგომები და გადაწყვეტილების მიღების სწრაფი პროცესები. ყოველივე აღნიშნული კი ეხმარება საწარმოს გახდეს მეტად წარმატებული. ინოვაცია, შესაძლოა გავაიგივოთ უწყვეტი სწავლებისა და კვლევის პროცესთან, რომლის დახმარებითაც იწყება ბაზარზე ახალი იდეების წარმატებით შესწავლა. ეჭვგარეშეა, რომ ციფრული ტრანსფორმაცია გახდა ინოვაციების გასაღები, ამას ადასტურებს ისიც, რომ ათასობით ფირმა იყენებს მათ პროცესების სამართავად (Magtulis et al., 2023).

ტექნოლოგიურმა წინსვლამ დიდი შესაძლებლობები მოიტანა ტურიზმის ინდუსტრიაშიც. ახალი ტექნოლოგიური მიღწევების მეშვეობით ინფორმაციაზე უფრო მარტივი წვდომის შესაძლებლობას აქვს პოტენციალი რადიკალურად შეცვალოს ტურიზმის ინდუსტრია. ტურისტული აპლიკაციები, გადმოწერების რაოდენობით მეშვიდე ადგილზეა. მომხმარებელთა 30% იყენებს მობილურ აპლიკაციას სასტუმროს დასაჯავშნად/ საყიდლად, ხოლო 40% - თვითმფრინავის ბილეთების დასაჯავშნად/საყიდლად. აღნიშნული ციფრები ყოველწლიურად იზრდება (Travelable, 2023). ინტერნეტ რეკლამამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ტურისტული კომპანიების მართვის, პოპულარიზაციისა და გაყიდვების პროცესებზე. ასევე ვიზიტორების აღქმაზე, რომლებიც გეგმავენ მოგზაურობებს ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით (Gvaramadze, 2022). აღსანიშნავია ვირტუალური რეალობის როლიც ტურიზმის ინდუსტრიაში, მათი დახმარებით სურვილი მოგზაურობისა და ახალი ქვეყნების შესწავლისა სულ უფრო და უფრო იზრდება.

ვირტუალური რეალობა განსაკუთრებით პოპულარული კოვიდ პანდემიის დროს გახდა. მაგალითად, ლეონარდო და ვინჩის გარდაცვალებიდან 500 წლის აღსანიშნავად ლუვრის მუზეუმმა ვირტუალური რეალობის ტურები გამოიყენა. ასევე ისეთი აპლიკაციები, როგორებიცაა WalkinVR და Rendever უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ხელმისაწვდომ მოგზაურობას, რაც მათ საშუალებას აძლევს შეისწავლონ სამყარო ბარიერების გარეშე. საყურადღებოა ისიც, რომ საკრუიზო ხაზებმა Royal Caribbean-მა და Carnival-მა დაიწყეს ვირტუალური ტურების ჩართვა თავიანთი სტუმრებისთვის საბორტო გამოცდილების გასაუმჯობესებლად. ნათელია ვირტუალური რეალობის გავლენა თანამედროვე მარკეტინგის სფეროში.

ვირტუალური რეალობა ეხმარება ტურისტებს გააუმჯობესონ თავიანთი აღქმა ჰედონისტური და ემოციური გამოცდილებების დახმარებით, რადგან მას შეუძლია ერთმანეთთან დააკავშიროს გამოცდილება, გადაწყვეტილების მიღების პროცესები და მოტივაცია. ვირტუალური რეალობის დახმარებით შესაძლებელი გახდება ტურისტების-თვის სასურველი დანიშნულების ადგილის წინასწარ განსაზღვრა. Covid 19-მა სრულიად შეცვალა ინდუსტრიის მიმართულებები, ბევრმა კომპანიამ განიცადა ზარალი ან სრულიად დაკარგა შემოსავლები. დაიწყო ფიქრი ახალ იდეებზე, პრობლემის გადაჭრის გზებზე და იმაზე თუ როგორაა შესაძლებელი ტურისტის უსაფრთხოების უზრუნველ-ყოფა და მათი მოტივაციის ამაღლება. სწორედ ამიტომ ციფრული ინოვაციები გახდა ტურიზმისთვის მნიშვნელოვანი ელემენტი (Archi, Benbba, 2023).

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ხაზი გავუსვათ მდგრადი ტურიზმის განვითარების პროცესს. ვირტუალური რეალობა იცავს ბუნებას დაბინძურებისა და დაზიანებისგან, ადამიანებისგან, რომლებმაც შესაძლოა ავნონ კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლებსა და ეროვნულ საგანძურს (Iscontour, 2023). მაგალითად National Geogrphic-ის VR აპლიკაცია მომხმარებლებს სთავაზობს საფარის ვირტუალურ ტურებს, რაც მათ საშუალებას აძლევს დააკვირდნენ ველურ ბუნებას (Capsule sight, 2023). ეს გამოცდილება ხელს უწყობს ბუნების შეცნობას ისე, რომ არ დაზიანდეს ეკოსისტემა. ტურიზმის ინდუსტრია ყოველ დღე უფრო და უფრო კონკურენტუნარიანი ხდება, რის გამოც, ტურისტული კომპანიები ცდილობენ შექმნან და განავითარონ საკუთარი „ციფრული ეკოსისტემა“.

ტურისტების მომსახურების დროს დიდ მნიშვნელობა ენიჭება აეროპორტებში სასაზღვრო კონტროლს. ციფრული ტექნოლოგიების განვითარება კი ამ პროცესებს აადვილებს. მაგალითად, დღესდღეობით ბევრ აეროპორტში იყენებენ 3D სახისა და თითის ანაბეჭდების სკანერებს. უახლოეს წლებში განვითარებადი ტექნოლოგიები ფუნდამენტუ-რად შეცვლის საზღვრის მენეჯმენტს და შექმნის უზარმაზარ შესაძლებლობას ინდუსტრიის ტრანსფორმაციისთვის (Iscontour, 2023).

საქართველოში თუ გადავხედავთ ტურისტული სექტორის ბიზნეს სუბიექტების მიერ განხორციელებულ მარკეტინგულ ღონისძიებებს, დავინახავთ მნიშვნელოვან პრობლემას, რომ ისინი სრულად არ იყენებენ იმ შესაძლებლობებს რაც ციფრულ სამყაროს გააჩნია. იმ პირობებში, როდესაც ათობით სოციალური ქსელი, სხვადასხვა ვებ-პლატფორმა, ვიდეო პორტალები, Live ვიდეო ჩართვები, საძიებო სისტემები და სხვა მრავალი ციფრული

ტექნოლოგია არსებობს, საყურადღებოა, ის რომ ქართული ტურისტული კომპანიების გარკვეული ნაწილის მიერ რეკლამირება, ძირითადად ხორციელდება ერთი კონკრეტული ციფრული პლატფორმის მეშვეობით და არა კომპლექსურად, ციფრული სამყაროს სხვადასხვა პლატფორმების ერთობლიობით. ისინი, ძირითადად მისდევენ სოციალურ ქსელს „Facebook"-ს და იქაც იკვეთება ისეთი ხარვეზები, როგორიცაა: - არასწორად შერჩეული მიზნობრივი აუდიტორია, რომელზეც უნდა ხდებოდეს მარკეტინგული სტრატეგიების გათვლა (თევდორაძე, ჭანტურია, 2022).

ქართველი მკვლევრების მიხედვით: „ქართული ტურისტული კომპანიები, სოციალურ მედიას ძირითადად საიმიჯოდ და ცნობადობის გაზრდის მიზნით იყენებენ. ასევე, კომპანიისთვის სოციალურ მედიაში მუშაობის ძირითადი მიზანი მეტი შემოსავლის მიღებაა. თუმცა, კომპანიის გვერდის შინაარსის მთავარი ნაწილი არ უნდა იყოს ისეთი პოსტები, რომლებიც მუდმივად მოუწოდებენ მომხმარებელს პროდუქციის შესაძენად. სოციალურ მედიაში მომხმარებელი თავად იღებს გადაწყვეტილებას, ამიტომ მცირე ზეწოლაც კი დიდი ნეგატივით აღიქმება" (Meladze & Olkishvili, 2018). „ქართული კომპანიებისა და მომხმარებლების მიერ სოციალური მედიის აქტიური გამოყენების მიუხედავად, სოციალური მედიის გავლენა ტურისტულ ბიზნესზე არც ისე ძლიერია. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ტურისტული კომპანიების კომუნიკაციის ნაკლებობა და ასევე პროფესიონალების ნაკლებობა" (Meladze & Piranashvili, 2019).

კვლევის მეთოდოლოგია

მსოფლიოში არაერთი ტურისტი მიმართავს დღეს ონლაინ საშუალებებს მოგზაურობის დაგეგმვისთვის და მოგზაურობასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციის მიღებისთვის. ქართველი მოგზაურებიც გაერთიანებული არიან სოციალური მედიის, კერძოდ კი, ფეისბუქ პლატფორმის ყველაზე პოპულარულ ჯგუფში: „მოგზაურთა კლუბი", რომელიც დღეს (2023 წლის სექტემბერს) უკვე 294,000 მომხმარებელს აერთიანებს. ჯგუფი იძლევა საშუალებას მოგზაურებმა ერთმანეთს პირადი გამოცდილება გაუზიარონ და მოგზაურობა უფრო პრაქტიკული და შთამბეჭდავი გახადონ.

ნაშრომში გამოყენებულია პოპულაციაზე დაფუძნებული კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომა (Population-based/Census-based). კვლევის რაოდენობრივი მეთოდი საშუალებას იძლევა გაირკვეს ქართველი ტურისტები რა გზებით მოიძიებენ ინფორმაციას მოგზაურობის დაგეგმვისას და ასევე, შეუძენიათ თუ არა რაიმე ტურისტული პროდუქტი სოციალური მედიის პლატფორმების გამოყენებით. ონლაინ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 18 წელზე მეტი ასაკის ხუთასმა ადამიანმა.

2021 წელს ნაშრომის ერთ-ერთმა თანაავტორმა ა. გვარამაძემ (გვარამაძე, 2021), ჩაატარა მცირე მასშტაბის ონლაინ კვლევა. იმ დროისათვის აღნიშნულ ჯგუფში, 170,000-მდე მომხმარებელი იყო. წინამდებარე კვლევის დროს გამოყენებული იქნა 2021 წელს ჩატარებული კვლევის კითხვები, რაც შედარებადი მონაცემების მოპოვების შესაძლებლობაა.

კვლევის მიზანი იყო მოგზაურთა კლუბის იმავე პლატფორმაზე ტურისტული პროდუქტის მომხმარებელთა ახალი კვლევის ჩატარება და მიღებული შედეგების შედარება 2021 წლის კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებთან. ამისათვის გამოვიყენეთ ისევ რაოდენობრივი კვლევის მეთოდი ანკეტური გამოკითხვის საშუალებით.

კვლევის შედეგები

გამოკითხვის შედეგებით გამოვლინდა, რომ 2021 წელს 20.8 პროცენტი იყენებდა სოციალურ მედიას მოგზაურობის ინსპირაციისთვის ან იდეებისთვის, ხოლო 2023 წელს - 38.8%. ქართველი ტურისტების ნდობა ბლოგერების მიმართ 8.2% იყო. რაც შეეხება ზოგადი საძიებო სისტემის გამოყენებას, ამაზე არჩევანს ქართველი ტურისტების უმრავლესობა აკეთებდა (48.6%). (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. **მოგზაურთა კლუბის წევრების მიერ მობილური ტელეფონის გამოყენება დასვენების დასაგეგმად**



კითხვაზე თუ როგორ იყენებენ მობილურს სამოგზაუროდ 2023 წელს გამოკითხულთა უმრავლესობა ემხრობა სოციალური მედიის ვებგვერდების გამოყენებას 38.8%-ით და ყველაზე ნაკლებად ბლოგერებს 4.5%-ით. დეტალური შედარება ნაჩვენებია სქემაზე 1.

სქემა 1. **მოგზაურთა კლუბის წევრების მიერ მობილური ტელეფონის გამოყენება დასვენების დასაგეგმად 2021 და 2023 წლებში**

	2021	2023
საძიებო სისტემის გამოყენება ზოგადი ვებ-გვერდებისთვის	48.6%	30.9%
სოციალური მედიის ვებ-გვერდები	20.8%	38.8%
ონლაინ ტურისტული სააგენტოების ვებ-გვერდები	8.2%	7.9%
Airbnb.com	3.2%	7.3%
მეგობრების რეკომენდაცია	11%	10.7%
ბლოგერები	8.2%	4.5%

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კვლევა არ იყო მასშტაბური, მოგვცა ზოგადი წარმოდგენა როგორც სოციალური მედიის მნიშვნელობაზე ქართველი ტურისტებისთვის, ამავდროულად კომპანიებისთვის თვალსაჩინო გახადა, რატომ უნდა მიაქციონ ყურადღება სოციალური მედიის პლატფორმებს.

რაც შეეხება კითხვაზე პასუხს, გამოუყენებიათ თუ არა სოციალური მედიის რომელიმე პლატფორმა ტურისტული პროდუქტის შესაძენად კითხვას 2021 წელს დაეთანხმა 47.4%, ხოლო 2023 წელს 70%, რაც ნაჩვენებია დიაგრამაზე 2.

დიაგრამა 2. **სოციალური მედია პლატფორმის გამოყენება ტურისტული პროდუქტის შესაძენად მოგზაურთა კლუბის წევრების მიერ**

2021



2023



ამავდროულად, საინტერესოა პანდემიის შემდეგ იმატა თუ არა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებამ ტურისტული პროდუქტების შესაძენად. როგორც მოსალოდნელი იყო კითხვას დაეთანხმა 68.5%, რაც ნაჩვენებია დიაგრამაზე 3.

დიაგრამა 3. **პანდემიის შემდეგ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება ტურისტული პროდუქტის შეძენისას**



ციფრული ტექნოლოგიების როლის ზრდა თვალსაჩინო გახდა ქართულ ბაზარზეც. რაც შეეხება საერთაშორისო ტურიზმს, 2019 წელს საქართველოში განხორციელებული უცხოური ვიზიტების 22.6%-თვის საქართველოს შესახებ ინფორმაციის წყაროს ინტერნეტი წარმოადგენდა, ხოლო 2022 წელს ეს მაჩვენებელი 25.5%-მდე გაიზარდა [2]. თვალსაჩინოა, რომ ინტერნეტ საშუალებები ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი მთავარი გზაა. ტურიზმისა და მასპინძლობის სექტორის წარმომადგენლები აქტიურად იყენებენ თანამედროვე დაჯავშნის აპლიკაციებს. ისეთი მობილური აპლიკაციები როგორებიცაა Audio Guide Georgia, TravelGis, Expago, Biliki მოქნილი სერვისებისა და შესაძლებლობების წყალობით, ტურისტებისთვის საქართველოში მოგზაურობას კიდევ უფრო საინტერესოს, კომფორტულსა და დაუვიწყარს ხდის (ქუშაშვილი, 2019). მაგალითად Audio Guide Georgia-ს აპლიკაცია, აუდიოგიდის ფუნქციას ასრულებს და ტურისტებს ღირსშესანიშნაობების დათვალიერების დროს ფიზიკური გიდის სამსახურს უწევს. ტურისტებს იგი არა მარტო დეტალურად აცნობს სხვადასხვა ისტორიასა და ადგილს, არამედ სრულიად სხვა კუთხით აღმოჩენაში ეხმარება.

ქართველ მოგზაურებში პოპულარობით სარგებლობს შემდეგი საერთაშორისო მნიშვნელობის აპლიკაციები: TripAdvisor, Airbnb, Google Maps, HostelWorld, Uber და სხვ.

დასკვნა

ციფრულმა ტექნოლოგიებმა რადიკალურად შეცვალა ტურიზმის კულტურა და ტურისტული ორგანიზაციებიც კონცენტრირდნენ სოციალური მედიის, ონლაინ ქსელური პლატფორმების, მობილური აპლიკაციების გამოყენებაზე. 2020 წელს კოვიდ 19 პანდემიის გავრცელებამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობა ინფორმაციის უსწრაფესად გასავრცელებლად და დაამტკიცა რომ დღევანდელ სამყაროში

სოციალური მედია არა მხოლოდ კომუნიკაციის, არამედ ინფორმაციის დისტრიბუციის დამოუკიდებელ გზას წარმოადგენს (Papava & Charaia, 2021; 2022). სოციალური მედია ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი გახდა, როგორც დაბალფასიანი გზა ინფორმაციის მოპოვების, მომხმარებელთან კომუნიკაციის და ურთიერთობის დამყარების დროული, საინტერესო და ინტერაქტიური საშუალება. სოციალური მედიისა და მობილური აპლიკაციების გავლენა ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებს არჩევანს აღარ უტოვებს ტურისტული პროდუქტების შექმნისას, რადგან ის ციფრული მარკეტინგის ეფექტური ხელსაწყოცაა. დღევანდელი მოგზაურები ონლაინ პლატფორმებს მოგზაურობის ყველა ეტაპზე იყენებენ, როგორც ყველაზე მოსახერხებელ საშუალებას როგორც დროის თვალსაზრისით, ასევე ფინანსურად. შესაბამისად, თანამედროვე ავიაკომპანიები, ტურისტული სააგენტოები, ტუროპერატორები, მასპინძლობის ბიზნესის წარმომადგენლები მობილურ აპლიკაციებს დღითი დღე ავითარებენ და ადაპტირდებიან მომხმარებელთა მოთხოვნილებებზე და მოლოდინებზე.

თანამედროვე სამყაროს ფუნქციონირება ციფრული ტექნოლოგიების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია (Lashkhi, 2022; Lashkhi et al., 2022; Charaia et. al., 2021; Charaia, Lashkhi, 2022). მომხმარებელთა ცხოვრების წესზე და ქცევებზე უდიდეს გავლენას ახდენს სოციალური მედიის ქსელები და მობილური ხელსაწყოები. ამიტომაც ტურიზმის სფეროთი დაინტერესებულმა ნებისმიერმა მხარემ უნდა გამოიყენოს ის შესაძლებლობები რაც ტექნოლოგიურმა განვითარებამ მოიტანა თავისი უნიკალური მახასიათებლებითა და დინამიკით.

გასათვალისწინებელია ის უდიდესი ინფორმაცია, რაც სოციალური მედიის საშუალებით შეიძლება მიიღოს როგორც ტურისტული პროდუქტის მომწოდებელმა, აგრეთვე მომხმარებელმა. ციფრული ტექნოლოგიების, სოციალური მედიისა თუ მობილური აპლიკაციების დადებითი მხარეები მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ტურისტულმა ბიზნესებმა, რადგან მათ გარეშე გლობალური ეკონომიკა წარმოუდგენელია და კვლევაშიც გამოჩნდა როგორ არის გაზრდილი სოციალური მედიის გავლენა ბოლო წლებში. აგრეთვე, როგორც კვლევებიდან გამოაშკარავდა სოციალური მედია პლატფორმები და მობილური აპლიკაციები გამოიყენება ტურისტების მხრიდან მოგზაურობის ყველა ეტაპზე, რაც განაპირობებს ტურიზმის სექტორში ახალ გამოწვევებს და ზრდის კონკურენციას.

მაშასადამე, ნათელია ციფრული ტექნოლოგიების გადამწყვეტი როლი თანამედროვე ტურიზმის ინდუსტრიაში, მათ შორის საქართველოს ბაზარზე, რისთვისაც მნიშნელოვანი ინვესტიციებია საჭირო (Sikharulidze & Charaia, 2018; Lashkhi & Charaia, 2017; Kvirkvaia et. Al., 2021). თავისუფალი დროის, დახარჯული ენერგიების აღდგენის სურვილისა და შემოსავლების ზრდასთან ერთად იზრდება მოგზაურთა რიცხვიც, რაც განაპირობებს მეტ მოთხოვნას ტურისტულ პროდუქტზე, ამის გადაჭრის კარგი მაგალითი კი სწორედ ელექტრონული აპლიკაციები და ციფრული მოწყობილობებია, რომლებიც ზოგავენ დროსა და მოგზაურობას მეტად მარტივს ხდიან. ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად კი მატულობს მათი მოხმარების სიხშირე და მასშტაბები.

გამოყენებული ლიტერატურა

გვარამაძე, ა. (2021). ციფრული ტექნოლოგიების გავლენა მომხმარებელზე ტურისტული პროდუქტის შეძენისას. *საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: „XXI საუკუნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევები“* მასალების კრებული.

თევდორაძე, ს., ჭანტურია, ნ. (2022). ციფრული გამოწვევები ტურისტულ ინდუსტრიაში. *გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის შრომათა კრებული,* (12). 105-111.

კვლევები. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. https://gnta.ge/statistics/ (15.07.2023).

ქუშაშვილი, ს. (2019). ტურისტული აპლიკაციების 5 ქართული სტარტაპი. Entrepreneur საქართველო. https://www.entrepreneur.com/ka/teknologia/turistuli/338556 (15.07.2023).

15 Examples of the Use of Virtual Reality (VR) in Tourism. Capsule Sight. https://capsulesight.com/vrglasses/15-examples-of-the-use-of-virtual-reality-vr-in-tourism/

Anguridze, O., Charaia, V., & Doghonadze, I. (2015). *Security problems and modern challenges of the Georgian national currency*. Tbilisi State University.

Charaia, V., & Lashkhi, M. (2022). Innovative Fintech Technologies at Education Institutions. *Georgian Journal for European Studies.* 119. https://www.tsu.ge/assets/media/files/48/jurnalebi/N10-11%20-%20Georgian%20Journal%20for%20European%20Studies-2022.pdf#page=121

Charaia, V., Chochia, A., & Lashkhi, M. (2021). Promoting Fintech Financing for SME in S. caucasian and baltic states, during the COVID-19 Global Pandemic. *Business, Management and Economics Engineering*, *19*(2), 358-372.

Chochia, A., Lashkhi, M., & Charaia, V. (2020). The impact of fdi on Economic development: The Case of Georgia. *TalTech Journal of European Studies*, *10*(2), 96-116.

Digital Public Administration Factsheets. (2022). European Commision. https://joinup.ec.europa.eu/collection/nifo-national-interoperability-framework-observatory/digital-public-administration-factsheets-2022

Gamsakhurdia, T., & Fetelava, S. (2023). Financing of the Sustainable Tourism Industry in Georgia. *Deutsche Internationale Zeitschrift für Zeitgenössische Wissenschaft*, *5*(2).

Gamsakhurdia, T., Maisuradze, K., & Piranashvili, M. (2017). Why Cash Optimization is Critical in Georgian Companies. In *7th EURASIAN MULTIDISCIPLINARY FORUM, EMF 2017.* European Scientific Institute, ESI. *(*pp. 303-312). https:/doi.org/10.19044/esj.2018.c2p36

Gvaramadze, A. (2022). Digital Technologies and social media in Tourism. *European Scientific Journal, ESJ,* 18 (10), 28.

Iscontour. 2023. The steps from e Tourism to smart tourism to the metaverse in the future: A scenario analysis (Nell Schmidt, Lisa Weigl-Pollack, Christopher J. J. Cunliffe, Ruslan Safarov and Beatrice Paris).

Kvirkvaia, M., Kikutadze, V., Sikharulidze, D., Shaburishvili, S., & Charaia, V. (2018). Study of factors affecting young people. *Globalization & Business*.

Lashkhi, M., & Charaia, V. (2017). Investment development path and motivations for Foreign Direct Investment in Georgia. *World Academy of Science, Engineering and Technology, International Journal of Economics and Management Engineering*, *11*(11), 3213.

Lashkhi, M., Charaia, V., Boyarchuk, A., & Ebralidze, L. (2022). The Impact of Fintech on Financial Institutions: The Case of Georgia. *TalTech Journal of European Studies*, *12*(2), 20-42.

Meladze M., Piranashvili, M. (2019). Social Media Impacts on Georgian Tourism Business. *9th Eurasian Multidisciplinary Forum, EMF 2019*. (209-214). European Scientific Institute, ESI. http://eujournal.org/files/journals/1/books/batumi_book_2019.pdf

Meladze, M., Olkishvili, M. (2018). Using of Social Media Features in Tourism Management. *"Ovidius" University Annals, Economic Sciences Series, 38(*1), 28-32. http://stec.univ-ovidius.ro/html/anale/RO/wp-content/uploads/2018/08/Full-Vol.-XVIII-Issue-1.pdf

Mobile phone services used to plan leisure travel in the U.S. as of spring 2019. Statista Research Department. https://www.statista.com/statistics/185454/technology-used-to-plan-leisure-travel-in-the-us-2011/, https://www.statista.com/

Papava, V., & Charaia, V. (2021). *The Problem of the Growth of Georgia's Public Debt during the Economic Crisis under the COVID-19 Pandemic.* Georgian Foundation for Strategic and International Studies. https://www.researchgate.net/publication/348784288_The_Problem_of_the_Growth_of_Georgia's_Public_Debt_During_the_Economic_Crisis_Under_the_Covid-19_Pandemic. https://doi.org/10.13140/RG.2.2.10091.57120.

Papava, V., & Charaia, V. (2022). On the Inflation and its Modifications in the Era of Global Pandemic: The Case of Some ADB Countries. *Journal of Asian Finance, Economics and Business*, *9*(8), 0007-0017.

Precious Magtulis, Maria Soledad Godoy Muñoz, Thi Cam Ha Phan and Carlos Inga, Salzburg University of Applied Sciences, 2023. Digital open innovation contests in tourism: An ecosystem theory approach.

Sikharulidze, D., & Charaia, V. (2018). Oli paradigm and investment position of Georgia. *Globalization & Business*, (5), 71-78. https://doi.org/10.35945/gb.2018.05.010

TripAdvisor - Statistics & Facts. Statista Research Department. https://www.statista.com/topics/3443/tripadvisor/, https://www.statista.com/

Youssef El Archi and Brahim Benbba. (2023). Role of virtual reality in tourism destination marketing: evidence from Morocco. *2023 Tourism Research Perspectives: Proceedings of the International Student Conference in Tourism Research*. (pp. 28-40). https://scholar.google.com/citations?view_op=view_citation&hl=fr&user=hrZu-V0AAAAJ&citation_for_view=hrZu-V0AAAAJ:4DMP91E08xMC

Zivzivadze, L., Taktakishvili, T., Zviadadze, E., & Machavariani, G. (2021). Evaluation of Support Program for Young Entrepreneurs: Evidence from Georgia. *Open Journal of Business and Management*, *9*(6), 2977-2987.

The use of digital technologies by Georgian travelers while purchasing a tourist product

Maia Meladze[1*]
Ana Gvaramadze[2]
Lizi Dzimistarishvili[3]
[1, 2, 3]Grigol Robakidze University, Georgia

***Corresponding author:** m.meladze@gruni.edu.ge

Abstract: The paper is an integral part of the project "Research on the use of digital products in the Georgian tourism sector" which won the internal grant projects competition of Grigol Robakidze University. Digital technologies have brought great changes in many areas of business. Tourism businesses today rely heavily on digital processes to be efficient and competitive. The COVID-19 pandemic has facilitated the need for digital business practices as travelers request digital communications, online sales and contactless solutions. The experience gained from the Covid pandemic has helped the tourism business to gain more digitization/ flexibility for the tourism product. The aim of the paper was to highlight the importance of using digital technologies for business management and growth through qualitative and quantitative research. Consequently, to reveal consumer demand for digital services in the tourism sector after the Covid pandemic.

Key words: Digital technologies, Tourism product, Travel planning